


საქართველოს საკათალიკოსო



საქართველოს საკათალიკოსო

თბილისი — 1986



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. 17 ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტიანი

დაიბეჭდა უზბეკებისა და უნგრელების, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღოცვა-კურთხევით






ᠰᠢᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨ

ᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨ

ᠠᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨ

ᠠᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨᠠᠨᠠᠭᠤᠨ




პრეტი. საწინამძღვრო ჯვარი. ოსტატი გაბრიელ საფარელი. 999-1002 წ.წ.

ქეზაღ და დიდებაღ ქართულისა მისისაღ

1. და დამარხულ არს ენაღ ქართული,
დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
2. და ესე ენაღ
მძინარე არს დღესამომდე.
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.
3. და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან.
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართა.
4. და მეგობრობაღ
ამისთვის თქვა მახარებელმან,
ვითარმედ ყოველი საიდუმლოღ
ამას ენასა შინა დამარხულ არს
5. და ოთხისა დღისა მკვდარი
ამისთვის თქვა დავით წინაღმწარმეტყველმან.
რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“
6. დასახარებასა შინა ქართულსა თავსა, ხოლომათეფსსა,
წილი ზის, რომელ ასოღ არს
და იტყვის ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა;
7. და ესე არს ოთხი დღეღ,
და ოთხისა დღისა მკვდარი.
ამისთვის მისთანავე დაფლული
სიკვდილითა ნათლისღებითა მისისაღთა
8. და ესე ენაღ შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაღთა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა,
9. და სასწაული ესე აქვს:
ას ოთხი წელი
უმეტეს სხვათა ენათა
ქრისტეღს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი ესე წელი
და წილი ანბანისაღ.

Handwritten text in Georgian script, likely a manuscript page. The text is dense and appears to be a religious or historical document, possibly a prayer or a record. The script is written in a cursive style characteristic of medieval Georgian manuscripts. The page shows signs of age, with some fading and wear.

ქება და ლიდგბაი ქართლისა ენისაი. X ს. ხელნაწერი



ლაზარეს აღდგინება. ტიბრული მინანქარი. XII ს.

ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან

ქადაგება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 0 ლ 0 ბ II-ისა

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა! ჩვენთან არს ღმერთი...

უამრავი საიდუმლოებით არის მოცული ადამიანი. ბევრი რამ არ ესმის მის გონს, ბევრს ვერ გრძნობს მისი გული. მაგრამ ადამიანი არის ხატება ღვთისა, არის გვირგვინი ღვთის ქმნილებისა. კურთხეულია ქართველი ერი, საქართველო. ღვთის მადლითაა კურთხეული ქართული ენა.

დიდი საიდუმლოებით მოცულია სიტყვები, რომელიც გადმოგვცა ჩვენმა დიდმა წინაპარმა იოანე-ზოსიმემ. ამ სიტყვებში სწერია:

**და დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღედმედ მჟორედ მოსლვისა მისისა საწამებულად,
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმა აშხილოს ამით ენითა.
და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვიან.**

ვინ დააკავშირა ერთმანეთთან მართალი ლაზარე და საქართველო? რა არის საერთო ლაზარესა და ქართულ ენასა შორის? ვინ იყო ლაზარე?

ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე იყო ძმა მართასი და მარიამისი. ვიცით ისიც, რომ ლაზარე ცხოვრობდა ბეთანიას, რომ იგი უყვარდა მაცხოვარს. და აი, ამცნეს მაცხოვარს, რომ ლაზარე ავადაა...

„უფალო, აჰა, რომელი იგი გიყუარდა, სწეულ არს“.

(იოანე. 4,3)

„ვითარცა ესმა ესე იესოს; თქუა: ესე უძღურებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რათა იდილოს ძჳ ღმრთისაჲ მისგან“ (იოანე. 11.4). და არ ჩქარობს მაცხოვარი წასვლას. რატომ? იმიტომ, რომ უნდა მოხდეს უდიდესი სასწაული — ლაზარეს მკვდრეთით აღდგომა. ამან კიდევ ერთხელ უნდა დაადასტუროს, თუ ვინ არის მაცხოვარი. ბოლოს იგი მაინც ემზადება ბეთანიას წასასვლელად. სულ რამდენიმე დღის წინ ებრაელები მას ემუქრებოდნენ სიკვდილით და მოციქულები სთხოვენ, არ წავიდეს იქ. „მოდუარ, აწღა გეძიებდეს შენ ჰურიანი ქვისა დაკრებად, და კუალად მუნვე მიხუალა?“ (იოანე. 11.8).



და აი, ამ დროს თომა მოციქული (ვისი თავის ქალაც, როგორც დიდი სიწმიდე, ჩვენს სიონის ტაძარში ასვენია) მიმართავს მოციქულებს და ეუბნება: „წავიდეთ და ჩვენც მოვკვდეთ მასთან ერთად“.

შეხვედით თომას, რომელსაც უწოდებენ ურწმუნოს, რომელიც თითქოს შეორგულდა იესო ქრისტეს აღდგომაში! ეს თომა მიდის იუდეაში, რომ მასთან ერთად მოკვდეს. შემდეგ მოდის ხმა ბეთანიიდან, რომ ლაზარე მოკვდა. მაცხოვარი მიმართავს მოციქულებს და ეუბნება — „ლაზარემ დაიძინა“. მოციქულები ვერ ჩაწვდნენ მაცხოვრის სიტყვების აზრს და პასუხობენ: „ლაზარემ თუ დაიძინა, ის განიკურნება, უფალო, უკუეთუ დაიძინა, ცხოვნდეს“. (იოანე 11.12) ისინი გულისხმობდნენ, რომ ძილი არის ნიშანი ჯანმრთელობისა; მაგრამ მაცხოვარი ამბობდა სხვა ძილზე — სიკვდილზე.

და წავიდა ბეთანიას უფალი. მაშინ მიეგება მას ტირილით ლაზარეს და მართა და უთხრა: — „უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმამ იგი ჩემი“ (იოანე. 11.21) შენ რომ აქ ყოფილიყავ, ჩემი ძმა არ მოკვდებოდაო. მაცხოვარს სურს, ჩაუნერგოს მართას რწმენა და ეუბნება მას: — გრწამს, რომ მე შემიძლია აღვადგინო ლაზარე? გრწამს, რომ მე ვარ ქრისტე? — „ჰე უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, მომავალი სოფლად“. — პასუხობს მას მართა — „ჰრქუა მას იესუ: აღსდგეს ძმამ შენი.

ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკენელსა დღესა.

რქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-და-თუ-კუდეს, ცხოვრდესვე.

და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე — გრწამს ესე?

ჰრქუა მას მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, მომავალი სოფლად. (იოანე. 11.23-27).

მაცხოვარი შედის ბეთანიას. მას ხვდება მეორე და ლაზარესი — მარიამი; ისიც ტირილით, ისიც ამავე სიტყვებით, შენ რომ აქ ყოფილიყავ, ლაზარე არ მოკვდებოდაო. მაცხოვარი მიდის ლაზარეს საფლავთან. ის უკვე შესვენებულია გამოქვაბულში, საფლავზე მიდგმულია ქვა. არავითარი ნიშანი არ ჩანს ლაზარეს სიცოცხლისა, მაცხოვარს ეუბნებიან, რომ ლაზარე არის ოთხი დღის მკვდარი და უკვე ყარს. ამ დროს უფალი იესო ქრისტე მიმართავს მამაზეციერს. — მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი, და შემდეგ დიდი ხმით დაუძახებს: — „ლაზარე, გამოვედ გარე“. მართლაც წამოდგა ლაზარე და გამოვიდა, გამოვიდა შეკრული, მიცვალებულის სამოსელით შემოსილი. მაცხოვარმა უბრძანა, რომ მოეხსნა ეს სამოსელი. ლაზარე აღდგა, ლაზარე გაცოც-

ხლდა. „და გამოვიდა მკუდარი იგი შვერული ჯელითა და ფერხითა სახუეველითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდართა. პრქუა მათ იესუ: განჰვსენით ვე და უტვეთ, ვიდოდეს“ (იოანე. 11.43-44). და ცნობილია ისტორიიდან, რომ ლაზარე შემდეგ ყოფილა კრიტეს ეპისკოპოსი და იქვე გარდაცვლილა.

მე მქონდა ბედნიერება, როცა გახლდით იერუსალიმში, მივსულიყავი იმ ადგილზე, სადაც იყო დასვენებული ლაზარე. თაყვანი ვეცი იმ წმიდა ადგილს, სადაც უფალმა წარმოთქვა კურთხეული სიტყვები: — „ლაზარე, გამოვედ გარეთ“. ამას გვაუწყებს დღევანდელი სახარება. მაგრამ ამასთან ერთად, დღეს არის ჩვენი დიდი დღესასწაული — **ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ.**

„სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქვიან“.

ვინ იყო ის ჩვენი დიდი წინაპარი, ის კურთხეული ადამიანი, რომელსაც გამოუცხადა უფალმა, რომ **„სახარებასა შინა ქართულსა ენასა ლაზარე პრქვიან“?** ეს ჩვენთვის არ არის ცნობილი. იოანე-ზოსიმე, რომლის ხელნაწერთაც ამ ლექსმა, ამ საოცარმა სიტყვებმა ჩვენამდე მოაღწია, იყო მხოლოდ გადამწერი. ხოლო ავტორი, ვისაც გამოეცხადა ეს უდიდესი საიდუმლო, არ ვიცით. ვინ წარმოშვა ქართული ენა? ქართველმა ერმა წარმოშვა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ წარმოშვა ქართველი ერი? ღვთის კურთხევით, მათი შობა ერთად მოხდა. წარმოიშვა ქართული ენა და წარმოიშვა ქართველი ერი.

„და ესე ენაჲ

შემკული და კურთხეული

სახელითა უფლისაითა,

მდაბალი და დაწუნებული,

მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა“.

რატომ მოელის? ეს ხომ არის ენა „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა“... მაშ რატომ-ღა სწერია, „მდაბალი და დაწუნებული“? ღვთის კურთხევით, ეს არის შემკული და კურთხეული, მაგრამ ვის მიერ არის დამდაბლებული და დაწუნებული? — მტრების მიერ, რომელნიც უძღურნია საქართველოს წინაშე, უფრო სწორად, ღვთის კურთხევის წინაშე, რადგან მარჯვენა ღვთისა ჩვენს ქვეყანაზეა გადაფარებული, ჩვენს ერზეა და ეს მარჯვენა ღოცავს ქართულს ენას. რატომ მოელის ის „დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა?“ იმიტომ, რომ მეორედ მოსვლის დროს უფალი ამით ენითა განსჯის ქვეყანას.


ჩვენ ვიცით, რომ მეორედ მოსვლის წინ დაეცემა სარწმუნოება; დაეცემა ზნეობა, აღარ იქნება სიყვარული. იქნება მტრობა, დაღატკი. იშვიათად ნახავს ადამიანი ჭეშმარიტ მორწმუნეს. და აი, იმ დროისათვის, იმ სულიერი დაცემის დროისათვის, როცა თითქოს არავითარი სიკეთე აღარ ჩანს ქვეყანაზე, რომ იფიქრებ, ივერიის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის წინასწარმეტყველებით, ვისი სა-

ოცარი, სასწაულმოქმედი ხატიც ივერონის მონასტერში, ათონზე ქართველმა ბერებმა ზღვიდან ამოასვენეს, საქართველო გაბრწყინდება უკანასკნელ ჟამს. საეკლესიო გადმოცემის თანახმად ცნობილია და ჩვენ ვიცით, რომ X საუკუნეში ყოველივე ეს ხილვით ეუწყათ წმიდა მამებს ივერონის ქართველთა საჯანეში; როცა მთელი ქვეყანა დაკარგავს რწმენას, სიყვარულს, სათნოებას, საქართველო გაბრწყინდება სარწმუნოებით, სიყვარულით, სიწმიდით, და როგორც ჯილდო, მიეცემა უფლება, რომ ქართული ენითა ამხილოს უფალმა მთელი ქვეყანა. აი, მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას ეს სიტყვები. მეორედ მოსვლის ჟამს, უფალი ამხელს ქვეყანას ქართული ენით.

იმის შემდეგ, როცა ცნობილი გახდა ეს დიდი საიდუმლო, იმის შემდეგ, როცა უფალმა გამოუცხადა ჩვენს წინაპარს, რომ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე პრქვიან“, იგი ზეიმობდა ქართული ენის დღესასწაულს — ლაზარეს შაბათს. მაგრამ ქვეყნის ავბედობამ, მისმა მძიმე წარსულმა წაშალა ეს კურთხეული და წმიდა ტრადიცია. დღეს კვლავ დადგა ჟამი და აღვადგინეთ ეს დღესასწაული.

ღმერთმა დალოცოს ღვთივკურთხეული ქართველი ერი და ქართული ენა, ღმერთმა დალოცოს ჩვენი წინაპრები, — შოთა, სულხან-საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გოგებაშვილი და სხვანი, რომელნიც მძიმე ჟამს იცავდნენ და ინახავდნენ ქართულსა ენას. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, ღმერთმა განაძლიეროს და აკურთხოს ქართული ენა, ამინ.

ლაზარეს შაბათი
13. (26) აპრილი



ქართული ეკლესია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენცია თბილისში

6-10 (19-23) მაისს თბილისში ჩატარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენცია განიარაღების შესახებ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

გაო-ს წარმომადგენლებს აღნიშნეს ქართული ეკლესიის დედალი მშვიდობისა და ხალხთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II - ის სიტყვა.

დრმად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე!
დრმად პატივცემულო საზოგადოებავ!

მოგესალმებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით. გამოვხატავ დიდ კმაყოფილებას იმის გამო, რომ ეს დიდად მნიშვნელოვანი სხდომა მიმდინარეობს საქართველოს დედაქალაქში — თბილისში. მჯერა, რომ თქვენს დედალზე უსათუოდ გარდამოვა ღვთის ღმერთებისა, სიკეთით დაგვირგვინდება ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმე. არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც აკრედიტებულნი არიან გაერთიანებული ერების ასამბლეასთან, უთუოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად. არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები, როგორც ცნობილია, დიდ თანადგომას უწევენ გაერთიანებული ერების ასამბლეის სამშვიდობო ღონისძიებებს. თქვენი სახით ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა გამოვხატოთ დრმა პატივისცემა და თანადგომა მისდამი და განვაცხადოთ, რომ ქართული ეკლესია დიდად აფასებს მის ღონისძი-

ებებს მშვიდობისა და ხალხთა და სახელმწიფოთა შორის სამართლიანობის დაცვის საქმეში. ჩვენ ყველას გარკვევით გვესმის, რომ დღეს, ატომურ საუკუნეში, კაცობრიობა დიდი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ატომური საშიშროების პოლიტიკა საბედისწერაა. იგი ფლობს ატომური კონფლიქტის ისეთ, სავსებით გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ შესაძლებლობებს, რომლის შენარჩუნება შეუძლებელია. ატომური ომი, გინდ შეზღუდული და გინდ გლობალური, ისე, როგორც ატომური დაშინების პოლიტიკა, გაუმართლებელია არა მარტო რელიგიური და მორალური თვალსაზრისით, არამედ საერთოდ, ხადი აზროვნებითაც. დღეს მსოფლიო პრესაში ძალიან ბევრს წერენ ახალი აზროვნებისა და ყოველივე მომხდარისა და მოსახდენის გამო მეტი პასუხისმგებლობის აუცილებლობის შესახებ. ამაზე ფიქრობენ დღეს ღვთისმეტყველნი და ფილოსოფოსნი, სოციოლოგნი და ანთროპოლოგნი, სახელმწიფო მოღვაწენი და დედამიწის უბრალო მცხოვრებნი. ყველა ხედება, რომ დედამიწაზე ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის შენარჩუნება — ადამიანთა მოდგმის უპირველესი ვალია დღეს ყველას ესმის, რომ

მთავარია არა იდეოლოგიური, ან ესა თუ ის ფილოზოფიური კონცეფციები, არამედ ადამიანი. იგია მთელი საზოგადოებრივი და მატერიალური სიმდიდრის სახომი.

ჩვენ ძალზე ხშირად ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა ემსახუროს ეკლესია თანამედროვე მსოფლიოს. რა თქმა უნდა, ეკლესიის მთავარი მოვალეობა, წმიდა წერილისა და წმიდა მამათა სწავლათა მოწმობით ქრისტეს სახარების ქადაგებაა, რაც სახარებისეული სიყვარულისა და უფლის მცნებათა აღსრულებისამებრ, ადამიანური ცხოვრების მოწესრიგებით, სიცოცხლის, მსოფლიოს განახლებათ გამოიხატება.

ჩვენ ეკლესიის წარმომადგენლებს, კარგად გვესმის, რომ ჩვენი ქმედება არ შეიძლება შევზღუდოთ მხოლოდ შიგაეკლესიური ცხოვრებით, ჩვენი არანაკლები ვალაა გარესამყაროს პრობლემებზე სრუნვა და ფიქრი. დიდი მნიშვნელობა აქვს მორწმუნეთა ისე აღზრდას, რომ მათში სუფევდეს მშვიდობის, სამართლიანობისა და ძმური თანამშრომლობისადმი სწრაფვა.

ეკლესიას ბევრის გაკეთება შეუძლია ადამიანთა შორის უნდობლობის დასაძლევად, რადგანაც მთელ მსოფლიოში მშვიდობისადმი პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ქრისტიანებს, არამედ ყველა ადამიანს აწევს. ქრისტიანი მზად უნდა იყოს, როგორც არაქრისტიანული რელიგიის, ისე რელიგიის კიდევან მყოფ ადამიანებთან თანამშრომლობისათვის. ქრისტიანულ ეკლესიებს, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებში არიან მოქცეულნი, და იქ აღასრულებენ თავიანთ სამოძღვრო მსახურებს მშვიდობისათვის, შეუძლიათ დიდად შეუწყონ ხელი უნდობლობის დაძლევას, თანხმობისა და ურთიერთგაგების მოგვარებას. მაგალითისათვის მინდა დავიმოწმო საბჭოთა კავშირში არსებული ქრისტიანული ეკლესიების კეთილურთიერთობა და თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ქრისტეს ეკლესიებთან. ხდება დელეგაციების გაცვლა, ეწყობა შეხვედრები, საუბრები და შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ორივე მხარე კმაყოფილია ამ თანამშრომლობით.

ეკლესიები სახელმწიფო მოღვაწეებს მოუწოდებენ მოლაპარაკების დროს გამოიჩინონ მოთმინება, იყვნენ გულახდილნი ერთმანეთთან, რადგანაც დღეს ყველას შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ მოლაპარაკებით შეიძლება იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც მსოფლიოს აღელვებს. როცა ვლაპარაკობთ ეკლესიის დეაქლებზე მშვიდობის საქმეში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მშვიდობისათვის ლოცვის დიდი მნიშვნელობა. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველდღე, განუწყვეტლივ ლოცულობს მსოფლიო მშვიდობისათვის. საქართველოსათვის მშვიდობა, ლოცვა მშვიდობისათვის მუდამ უპირველესი საფიქრალი და სახრუნავი იყო, რადგანაც მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე იძულებულნი ვიყავით გარემომხდარი მტრისაგან დაგვეცვა ჩვენი მიწაწყალი და სარწმუნოება.

როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ წლევედელი წელი მშვიდობის წლად გამოაცხადა, ჩვენ განსაკუთრებული გულმოდგინებით აღვასრულებთ ლოცვას მშვიდობისა და სამართლიანობისათვის. ჩვენ გვწამს ლოცვის ძალა, გვწამს, რომ უფალი შეისმენს მათ. წმიდა წერილში ვკითხულობთ: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი; არა თუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი; ცუდად იღუპებენ მკუთხილნი მისნი“ (ფსალმ. 126. 1.). ჩვენ აღვავლენთ ლოცვას, რათა უფალმან აკურთხოს და დაიფაროს ჩვენი საერთო ბინა, — დედაქალაქი.

დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, ქრისტიანები, ოპტიმისტები ვართ. ღმერთი გვაძლევს იმედს მაშინაც კი, როცა კაცობრიობა მიუახლოვდა საბედისწერო მიჯნას, როცა მოჩანს უფსკრული. განვიმსჯვალეთ ამ საერთო იმედით. ნუ დაგვარგავთ იმედს, მაშინაც კი, ოდეს მას უღმობლად გამოცდის განთიშვა, სიცოცხლისა და მშვიდობის მოსაპოვის საფრთხე, შიშის ზარი და განწირულება. გვწამდეს, რომ კაცობრიობას გადაარჩენს მხოლოდ ურთიერთგაგება, მხოლოდ მშვიდობისაკენ სწრაფვა. მუდამ გვახსოვდეს უფლის ანდერძი: „იყუარებოდეთ ურთიერთას“.

2-10 (15-23) თებერვალს, შვეიცარიაში, შამბეხში, შედგა მსოფლიო საპატრიარქოს მოსამზადებელი კომისიის სხდომა მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა და დიდი კრებისათვის. საქართველოს ეკლესიიდან სხდომას ესწრებოდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი და საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა. დღის წესრიგში იყო ოთხი ძირითადი თემა:

1. მარხვის საკითხი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად.
2. მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობა სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან.
3. მართლმადიდებლობა და ეკუმენური მოძრაობა.
4. მართლმადიდებლობის წვლილი მშვიდობის, თავისუფლების, ხალხთა შორის მეგობრობის, სიყვარულის განმტკიცებისა და რასობრივი დისკრიმინაციის აცილების საქმეში.

9 (22) მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის დირექტორი დრ. ნინან კოში (ინდოეთი).

13 (26) მაისს მოსკოვში შედგა შეხვედრა დიდი ბრიტანეთის ეკლესიათა კავშირისა და საბჭოთა კავშირში მოქმედი ეკლესიების წარმომადგენელთა შორის. შეხვედრაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან მონაწილეობდნენ: ბათუმ-შეიქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე და საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების მდივანი ბორის გაგუა.

3-7 (16-20) მაისს დიდი ზეიმით აღინიშნა 40 წლისთავი ლვოვის საეკლესიო კრებისა, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დასავლეთუკრაინელი ბერძენ-კათოლიკების (უნიატების) გაერთიანება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამ ზეიმთან დაკავშირებით ლვოვში ჩავიდნენ მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიების დელეგაციები; მათ შორის იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები: ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი კალისტრატე და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი ვლ. საბიაშვილი.

4(17) მაისს დილის 10 საათზე, ლვოვის წმ. იურის (გიორგის) სახელობის კათედრალურ ტაძარში სხდომა გახსნა ლვოვისა და თერნოპოლის მიტროპოლიტმა ნიკოდიმოსმა.

იმავე საღამოს წმ. იურის კათედრალურ ტაძარში გაიმართა მწუხრის ღოცვა, რომელსაც ყველა სტუმარი ესწრებოდა. ღოცვის გასრულების შემდეგ, სამღვდლოებამ გადაიხადა ლვოვის 1946 წლის საეკლესიო კრების ინიციატორებისა და მონაწილეების სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

5(18) მაისს იმავე ტაძარში ჩატარდა საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგია და პარაკლისი, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო. დღის მეორე ნახევარში ზეიმის მონაწილეებმა ღიდების გორაზე გვირგვინით შეამკეს დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა საფლავები. მოინახულეს მუხანათურად მოკლული, ლვოვის 1946 წლის საეკლესიო კრების ინიციატორის, პროტოპრესვიტერ გაბრიელ კოსტელნიკის საფლავი. გადაიხადეს მისი სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

6(19) მაისს ზეიმის მონაწილენი გაემგზავრნენ ოჩაქის ლავრაში. იქ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში, აღასრულეს საღმრთო-სა-

დღესასწაულო ლიტურგია. დაათვალიერეს ლავრა, თაყვანი სცეს წმ. იობ პოჩაეველის უხრწნელ გვამს, მოინახულეს და გაეცნენ ლავრის სხვა სიწმიდეებს.

საზეიმო სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა კალისტრატემ. მან მასპინძლებს საქართველოს ეკლესიის სახელით საჩუქრად გადასცა საიდუმლო სერობის ტყეური ხატი.


21-27 იანვარს (3-9.2) ლენინგრადის სასულიერო აკადემიაში შედგა სინდესმოსის მე-3 საერთაშორისო კონსულტაცია საღვთისმეტყველო განათლების საკითხებზე. კონსულტაციაში მონაწილეობა მიიღო 19 მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის სამოცდაათხმეტამა წარმომადგენელმა. მცხეთის სასულიერო სემინარიას აღნიშნულ კონსულტაციაზე წარმომადგენდნენ სემინარიის სტუდენტები, - ვაჟა ბურდული და ჯემალ სიხარულიძე. შეხვედრაში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ: წარმომადგენლები სომხური სამოციქულო ეკლესიიდან, დამკვირვებლები გერმანიის ევანგელური ეკლესიიდან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან.

კონსულტაციის მონაწილეებს მიესალმა ლენინგრადისა და ნოვოროდის მიტროპოლიტი მალაფოვლადუსამღვდლოეცი ანტონი.

მოისმინეს მოხსენებები: „საღვთისმეტყველო განათლება ბიზანტიურ და პატრისტიკულ ერაში და მისი მნიშვნელობა დღეს“, მომხსენებელი - დეკანოზი იოანე შეიენდორფი (აშშ); „ბიბლიური შეხედულება საღვთისმეტყველო განათლებაზე და ბიბლიის როლი ღვთისმეტყველთა ჩამოყალიბებაში, მომხსენებელი - ბერმონოზონი იანუარი (სსრკ); „სულიერი დარიგება“, მომხსენებელი - მღვდელი მიხეილ ნაჟიმი (ლიბანი); „ლიტურგიის როლი მართლმადიდებლური სულის ჩამოყალიბებაში“, მომხსენებელი - პროფ. დან-ილია ჩობოტა (რუმინეთი); „თანამედროვე მართლმადიდებლური ჰერმენევტიკა და ეგზეგეტიკა“, მომხსენებელი - ვროცლავისა და შნეცინკის ეპისკოპოსი იერემია (პოლონეთი); „მომავალი სასულიერო პირის მომზადება“, მომხსენებელი - მღვდელი ვლადიმერ ფედეროვი (სსრკ).

კონსულტაციამ შეადგინა „ეპისტოლე ყველა მართლმადიდებლური სასულიერო სკოლისათვის“.

კონსულტაციის მსვლელობისას მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ლენინგრადის სასულიერო სკოლების საეკლესიო ცხოვრებას. ჩატარდა შეხვედრა კონსულტაციის მონაწილეებისა და ლენინგრადის სასულიერო სკოლების სტუდენტებს შორის.



ვიყუარებოლეთ ურთიერთას

უნეტარესი ნიკოლოზ VI საქართველოში

თავისი ბოლო, შარშანდელი ვიზიტის დროს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI გვიპირდებოდა, ვიდრე შექმნედა, კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ საქართველოში, რათა თავყვანი ვსცე ამ მიწის სიწმიდეებსო. და აი, მაისის თვეში იგი ისევ ეწვია ჩვენს ეკლესიას, მოიხილა ცხუმ-აფხაზეთის ტაძრები, თბილისი, მცხეთა. 14 (27) მაისს სიონის ტაძარ-

ში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და ქართველ საღვდელმოებასთან ერთად უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ და მისმა თანმხლებმა პირებმა ადასრულეს საღმრთო ლიტურგია.

წირვის შემდგომ ორმა პატრიარქმა სიტყვით მიმართა ერთმანეთს.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მისასაღმებელი სიტყვა

თქვენო უნეტარესობავ, ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი — ნიკოლოზ VI. საქართველოს უძველესი ეკლესიისა და პირადად ჩვენი სახელით, ქრისტეს მიერ სიყვარულით მოგესალმებით თქვენ, ჩვენს საყვარელ ძმას და მგობარს. თქვენი სახით ჩვენ მივესალმებით სამოციქულო ეკლესიას ალექსანდრიისას. უძველესია ჩვენი ურთიერთობის ტრადიციები. იგი არ დაწყებულა დღეს და გუშინ. იგი პირველი საუკუნეებიდან მოდის; იმ დროიდან, როცა ბრწყინავდა ეგვიპტის უდაბნოები; სადაც მოღვაწეობდნენ დიდი მამები — ანტონ დიდი, აფთონი და სხვანი. ჩვენ მივესალმებით იმ უძველეს ეკლესიას, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი მეცნიერი და ღვთისმეტყველი პანტელი, ორიგენი, კლიმენტი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელი.

ჩვენ კარგად ვიცით იმ მაღალი სულიერობისა და მეცნიერების შესახებ, რაც არსებობდა ალექსანდრიის ეკლესიაში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ალექსანდრიის მუზეუმი. აქ იყო უდიდესი მეცნიერული ცენტრი, გავიხსენოთ სასულიერო აკადემია, ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, სადაც ინახებოდა ათასობით ხელნაწერი, რომელიც ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე და მათ შორის, ქართულ ენაზე. აი, სწორედ ამან განაპირობა, მაღალმა სულიერობამ და დიდმა მეცნიერულმა დონემ, ის ფაქტი, რომ ქართველი ადამიანი მოვიდა ეგვიპტეში. ისევ გავიხსენოთ დიდი მეცნიერი პანტელი, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა ფილოსოფია

ღვთისმეტყველებაში, რომელიც ამბობდა, რომ „წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ ურთიერთგაპირია ცოდნასა და რწმენას შორის“; და ეს განსაკუთრებით განაძლიერა მისმა მოწაფემ კლიმენტი ალექსანდრიელმა.

ქართველი ადამიანი მუდამ დიდად აფასებდა მეცნიერებას და, ამავე დროს, იყო ასკეტიც. ეს გვაახლოებდა ჩვენ — ქართველებსა და ალექსანდრიის ეკლესიის წარმომადგენლებს. ეს ტრადიცია განსაკუთრებით აღსდგა თქვენი მამამთავრობის დროს.

თქვენო უნეტარესობავ, თქვენი მოღვაწეობა, თქვენი მოციქულებრივი შრომა ეკუთვნის არამართო ალექსანდრიის ეკლესიას, თქვენ იღვწით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. ყოველი თქვენი ჩამობრძანება საქართველოში არის მოციქულებრივი მისია. ბედნიერია ალექსანდრიის ეკლესია, რომელსაც ჰყავს ასეთი მამამთავარი, ასეთი პაპი და პატრიარქი, რომელიც ფიქრობს მსოფლიო ეკლესიისათვის, რომელიც ცდილობს დაახლოვოს ეკლესიები ერთმანეთთან, რომელიც ცდილობს ეკლესიათა და სახელმწიფოთა შორის არსებობდეს ურთიერთგაგება, თანაშრომლობა, ძმური დამოკიდებულება.

მე არ შემოდლია, თქვენო უნეტარესობავ, არ აღვნიშნო ის დიდი შრომა, რასაც თქვენ ეწვეით მშვიდობის დაცვის საქმეში.

თანამედროვე კაცობრიობა ცხოვრობს ძალიან რთულ დროს, როცა საერთოდ სიცოცხლეს ემუქრება მოსპობა. ამ დროს ჩვენს ეკლესიებს არ შე-

უძლიათ იყვნენ მხოლოდ მაყურებელნი. ჩვენ უნდა მივიღოთ უშუალო, პატიური მონაწილეობა, რომ დედამიწას შერჩეს მშვიდობა. ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას ამ დიდ საქმეში. ჩვენი ეკლესიისა და წმიდა სინოდის სახელით, თქვენო უნეტარესობავ, კიდევ ერთხელ მოგესალმებით და გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს. ვუსურვებთ უფრო მეტ წარმატებას ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის ეკლესიას. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში. კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

უნეტარეს ნიკოლოზ VI-ის სიტყვა

უნეტარესო, დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თქვენს წმიდა სინოდს, რომელმაც მომიწვია ამ წმიდა ტაძარში; ასევე მადლობას მოვახსენებ ღვთისმოყვარე და ღვთისმორწმუნე მრევლს, ვინც აქ შემგზავდა. თქვენ კარგად მიმოიხილეთ ჩვენი ეკლესიების ისტორიები, კარგად აღნიშნეთ ის წარსული, რომელიც ჩვენს ეკლესიებს ჰქონდა. ხაზი გაუსვით ჩვენს ძმურ და მეგობრულ ურთიერთობას წარსულში. მადლობას ვწირავ ყოვლად სახიერ ღმერთს, რომელმაც ღირსმყოფელს აღმესრულებინა წირვა საქართველოს პატრიარქსა და მის სინოდთან ერთად. თქვენმა და ჩვენმა მღვდელმთავრებმა დღეს ჩვენთან ერთად ერთი ბარძიმიდან



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI



სინოდის საპატრიარქო ტაძარში

შესვეს სისხლი და ხორცი უფლისა. ამით კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენ ვდგავართ წმიდა ტრაპეზთან, ვართ მართლმადიდებელი ძმები.

მთელი სულითა და გულით მადლს ვწირავთ ღმერთს, რომ ყველას, პატრიარქებსა და მღვდელმთავრებს მოგვცა საშუალება, აღგვეპურა ხელნი ზეცისაკენ და შეგვეკვდრებინა მისთვის, ქრისტესთვის, ღვთისმშობლისათვის რათა განათლოს სამყარო, სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა“, სუფევდეს ბედნიერება ადამიანთა გულეში; დღეს ადამიანი ძალიან დიდ განსაცდელშია. იგი ცხოვრობს შიშით, მას თითქოს არაფერი იმედი აღარ აქვს. არც ის იცის, დაიდუბება კაცობრიობა თუ გადარჩება. მისი მშვიდობისა, შინაგანი სულიერი მშვიდობისა და სათნოებისათვის საჭირო არის რწმენა და იგი წყურვილით დაემებს ხსნას. დაემებს სულის სიმშვიდეს. ამ მძიმე დაძაბულობაში ადამიანი ხან რას აწყდება და ხან რას. ზოგი სიმშვიდეს პოულობს ფულში, ზოგი განცხრომაში, ზოგი კიდევ მეცნიერებაში და ყველაფერს ედება, მაგრამ მისი სული მაინც დაუკმაყოფილებელი რჩება. ხშირად ეკითხება ადამიანი თავის თავს, რომელია ის მართალი გზა, რომელსაც უნდა დაადგეს იგი, რომ ბოლოსდაბოლოს მიაღგეს სულიერი სიმშვიდის ნაპირს თუ ნავთსაყუდელს. მათ ხშირად ავიწყდებათ, რომ ეს გზა უკვე გაკვალა უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, რომელმაც გვითხრა: „მე

ვარ გზაჲ, და შემომიდევით მე და თქვენ იპოვით სულიერ სიმშვიდეს“. მაგრამ მე გვეითხებით, დააღვა კაცობრიობის დიდი ნაწილი იმ გზას, რომელიც ქრისტემ გაკვალა? არა, ჩემო ძმებო და დებო. ადამიანი დაღმართს დააღვა, დაეშვა, ამპარტაუნებამ დააბრმავა და ამიტომაა, რომ იგი ისევ ეძებს ამ დიდი ხნის წინ გაკვალულ გზას. ქრისტემ გვეითხრა „მშვიდობა თქვენთანა, იყუარებოდეთ ურთიერთას“, გიყვარდეთ მტერნიც თქვენით.

დღეს განსაცდელშია მსოფლიო, იღუპება შიმშილისა და უძღურებისაგან მილიონობით ბავშვი და საერთოდ ადამიანი, ჩვენ აფრიკაში ვცხოვრობთ და ეს ყოველივე ჩვენს თვალწინ ხდება. ჩვენ ყოველდღე ვხედავთ ამ საშინელებას. დღეს, შიმშილის პრობლემა დგას მსოფლიოში. ადამიანმა თავისი ეგოიზმითა და პატივმოყვარეობით დაკარგა ჭეშმარიტი გზა და ამას ყველაფერს გულგრილად უყურებს. დღეს უდიდესი სახელმწიფოები მილიარდებს ხარჯავენ ისეთ საქმეში, რასაც შეიძლება სამყაროს დაღუპვა მოჰყვეს. უკეთესი იქნებოდა ეს ფული ეხარჯათ გაჭირვებულთათვის, შიმშილის ლიკვიდაციისა და უძღურების წინააღმდეგ, ბავშვებისათვის, რომელთაგან ბევრი, ვინ იცის, დიდი შემოქმედი და მეცნიერი დადგეს, რომ შემდეგში


მათაც იბრძოლონ ქვეყნად მშვიდობისა და კაცობრიობის სახსნელად. ამიტომ თქვენ, დედები, რომლებსაც ხშირად განგიცდიათ ტკივილი, გამოგივლიათ ომი, მრავალ თქვენგანს დაკარგული ჰყავს მამა, ძმა, და, შვილი, მეუღლე და იცით ამ დანაკლისის ფასი, შევედრეთ ყოველდღეში და ღვთისმშობელს, ჩვენს უდიდეს ტკივილგანცდილ დედას, რამეთუ მან თვითონ იხილა თავისი ერთადერთი ძე ჯვარზე გაკრული, და გჯეროდეთ, რომ იგი ყველაზე მეტად გაგიგებთ. ილოცეთ ყოველდღე, ყოველ წუთს, არა მხოლოდ მაშინ, როცა მოდიხართ ეკლესიაში, როცა ლოცულობთ პატრიარქთან და მღვდელმთავართან ერთად, არამედ ყოველდღე, ილოცეთ თქვენი სახატის წინაშე, ოჯახებში. შევედრეთ, რომ განათლოს ეს სამყარო, იქნებ დამყარდეს ქვეყნად მშვიდობა. გარდაუვალად უნდა დამყარდეს მშვიდობა! მხოლოდ მშვიდობა მოიტანს სიკეთეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდება კატასტროფა, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და ღვთისმშობელმა გაანათლოს სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ამ მსოფლიოს ბატონობენ და მართავენ. გული და გონება გაუნათოს და შეაცნობინოს იმ სიტყვების არსი, რომლებიც იქადაგა უფალმა — მშვიდობა, „მშვიდობა ყოველთა“.



სიონი. საღმრთო ლიტურგია უნეტარეს ნიკოლოზ VI-ის მონაწილეობით.

იქცის სულის მკვლელობა

ღვთის მცნებათა ნათელი



ღვთიური მცნებები განწმედენ გულსა და გონებას, ამაღლებენ სულს, ამსუბუქებენ ამ ქვეყნიურ ურვას და წუხილს. აკინებენ ამაოებას და სანატრელს ხდიან საუკუნო ცხოვრებას.

ღვთის მოძღვრება ამხნეებს ადამიანს ყოველ გასაჭირში. იგი ამაღორციელებს და ცემულ სულიერ ძალთა და „ნაკლებეანთა“ აღმაკვებელი.

„სწავლამან შენმან აღმართა მე სრულიად და მოძღვრება მან შენმან ამან განმსწავლოს მე“ /ფს. 17,36/.

იგი ყველას მოგვიწოდებს სიკეთისაკენ, სიყვარულისა და მშვიდობისაკენ. მას მხოლოდ „მართალი უყვარს და ცოდვილთა სწავლობს“. იგი ყველას უმართლებს გულის კეთილს სიტყვას, ვინც წრფელი აზრით შეემსჯვალემა, მიეახლება და მიეყრდნობა, რამეთუ არათუ დაცავს მას „ანგელოზთა დამანაკებითა“, არამედ განსწავლის და თავის უხილავ მეცნიერებას ახიარებს.

„სარწმუნოების მეცნიერება“, არავის ეგონოს ახალი სიტყვა. „უხილავის“ მეცნიერება“ ისეთივე განმანათლებელია, როგორც საქვეყნოდ აღიარებული მცნებანი მისნი. რამდენი მოციქულობის აღმსრულებელი წმიდა მამა, მოძღვარი, ბერი, მონაზონი, თუ ლიტონი მოქალაქე აღუვსია ადგებულს და გარეშე მოუწერეს ფარული სიბრძნით, სასოებით, სიყვარულით. ვინ ადავსო ღვთიური სიბრძნით უსხეულო არსნი: სერაბიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი, ძაღვი, უფლებანი და ხელმწიფენი: მთავრობანი, მთავარანგელოზნი. წინასწარმეტყველნი და წინამორბედნი უფლისა, მოციქულნი და ყოველნი წმიდანი.

ღვთიური სიბრძნე-მეცნიერება მეტად მიმგნებია ადამიანის გულისა, დაინახავს რა ადამიანში სიღბოსა და სწრაფვას, თვით ჩასწვდება მის სულს, დაივანებს მასში. ბიბლიურ იოსებ მშვენიერს მისი სისპეტაკისათვის „განუხვნა გონება“ და სიზმრების“ გამოთარგმანების“ საოცარი ნიჭით დააჯილდოვა. ამ გზით მიადწია მან თავისი დიდების მწვერვალს.

წმ. მღვდელმთავარი სპირიდონ ტრიმინთუნიტელი ისეთი სასწაულმოქმედების ნიჭით დააჯილდოვა, რომ მან წინაშე მოყვასისა ოქრო გველად აქცია. მოქალაქეს ეძნეებოდა მღვდელმთავრისათვის დაებრუნებინა ნასესხი ოქრო. ბოლოს, როგორც იყო დაუბრუნა. ხოლო წმიდანმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა მისთვის, რომ საგანი, რაოდენ ძვირფასიც არ უნდა იყოს იგი, ადამიანთან შედარებით არარაობაა. გაიყვანა ვენახის ბოლოს და იქვე, მის წინაშე აღასრულა შემადრწუნებელი სასწაული. ზოგმა სულით ძლიერმა „უდაბნო უქმი ცრემლით მოიმუშაა“ და მის მკაცრ უკაცრიელებასა და სიმუდროვეში ღვთიური დიდების ღამბარი აღანთო. საოცარია, უდაბნოს მოქალაქეთა შემართება, რამეთუ რწმენის ადვსების გარეშე იქ ძალიან მწელი გასაძლიისა.

სარწმუნოების მეცნიერებით საგნების წვდომა უფრო სხვაგვარია, ვიდრე ჩვეულებრივი ცდისეული მეცნიერებით. ჩვეულებრივი მეცნიერი ცივ კვლევა-ძიებასა და, უმეტესად, ცდას ემყარება; ხოლო ცხოველი მეცნიერება ღმრთისა ყოველგვარი

ცდის გარეშე იმორჩილებს საგანს. უფალმა ხომ თავისი უზადო მეცნიერებითა და წინასწარგანზრახულებით, ყოველივე დაუმორჩილა თავისსავე დიდებულ ქმნილებას — ადამიანს.

ღმერთმა ამგვარად დალოცა ადამიანის მოდგმა: „და აკურთხა იგინი ღმერთმან მეტყველმან... აღორძინდით და განმრავლდით, ადავსეთ ქუეყანა და ეუფლეთ მას. და მთავრობდით თევზთა ზღვისათა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქუეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა მავალთა ქუეყანასა ზედა“. და მისცა თავისი უშურველი სიბრძნით ყოველივე, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო. „და რქუა ღმერთმან: ამა მიგვე თქვენ ყოველი თივა სათვის, მივსველი თესლისა, რომელ არს ზედა ყოველსა ქუეყანასა და ყოველი ხე, რომელსა აქვს თავსა შორის თვისსა ნაყოფი თესლისა სათვისაჲ, თქუენდა იყოს“ /მოსე. წიგნი დაბადებისა 1, 28-29/. ღვთის სიბრძნემ ყველაფერი გაუმზადა და შეუზავა ადამიანს, რაც შექმნა ბუნებამ თავისი მრავალფეროვნებით არა ბუნებისათვის, არამედ ადამიანისათვის. დიახ, ადამიანისათვის-ბუნების ამ საოცარი გვირგვინისათვის.

რას გვიხსნის ბუნება?

ვთქვათ, რომ ბუნება შექმნილია ღვთის ბრძანებით ადამიანისათვის. ამას გვაუწყებს ბიბლია. ყოველი არსება ღმერთმა დაუმორჩილა ადამიანს. „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერი“ /შ. რუსთაველი/. უნდა ვიცოდეთ, რომ ბუნება სარკეა, საიდანაც აირეკლება სიბრძნე ღვთისა. ბუნებაში კარგად ამოცნობა ქმნადობა ძალით და გონიერებით.

ყოველი საგანი, განსაკუთრებით ცოცხალი არსება, პასუხობს კითხვას: რისთვის არის შექმნილი იგი, რატომ ხდება ასე და არა სხვანაირად? ბუნება ქმნილებებით არის დასახლებული. ქმნილება ამჟღავნებს ღვთის სიბრძნეს და „მიუთხრობს ღვთის მეცნიერებას“. ისეთი ძლიერია ბუნებაში ღვთის გამოცხადება, და რწმენა იმისა, რომ არსებობს ღვთაებრივი ძალა, რომ, ასე განსჯეთ, ზოგიერთი ფილო-

სოფლის ხედვებზედაც კი სთვლიდა მაცხოვრის განკაცებას და ამ ქვეყნად მოსვლას, რადგან ბუნებაში ამოიცნობოდა „საიდუმლონი ღვთისანი. მაგრამ მათ ავიწყდებოდათ ღვთის გამოცხადების მკორე მხარე, საოცარი ქველმოქმედება და წინაწარგანზრახვა, რაც ძე ღვთისამ თავისი მცნებებით და სახარებით მისცა ადამიანთა მოდგმას. რამეთუ „ძე ღვთისა მოვიდა და მცნებანი მოგვცა, რამეთუ ყოველი, რომელსა რწმუნეს მის მიმართ, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნოა“. მკორე მხარე, ბუნებაში ღვთის გამოცხადება ვერ ამოიცნობა ყველასაგან. იგი რომ ვერ აღვილი ამოსაცნობი იყოს და კვლევადებითა და გონებაგახსნილობით არ მიიღწეოდეს, ეჭვიც აღარავის დაებადებოდა და ყველა მორწმუნე იქნებოდა.

ზოგი მეცნიერი, ძლიერ გატაცებული ცდისეული ძიებით, აღმოაჩენს რა რომელიმე ორგანიზმში, თუ ორგანიზმში საოცარ თვისებებს, ყოველივე ამას მიაწერს თვით ორგანიზმს, ან ორგანიზმის ბუნებრივ განვითარებას და „ბუნების სიბრძნეს“.

მაგრამ „ბუნების სიბრძნეს“ შეიძლება ორი გაგება ჰქონდეს. თუ კარგად ჩავეწყვებით ამ საკითხს, სიბრძნე ბუნებაში არ არის, იგი მის ქმლვეა. ხოლო თუ ვადიარებთ ბუნების თავისთავადობას, მაშინ გამოდის, რომ ბუნება თავისთავაში შეიცავს სიბრძნეს. თვით არის ბრძენი და თვით არის. მომცემელი ცოცხალ არსებათათვის საოცარი აზრობრივი პოტენციისა. თითქოსდა, ეს ასეც ამოიცნობა მეცნიერთაგან.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ ამ საკითხს და დავსვამთ კითხვას, რა და რომელია ბრძენი ბუნებაში? ვინ აძლევს სიბრძნეს ბუნებას? თუ ბუნების ბრძნულ მოწესრიგებას ისევ ბუნება საზღვრავს, რა არის ეს „ისევ ბუნება?“ პერი, წყალი, ხე, ქვა, მიწა?... რომელია ამათ შორის ბრძენი, რომ მოაწესრიგოს ყოველივე? იქნებ მცენარე და ცხოველი? ბუნება თუ თითონაა ყველაფრის მიხეზი, ეს როგორ ხდება, მან ხომ არაფერი არ იცის. ყველას კარგად მოეხსენება, რომ შეუძლებელია რაიმე სავანი, ან ცოცხალი არსება იყოს თავისი თავის წარმოშობი, (თქვას ვინმემ, არსებობს ასეთი არსება?).

უკეთესია ვთქვათ, რომ ბუნება შედგება მიხეზისა, რომელიც დაფარულია და აშკარად არა ჩანს.

ბუნებაში არცერთ სავანს არა აქვს სიბრძნე. ბუნება თვითონვე გვიხსნის, რომ იგი არ არის თავისი თავის შემოქმედი. ბუნება თავისთავად უგნურია, მან თავისთავის შესახებ არაფერი იცის, ავიღოთ ასეთი მაგალითი: მწერებს, მათ შორის ზოგიერთს, ისეთი გამახვილებული ყნოსვა აქვთ, რომ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გრძნობენ ერთმანეთს... მაგრამ მათ არა აქვთ გაცნობიერებული, საიდან ეძლევათ ეს უნარი? რა თქმა უნდა, თვითონ მწერებმა ამის შესახებ არაფერი იციან, მაგრამ ცდისეულმა მეცნიერებამ კვლევით მიაგნო და დაამტკიცა:

დღეა ფუტკარი მიფრინავს საკმაოდ შორს და მას მისდევენ მაძალი ფუტკრები. მათ არ იციან, რისთვის სჭირდებათ ეს დამქანცველი ფრენა... ადამიანმა კი იცის, რომ ეს საჭიროა ჯანმრთელი მოდგმის მისაღებად. დავსვამთ კითხვას, რა აიძულებს დღეა ფუტკარს იფრინოს ასე დიდხანს, ჩვეულება? — გამორიცხულია, მან არ იცის რა არის ჩვეულება, ამ რაღაცა ბიძგის მიმცემს, რაც ამოქმედებს მწერებს თუ სხვა ცხოველებს, ადამიანმა ინსტიქტი უწოდა. ინსტიქტი ლათინური სიტყვაა და განზრახვას ნიშნავს. თვით ინსტიქტის მეცნიერული განმარტება ასეთია: „ცხოველური ორგანიზმის თანდაყოლილი მიდრეკილება,

მიხანშეწონილი, მაგრამ არა ცნობიერი“. (მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1963 ვ. 170). სწორედ ეს მიხანშეწონილი, არა ცნობიერი მოქმედება აუცილებელი ცხოველებისათვის. მაგრამ ისმება კითხვა, რატომ არაა ცნობიერი? — იყოს ცნობიერი, უფრო უკეთესი არ იქნება? მართლაც, უკეთესი ინსტიქტი მინიჭებული თვისება არ არის, არამედ თვითონ ქმნის ესა თუ ის ცხოველი თავის ინსტიქტს, მაშინ ის გაცნობიერებულიც უნდა იყოს მისთვის. მაშინ ინსტიქტის მიხანშეწონილი მოძრაობანი ცნობიერი შეიქნებოდა, უაზრო, უნებლიე მოქმედებანი კი აზრობრივ მოქმედებაში გადავიდოდა. ყველა ცხოველი ინსტიქტით მოქმედია. თვით ადამიანის მსგავსი მაიმუნიც კი. რატომ? კიდევ დავსვამთ კითხვას. ცხოველებიც ხომ მოქმედებენ, რაღაცას აზრადებენ, ფუტკარი თაფლს, აბრეშუმის ჭია — ძაფს (ძაფის მასალას), ობობა — ქსელს და სხვა. განა უკეთესი არ იქნებოდა მათთვის, გაცნობიერებული ყოფილიყო ეს ყოველივე? სწორედ ინსტიქტში მოჩანს უჩინარი ბრძენი ბუნების, მძარტველის დამოკიდებულება ცოცხალ არსებასთან.

ინსტიქტები ბუნებაში მრავალგვარია, ისე როგორც მრავალია ცხოველი და მწერი. ადამიანს რომელიმე ცხოველის ან მწერისათვის ინსტიქტის შეცვლა არ შეუძლია. არავის ძალუკს ვთქვათ ფუტკარს ანწავლოს აბრეშუმის ძაფის დაშვადება, ან აბრეშუმის ჭიას თაფლის მოპოვება, თვითუკული მათგანი წინასწარაა მოშვადებული და აღჭურვილი განსაზღვრული მოქმედებისათვის.

რა იყო საჭირო, რომ მათთვის გაცნობიერებულიყო მოქმედების მიხანი? აი, სწორედ აქ მივადექით იმ ხლედეს, რომლის იქით ცხოველებს აღარაფერი ესაქმებათ. ინსტიქტი, როგორც აღვნიშრეთ, აუცილებელია ცხოველებისათვის. ამის გარეშე ისინი ვერ იარსებებდნენ. ხოლო ცნობიერება მათთვის უცხოა და ვერც ვერასოდეს შეიძენენ მას. უკეთ რომ ვთქვათ, ცნობიერება, სულ სხვა საიდუმლო რამ არის. ცნობიერება მხოლოდ ადამიანს აქვს. ცნობიერება გამომდინარეა სულიდან, ამიტომ შეუძლებელია სულისა და გონების გარეშე რისამე გაცნობიერებაზე ლაპარაკი. ცხოველს სულის მაგივრად აქვს ინსტიქტი. მის ცხოვრებასა და დანიშნულებას ინსტიქტი შეესაბამება. ასე ინება შემოქმედი.

ბუნების მოვლენაში, სავანეში თუ კანონებში გვაქვს გამოცხადება გონიერული ძალისა, იგივე პირველმიხეზისა. იგი უბრალოდ, არა ჩანს, და მხოლოდ კარგი დაკვირვებით ამოიცნობა.

სამყარო თვითონ გვესიტყვება, რომ იგი ქმნილებაა და მასში შთადებულია აზრი შემქმნელზე, შემოქმედზე, მიხეზი საოცრად მაღალი და ჭეშმარიტია.

შემოქმედი ძალა თვითონვე წყნარად გვესაუბრება და თავის ქმნილებებიდან გვიცხადებს თავს. გვაგრძნობინებს და გვასწავლის თავის უხილავ მეცნიერებას. „დღე დღეს აუწყებს სიტუასა და დამე დამეა მიუთხრობს მეცნიერებასა“ (ფს.— 18,3). ქმნილებებში ამოიცნობა არა მარტო ქმნალობა სიბრძნით და ძალით, რომ ისინი შექმნილინი არიან და არათავისთავადნი, არამედ მათში ასევე კარგად მოჩანს ინდუვიდუალობა, განკერძოებულობა და დანიშნულება.

ინდუვიდუალობა და განკერძოებულობა აღნიშნავს, რომ ყველა თავისთვისაა, თავისი თავის ბატონ-პატრონია.

მაგრამ ამავე დროს, საჭიროების გამო კავშირშია სხვა თავის მსგავსთან. ინდუვიდუალობა და განკერძოებულობა რომ არ იყოს არსებაში, მაშინ ქაოსი იქნებოდა ბუნებაში.

რაც შეეხება დანიშნულებას, ესეც ნათლად ამოიცნობა. ჩვენ, ადამიანებმა კარგად ვიცით, რა დანიშნულება აქვს

შხეს, მთვარეს, დედამწას, წყალს, მცენარეებსა და ცხოველებს. ჩვენი გავება მათზე ჭეშმარიტია. ზოგი ამ გავებას ხსნის არასწორად და მეტად ვულგარულად განმარტავს, თითოს ჩვენ ჩვენი წარმოდგენით ვაძლევდეთ საგნებს დანიშნულებას; თითოს ეს საგნები ამისთვის არ იყვნენ შექმნილნი. სინამდვილეში კი ეს დანიშნულება მიზეზისაგან აქვთ მათ მინიჭებული; ჩვენ კი მხოლოდ ამოვიცნობთ მას.

„სიტყვითა უფლისაათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაათა ყოველი ძალი მათი“, რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან აძცნო და დაებადნეს. (ფს. 32. 6-9).

სწორედ იმისათვის, რომ „ქმნული ხელთა მისთა ვიცნოთ და ქმნილებებში ამოვიცნოთ ღვთის აზრი, ქმნილება შემომქმედთან დაეკავშიროთ, საჭიროა სულიერი სიღრმე. ამიტომ გვეუბნება წინასწარმეტყველი: „მოვედით მისა და განათლდით და პირსა თქუენსა არა პრცხუენეს“ (ფს. 99) მოვედით მისა, ნიშნავს — მოდით და ირწმუნეთ ის. განათლდებით და განისწავლებით და „პირსა თქუენსა არა პრცხუენეს“, რამეთუ უსწავ-

ლულობითა და უგნურებით თუ რასმე ავიწყებთ და ვამტკიცებთ (როცა არ ვიცნობთ საგანს), სწორედ ეს არის სირცხვილი.

„ბუნება ბრძნული წიგნია“, ვისაც ეს უთქვამს, კარგად უთქვამს და ამ წიგნს დაკვირვებულნი წაკითხვა უნდა. რაც შეეხება განმარტებას: ბუნება ბრძნიაო, არაა სწორი. არა ბუნებაა ბრძენი, არამედ მისი სიბრძნე, რომელიც სხვა სიბრძნით არის განპირობებული. ამას ვერ ხვდებიან მრავალნი, „რამეთუ განზრტა გული ერისა ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს და თვალნი მათნი დაიწუხნეს, ნუგუე იხილონ თუაღითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისხმა-ყონ და მოიქცნენ“ ...

ხოლო რომელთაც ამოიცნეს, თუ რა არის ეს „ბუნების სიბრძნე, მათთვის იტყოდა მაცხოვარი, ისე, როგორც ეს უთხრა მოციქულებს წინასწარმეტყველის პირით: „ხოლო თვალნი თქუენნი, ნეტარ არიან, რამეთუ ჰხედვენ და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმას (მათ. 13,15 - 16).

აი, რა დიდი საიდუმლო ამოიცნობა ბუნებაში, რა ბევრ რამეს გვიხსნის ბუნება.

მიტროპოლიტი **პოქსტანტინე** (მელიქიძე)

მართლმადიდებლური სწავლება მიცვალებულთათვის ლოცვისა და მოხსენიების შესახებ

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეკლესიაში იყო ცნობილი, მიცვალებულთა მდგომარეობის შესუბუქების საშუალებებად, ქველმოქმედება და ღოცვა. მითითებებს მიცვალებულთა სახელზე მოწყალების გაცემის წესების შესახებ ვხვდებით წინასწარმეტყველ მოსესთან. ღვთის მიერ გამოირჩეული, ებრაელთა სჯულმდებელი მოსე, როცა გადმოგვცემს ღვთის მცნებას იმის შესახებ, რომ ებრაელებმა მოსავლის მათედი ნაწილი უნდა მისცნენ ღვთისთვის და კეროვ-ობლებს, აბბობს, რომ ამ ნაწილიდან არ შეიძლება გაცემა მიცვალებულთა სახელზე (მეორე სჯული 26,14). მიცვალებულთა სახელზე გაცემა შეიძლება მოსავლის ცხრა ნაწილიდან, მაგრამ არა მათედიდან. ამ სიტყვიდან ჩანს, რომ მიცვალებულთა სახელზე ქველმოქმედების წესი ებრაელებში მოსეზე ადრე არსებობდა, რადგან წინასწარმეტყველი მოსე ამ წესს გადმოგვცემს, როგორც ყველასათვის ცნობილს და ადრე დადგენილს. იგი დაწვრილებით არ აგვიწერს მას და ეხება მხოლოდ შენიშენის სახით. მიცვალებულთა სახელზე ქველმოქმედებას ადგილი აქვს ასევე ძველი აღთქმის შემდგომ ხანაშიც. მართალი ტობი სიკვდილის წინ, შვილ-ტობიასადმი ანდერძში აბბობს: „პური შენი და ღვინოა შენი წინაშე დამმარხველთა მართლისასა მიეც, და ნუ სჭამ მას, ნუცა სუამ ცოდვილთა თანა“ (ტობ. 4,18), წინასწარმეტყველი იერემია კი ღვთისგან გაძევებულს უწოდებს მას, ვისი სიკვდილის ჟამსაც არ გაიცემა მოწყალება, „და არცა განტყდეს პური გლოვასა შინა მათთასა, ნუ გეშინის საცემელად მკუდარსა ზედა, არა ასუან მას სასმელი ნუგეშინის საცემელად მამასა მისსა ზედა, და დედასა მისსა ზედა“ (იერ. 16,7). ნეტარნი იქნებიან ისინი, ვისი სიკვდილის ჟამსაც წყალობა იქნება

გაღებულნი, რადგან სხვა აღამიანებს აღუძრავს მიცვალებულთათვის ღოცვის სურვილს.

ზირაქის შვილი ყოვლადბრძენი ისო წერს: „მადლი მისაცემელისა წინაშე ყოველთა ცხოველთა, და მკუდართა ზედა ნუ აყენებ მადლსა“ (ისო ზირაქი 7,36). მაგრამ მიცვალებულთათვის სხვა რა წყალობა უნდა იქნეს გაღებულნი ცოცხალთაგან ღოცვის გარდა?

ახალი აღთქმის ეკლესიაში მიცვალებულთათვის ღოცვის აუცილებლობა ჩანს წმ. წერილის შემდეგი ადგილებიდან: მოციქული პავლე გულმოდგინედ ღოცულობდა, რომ სამსჯავროზე სიკვდილისას ონისიფორეს მიუღო ღვთის წყალობა: „მოეცინ უფალმან წყალობა ონისიფორეს სახლსა, რამეთუ მრავალგზის მე განმისუენა, და ჯაჭვი ესე ჩემი არა სირცხვილ უნდა. მოეცინ მას უფალმან პოვნად წყალობა უფლისა მიერ მას დღესა შინა. და რაოდენი იგი ეფესოს შინა მსახურა, უმჯობეს შენ უწყი“ (2 ტიმ. 1,16-18), — მას დღესა შინა, ე. ი. საშინელი სამსჯავროს დღეს. თუკი მოციქული ღოცულობდა ონისიფორესათვის და მის შეწყალებას სთხოვდა ღმერთს სიკვდილის შემდეგ, მაშასადამე, ყველა ქრისტიანი, მოციქულის მიბაძვით (ვილ. 3,17), უნდა ღოცულობდეს თავისი ახლობლებისათვის, რათა ისინი ღვთის მიერ შეწყალებულნი იქნენ სიკვდილის შემდეგ.

აპოკალიფსში ქრისტე გვესახება, როგორც მფლობელი კლიტისა „სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი“ — (გამ. 1,18), ხელმწიფების მქონეს გამოჰყავს აღამიანი ჯოჯოხეთიდან, ანუ ტანჯვის ადგილიდან, რადგან ქრისტეს სამეფო არ მოიცავს მხოლოდ დედამწაზე მცხოვრებთ. ქრისტეს მიერ გამოსყიდვის ცხოველყოფელი ძალა ვრცელდება მიცვალებულთა სამეფოც, რამეთუ, ამისათვისაცა ქრისტე მოკუდა, და აღსდგა, და მსცხოვნდა, რათა მკუდართაცა და ცხოველთაცა ზედა უფლობდეს“ (რომ. 14,9), და მას ჭეშმარიტად აქვს მიცემული

X აქედან იღებს სათავეს, მიცვალებულის გახენებისას, სუფრის გაშლის მართლმადიდებლურ-ქრისტიანული წეს-ჩვეულება, ნათესავ-მგობრებისა და გლახათათვის.

„ყოველი ხელწიფებამ ცათა შინა და ქუყანასა ზედა“ (მათ. 28,18); ამიტომ პართლმადიდებლური ეკლესია, როგორც შვილების მოყვარე დედა, სპართლიანად იქცევა, როცა ლოცვით მიმართავს იესო ქრისტეს თავისი გარდაცვლილი შვილების შეწყალებისათვის. ლოცვის გარდა მიცვალებულებს მღვთმართობას უმსუბუქებს მათ სახელზე უსისხლო მსხვერპლის შეწირვა, ქველმოქმედება და გლახაკებისათვის მოწყალების დარიცხვა. მოციქული პავლე ამბობს, რომ „რავდენ უფროს სისხლმან ქრისტესმან, რომელმან — იგი სულითა საუკუნოდ თავი თვისი შეწირა უბიწოდ ღმრთისა, განწმინდეს გონებანი თქუენნი მკუდართაგან საქმეთა, მსახურებად ღმრთისა ცხოველისა.“ (ებრ. 9,14).

ღვთის წყალობა ყველაზე მეტად ამ საშუალებით მისდის მიცვალებულებს. აქ თვით ძე ღვთისა შუამდგომლობს მათ ღმერთთან და თავისი სისხლით განბანს ადამიანის ცოდვებს.

ცოდვილთა იმპევენიური ხვედრის შემსუბუქება შეიძლება ასევე, მათ სახელზე გლახაკთადმი მოწყალების გაღებით. მოწყალების გაცემით ჩვენ ვზრდით იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ლოცულობენ მიცვალებულის სულის ხსნისათვის და ამავე დროს, ვასრულებთ ქრისტეს სიტყვებს: „რავდენ უფავთ ერთსა ამას (მიეცით მოწყალება) მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“ (მათ. 25,40).

განა არ შეგვიყვარებს, თავისი ძმის მოყვარე ადამიანი, თუ ჩვენ სიკეთეს გავუკეთებთ მის ძმას?

მოციქულთა შემდეგაც შემონახულია ქრისტეს ეკლესიაში ის რწმენა, რომ მიცვალებულებს უმსუბუქებათ მღვთმართობა იმ ქვეყნად, მათ სახელზე ლოცვითა და ქველმოქმედებით.

მოციქულ იაკობის ლიტურგიის წესში მიცვალებულთათვის ლოცვა არის სამ ადგილას: ა/. კვეთის დროს, ბ/. სახარების კითხვის შემდეგ მიცვალებულთა საერთო ვერეკსში და გ/. შესაწირავის განწმინდისას. მოც. იაკობის ლიტურგიის წესში არსებული ლოცვა მიცვალებულთათვის გადავიდა წმ. ბასილი დიდისა და წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგიებში მცირეოდენი ტექსტობრივი (და არა აზრობრივი) ცვლილებებით. სამივე ლიტურგიკული წესი მოწონებულია YI მსოფლიო სხაკვლისი კრების მიერ (მართლ. 32), ქრისტიანულ ეკლესიაში გამოყენებისათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ უსისხლო მსხვერპლშეწირვისას მიცვალებულთა სახელების მოხსენიებასთან ერთად წმიდი სეფისვერდიან ამოიკვეთება მათთვის წმიდა ნაწილი, რომელიც შემდეგ ჩაეშვება ქრისტეს განწმინდა სისხლში შემდეგი ლოცვით: „განბანე უფალო ცოდვები აქ მოხსენებულთა პატროსნითა სისხლითა შენითა“. ეს წესი მსგავსია ძველი აღთქმის წესისა, ხადაც მსხვერპლის სისხლი განწმინდა ცოდვათაგან მათ, ვინაც ასხურებდნენ (ებრ. 9,12-14; I იოანე 1,7). ტარივიდან მიცვალებულთა მოსახსენებლად ნაწილების ამოღების წესის მსგავსი ძველ აღთქმაში იყო თორმეტი წინადაცების პური, რომლებიც იდო ტამარში მდგომ მავრიდაზე, როგორც ისრაელის თორმეტი ტომის ცოდვებისათვის ღვთის გულის მომლობი. ამ პურების განწმინდი იწმიდებოდნენ ისინი, ვისთვისაც იყო მოტანილი ეს პურები. ცნობები მიცვალებულთათვის ლოცვის წეს-ჩვეულების შესახებ გადმოცემულია ლაოდიკისა (წესი 28) და

კართაგენის (წესი 42) კრებების დადგენილებებში.

მიცვალებულისათვის ლოცვები და ქველმოქმედებანი ძირითადად სრულდება გარდაცვალებიდან — მესამე, მეცხრე, მეორმოცე და წლისთავის დღეებში. სიკვდილის შემდეგ მესამე დღის ლოცვაში ის აზრია გამოხატული, რომ მორწმუნე სიკვდილამდე შეინახა სამების რწმენა, რომლის სახელითაც ის მონათლა და ვისგანაც გამოითხოვება მისთვის წყალობა ამაჟამად. ლოცვა, სიკვდილიდან მეცხრე დღეს, სრულდება იმის აღსანიშნავად, რომ მიცვალებულს სწამდა ანგელოზთა ცხრა დანი, რომელთა ლოცვითა და მეოხებით მიცვალებულისათვის გამოითხოვება ზეციური ცხოვრება; ასევე სწამდა ცხრა ნეტარება (მათ. 5,3-12), რომელთაც განსახდერულ პერიოდში თანამიმდევრობით ხედავს მიცვალებულის სული. ლოცვაში ეკლესია ევედრება ღმერთს, რომ გარდაცვლილის სული არ მოაკლდეს ნანახ ნეტარებებს. სიკვდილიდან მეორმოცე დღეს ეკლესია ლოცულობს მიცვალებულის სულისათვის, იმის ნიშნად, რომ მან შეძლო ეშმაკის დამარცხება და ცათა სასუფეველში შესვლა, მსგავსად ისაიასი, რომელიც მარხვის და მოგზაურობის მეორმოცე დღეს ავიდა ღვთის მთაზე — ქორებზე /3 მეფ. 19,1-18/, მსგავსად ქრისტეს მიერ ეშმაკის დამარცხებისა, რომელიც დანი მარხვისა და ლოცვის შემდგომ. წმ. მაკარი ალექსანდრიელი, ეწოდნება რა საკუთარ გამოცხადებას, ამბობს, რომ მიცვალებულის სული გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს განიცდის ზეციურ ტანჯვას და ანგელოზების დახმარებით მადლდება ზეციური მსახურის წინაშე თაყვანისსაცემად, რომელიც მეორმოცე დღეს მიაგებს კუთვნილ ხვედრს საყოველთაო განსჯამდე. ზეთი, რომელიც შეიწირება მიცვალებულისათვის, მისი დასაფლავების დღეს, ნიშნავს პართლმადიდებელ ქრისტიანთა იმედს, რომ ეკლესიის ლოცვების მეოხებით მიცვალებულთა მიიღებს ღვთისაგან წყალობას, ისევე როგორც მგზავრი, რომელიც დაჭრეს მმარცველებმა და რომელსაც სამართლებმა ჭრილობაზე ზეთის დასხმით აღმოუჩინა დახმარება. მიცვალებულისათვის ლოცვისას კოლიო /ხორბლისა და თაფლის ნახავი/ მივანისნებს მართლმადიდებლური ეკლესიის იმ იმედზე, რომ ქრისტეს რწმენით გარდაცვლილები აღსდგებიან მკვდრეთით, ნეტარებისათვის.

როგორც ხორბლის მარცვალი გვაძლევს ნაყოფს შემდგომ გახრწნისა (იოანე 12,24; I კორ. 15,36-38), ასევე აღსდგებიან სხეულით მორწმუნეები სიკვდილის შემდეგ. თაფლი, რომელიც ატკობს ხორბალს, სიმბოლურად გამოხატავს მართლმადიდებლური ეკლესიის იმედს, რომ ქრისტეს რწმენით გარდაცვლილები დირსნი იქნებიან მარადიული სულიერი ნეტარებისა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიცვალებულს ათავსებენ სახით აღმოსავლეთით, იმის ნიშნად, რომ იგი ელის ნათელს, სიმართლის გზას, ქრისტეს. ამრიგად, მიცვალებულისათვის ლოცვა არის ერთადერთი საშუალება მათ მიმართ სიყვარულის გამოსახატავად. მიცვალებულთათვის ლოცვის უარყოფით, ადამიანი უარყოფს მშობლებისადმი, ნათესავებისა და საერთოდ მოყვანისადმი სიყვარულსა და პატივისცემას.

არქიმანდრიტი რ ა შ ა მ ჯ ი



ჰომილეტიკის ისტორიისათვის

ჰომილია „არს ზეპირად პირისპირ თქუმა“, - ასე განმარტავდა XI ს-ის მოღვაწე უფრომ მცირე. იგივე ჰომილია „ადნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს“, რომელთაც, მორწმუნეთა დასამოძღვრებად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში და სხვადასხვა პირი, უმეტეს წილად, რასაკვირველია, სამღვდლო წარმოთქამდა ხოლმე. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი წერდა, ანდა წარმოთქმის დროს ჩაწერდნენ მას მაშინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით, როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას, რომელიც პირდაპირ უსაზღვრო ოკეანეს წარმოადგენს. შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ ღარგებდა იყოფა: 1. სადღესასწაულო ქადაგებანი, რომელთაც წარმოთქამდნენ ხოლმე საუფლო-სადღვთისმშობლო და ცნობილ წმიდანთა დღესასწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოქტორული ხასიათი აქვთ. 2. პანეგირიკები ანუ ხობტა-შესხმანი, ევრთწოდებული ენ კ ო მ ი ე ბ ი, მიწამეთა და წმიდანთა სახელობისა, რომელთაც აგიოგრაფიული საფუძველი აქვთ. 3. ე პ ი ტ ა ფ ი ე ბ ი ან სასაფლაოზე და მიცვალებულის ცხედართან წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიც ბიოგრაფიულ ელემენტს საგრძობი ადგილი უჭირავს. 4. საკუთრივ ქადაგება ან ჰომილია, რომელშიც განმარტებულია კვირა-უქმეში წასაკითხავი ადგილი საღვთო-წერილიდან და რომელსაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 351-352).

ჰომილეტიკა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ერთადერთი დარგია, რომელშიც გადმოცემულია საეკლესიო ქადაგების პრინციპები. ეს პრინციპები პირველად ორიგენის მიერ იქნა სისტემატიზირებული, ხოლო ბასილი კაპადოკიელმა, ნეტარმა აკუსტინემ და იოანე ოქროპირმა მას დასრულებული სახე მისცეს. განუზომელია ქადაგების როლი ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში. ქადაგება იყო მთავარი საშუალება, რომელმაც ხელი შეუწყო ქრისტიანობის სწრაფ და საბოლოო გამარჯვებას. თვით ქრისტე, ხალხის მასწავლებელი — რაბი, მოძღვარი, მოქადაგე იყო. ქრისტესა და მოციქულების შთაგონებით, ქადაგებას, როგორც რელიგიური შემეცნების ძირითად საშუალებას, საეკლესიო ცხოვრებაში წამყვანი როლი უნდა დათმობოდა: „მი-რაა-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა“ (მათე, 10,7). ხოლო პავლე მოციქული კორინთელებისადმი მიწერილ ერთ-ერთ ეპისტოლეში განმარტავს: „რამეთუ არა მომავლინა მე ქრისტესთან ნათლისცემად, არამედ სახარებად“ (I კორ. 1,17).

ქრისტეს სწავლების ძირითად მეთოდს წარმოადგენს თავისი ახალი მოძღვრების რამდენადმე შეხამება იუდეველთა რელიგიურ მღვდელმოდვრებასთან: „... ამისათვის ყოველი მწიგნობარი, დამოწავებული სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღოს საუნჯისაგან თვისსა ბუელი და ახალი“ (მათე, 13,52). ამ ძირითად მეთოდთან ურთიერთობაშია მეტყველების კერძო ფორმები: ეგზეგეტიკური, იგავური, სენტენციური-საუბრითი და მაცხრი მონოლოგური.

პავლე მოციქული იყო პირველი, რომელმაც შექმნა სწავლება ქადაგების შესახებ და საფუძველი ჩაუყარა ქადაგების თეორიას. თავის მეთოდურ შეხედულებებს იგი ავითარებს ტიმოთესა და ტიტუსადმი გაგზავნილ ეპისტოლეებში და პირდაპირ მიუთითებს: „დადგინებულ ვარ მე ქადაგად და მოციქულად და მოძღვრად წარმართთა“ (2 ტიმ. I, II).

მისი დარიგებები ეხება ქადაგების მიზანს, ფორმასა და შინაარსს, გადმოცემის ხერხებს. მოციქული აღნიშნავდა, რომ ქრისტიანული სწავლება დაფუძნებული უნდა ყოფილიყო წმიდა წერილზე და თვით მოციქულთა სწავლებაზე ქრისტეს, როგორც მესიის, შესახებ.

ტიმოთესადმი მიწერილ ეპისტოლეში (2 ტიმ. 4,2) მოციქული განსაზღვრავდა მასწავლებლობის სახეებს. „ქადაგე სიტყუა“ ნიშნავდა საჭირო მასალის უბრალო გადაცემას. გულგრილი და დამნაშავე „ამხილე“ და, თუ საჭიროა, კიდევ „შეპრისხენ“, ხოლო დაცემულს „ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა“. პავლეს გაუთვალისწინებელი არ დარჩენია ქადაგებასთან დაკავშირებული თითქმის არც ერთი საკითხი. განსაკუთრებით ებრძოდა იგი იმ „სჯულის მოძღურათ“, რომლებმაც „არა იცოდეს, არცა რასა-იგი იტყვან, არცა ვიეთათჳს დაამტკიცებენ“ (I ტიმ. 1,7). ქადაგების თემა საგანგებოდ უნდა ყოფილიყო შერჩეული დროისა და მღვდმარობის შესაბამისად. მასში არ უნდა ყოფილიყო დასმული ისეთი უმნიშვნელო საკითხები, როგორც წარმართ რიტორებს სჩვეოდათ. იგავებსა და ზღაპრებს მოქადაგე უნდა მორიდებოდა, რადგან ისინი სწავლების ნაცვლად დავას უფრო იწვევდნენ (I ტიმ. 1,4). პავლე პირდაპირ აფრთხილებს ტიმოთეს: „ხოლო ბილწთა მათ და ცუდთა კმათა განეშორე, რამეთუ უმეტეს წარებატნიან უსჯულოებითა“ (2 ტიმ. 2, 16). თავისი დარიგებებისათვის ნიდავაი რომ მოეშადადებინა, მოციქული თვითონ ნიშნავდა საეკლესიო მასწავლებლებს და თვითონვე ამოწმებდა მათ შესაძლებლობებს. მღვდლებსა და ეპისკოპოსებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ მასწავლებლობის უნარი და პირველ რიგში მოქადაგენი უნდა ყოფილიყვნენ. მოციქული პერიოდში დაისვა მთელი სიმწვაით ანტიკურ ორატორობასთან ქრისტიანული ქადაგების ურთიერთობის საკითხი, რომელიც პავლემ უარყოფითად გადაწყვიტა. მან განსაზღვრა, რომ ქრისტიანული ქადაგება იყო სულიწმიდის გამოვლენის შედეგი და სიტყვიერ სამკაულებს არ საჭიროებდა. მაგრამ მალე მღვდმარობა შეიცვალა. წარმართობასა და მის დამცველ, მდიდარი ტრადიციების მქონე ლიტერატურასთან ბრძოლისათვის საჭირო შეიქნა მაღალი ლიტერატურული დონე და დიდი ფილოსოფიური განათლება. II საუკუნის ეკლესიის მოღვაწენ მეცნიერული ცოდნის პატივისცემით კი არ იყვნენ მხოლოდ შემოფარგლული, არამედ მათ ახასიათებდათ ღრმა ქრისტიანული ცოდნა შეხამებული ყოვლისმომცველ განათლებასა და მხატვრულ-ორატორულ გადმოცემასთან.

III საუკუნეში ქრისტიან მასწავლებლებთან განათლების დონემ საგრძობად აიწია. მრავალმა წარჩინებულმა პირმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ მიიღო ქრისტიანობა. ქრისტიანთა წრეში შეიმჩნეოდა საყოველთაო მისწრაფება სამეცნიერო ცოდნისაკენ. ისინი განათლებას დებულობდნენ წარმართულ რიტორიკულ სკოლებში, სადაც მჭკრმეტყველების ხელოვნება ძირითად საუნაღ ითვლებოდა. ფილოსოფიური განათლება დიდ ღაზმარებას უწყვედა ეკლესიის მამებს ქრისტიანებზე წარმართ ფი-

ლოსოფოსთა თავდასხმების დროს. წარმართულ სკოლებში მომზადებას ეკლესიის წიაღში განათლების მიღება უერთდებოდა. ორიგენმა, რომელსაც წარმართნი დიდ ფილოსოფოსს უწოდებდნენ, თავის მოსწავლეებს შესთავაზა ლოგიკა და დიალექტიკა, რათა მათთვის აზროვნებასა და მსჯელობაში გარკვეული მეთოდი გამოეყოფათ. ორიგენის თხზულებათა ნაწილებში შეიმჩნევა სწორედ მის მიერ შემუშავებული პოპილარული თეორიის კვალი. ამ თეორიით ორიგენმა პირველმა გამოაცხადა დიდასკალია /ნათელი, რაციონალური სწავლება/ მოქალაქის ინტელექტუალური შემოქმედების ნაყოფად. მისი აზრით, სრულყოფილ ქადაგებას ერთნაირად უნდა ემოქმედა გონებაზე და გულზე, ხოლო ამგვარი ქადაგების შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღო არა მარტო სულიწმიდას, არამედ ავტორის განათლებას, ნიჭსა და მონდომებას.

ორიგენის მეორე დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ქადაგება და წმიდა წერილი ერთმანეთს დაუკავშირა. ყველაფერი დაფუძნებული უნდა ყოფილიყო სახარებაზე. იქიდან უნდა ყოფილიყო ამოღებული ქადაგების თემა. მანვე დააკანონა პოპილარიაში წმიდა წერილის განმარტების მეთოდი. ადრე მოქალაქე სახარების რაიმე ნაწილს განმარტავდა საკუთარი სურვილის მიხედვით დროისა და მდგომარეობის შესაბამისად. ამისათვის არ არსებობდა არავითარი სახელმძღვანელო. ორიგენი კი მისთვის საჭირო ადგილის განმარტებას იწყებდა ჯერ გრამატიკულად, შემდეგ მოძღვრობდა, ასწავლიდა მსმენელებს და სულ ბოლოს იმავე ადგილს უკვე ალგორითულად განმარტავდა.

პოპილარული ერთ-ერთ პირველ თეორეტიკოსად ითვლება ნეტარი ავგუსტინე, რომლის ცნობილ თხზულებაში „ქრისტიანული მეცნიერება“ ვხვდებით პოპილარული წესების პირველ სისტემატიზაციას.

ქრისტიანობის მიღებამდე ნეტარ ავგუსტინეს დიდიხანს ეკავა რიტორის თანამდებობა და წარმატებით გადასცემდა რიტორიკას, ანუ მეცნიერებას მჭერმეტყველების შესახებ, კართაგენში, რომსა და მედიოლანში.

საკვლეო რიტორად გახდომის შემდეგ, იგი შეეცადა ჩამოეყალიბებინა სწავლება რიტორიკისაგან განსხვავებული, ქრისტიანული მჭერმეტყველების შესახებ, მაგრამ ამ სწავლების სისტემატიზაციის დროსაც იგი რიტორიკის სისტემაში დაკონონებულ კატეგორიებს ეყრდნობოდა.

აი, როგორ ამართლებს ნეტარი ავგუსტინე ქრისტიანების მიერ საერო რიტორიკის წესებით სარგებლობას. იგი წიგნის შესავალშივე მიუთითებს, რომ არ დაიწყებს საერო სკოლაში ნასწავლი რიტორიკის საჭირო წესების ჩამოყალიბებას, რადგან ისინი სპეციალურ შესწავლას მოითხოვენ. ავგუსტინემ შესანიშნავად იცის, რომ რიტორიკა არის ხელოვნება სხვისი დარწმუნებისა სიტყვით, ანდა ჭეშმარიტებაში; ამდენად, უკანონოდ მიაჩნია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ბრწყინვალედ ამტკიცებდეს სიტყვით, ხოლო მეორე, პირიქით, ჭეშმარიტებას მოსაწყენი და გაუგებარი ქადაგებებით ემსახურებოდეს. ავგუსტინე მოუწოდებს ქრისტიანებს შეისწავლონ სიტყვის ხელოვნება, უცოდინარობით არ აენონ სიმართლეს. მისი აზრით, ქადაგების დროს საუბრის ფორმა უნდა იყოს ამხსნელი, წამოყენებული უნდა იქნეს დამამტკიცებელი საბუთები, გულცივ მსმენელებზე ზემოქმედების მიზნით საკვლეო ორატორმა უნდა გამოიჩინოს მტირ ძალა და დამტკიცების უნარი. ქადაგების უფლება აქვს იმას, ვისაც შეუძლია იმსჯელოს ბრძნულად, თუნდაც ნუ იქნება კარგი მჭერმეტყველო, რადგან რიტორებრივ სიბრძნეს თუ მჭერმეტყველების გარეშე ცოტა სარგებლობა მოაქვს, მჭერმეტყველება სიბრძნის გარეშე დიდი ბოროტებაა. ავგუსტინეს აზრით, ორატორმა ხალხს არ უნდა შესთავაზოს გაუგებარი და დამღლევი თემები. რა მნიშვნელობა აქვს ენის

წესების დაცვას, თუკი ის საუბრობს გაუნათლებელ ადამიანებთან, რომელთა ყურიც მიწვეულია უხეშ მტყველებას. ორატორმა ამგვარ მსმენელებამდისაც უნდა მიიტანოს თავისი სათქმელი. მთავარია აზრი იყოს გადმოცემული სწორად, მისი მხატვრული გადმოცემა არ არის ძირითადი. ნეტარი ავგუსტინე თანახმაა ნათელ და სწორ სწავლებას შესწიროს მტყველების სინატიფი.

ძველი ორატორები რიტორიკული სრულყოფისათვის მიუთითებდნენ სამ გზას: ა ს წ ა ვ ლ ე, მ ო ე წ ო ნ ე, ა ა ღ ე ღ ვ ე. იმეორებს რა ციცერონის მოსაზრებებს, ნეტარი ავგუსტინე იმავე მიზნებს უსახავს სასულიერო შერლებს. ასწავლე-ეს არის აუცილებელი და არსებითი მოთხოვნა, რომელსაც არაფრით არ შეუძლია გვერდი აუხვიოს მოქალაქემ. მოეწონე-სასიამოვნოა ყოველი რიტორისათვის, ხოლო აადლევე-ეს უკვე გამარჯვებაა. ორატორი უნდა ცდილობდეს, შესძლოს სამივე მიზნის განხორციელება. აი, როგორ წარმოუდგენია ავგუსტინეს ორატორული თხზულების იდეალური ნიმუში. ნაწარმოები უნდა იყოს ღრმაშინაარსიანი და მაღალმხატვრული. მისი თემა კი ყველასათვის საინტერესო და გასაგები, სასურველია, გამოირჩეოდეს ფორმის სინატიფით, შეიცავდეს დიალექტიკურ ელემენტებს. თხზულების ძირითადი აზრის არსებითი და საფუძვლიანი გაგება უნდა მოწმობდეს რიტორის დიდ განათლებას.

ნეტარი ავგუსტინე, მსგავსად ციცერონისა, მოქალაქისაგან მოითხოვს შთაგონების ცეცხლს. მისი მეტყველება მოდუნებული და მშრალი კი არ უნდა იყოს, არამედ ენერგიული, თბილი, მტკიცე. მხოლოდ ასეთმა შთაგონებულმა სიტყვამ შეიძლება შეადგინოს მსმენელის სულის სიღრმეში და იგი მოქალაქის გავლენას დაუმორჩილოს.

ნეტარი ავგუსტინე თხზულება „ქრისტიანული მეცნიერება“ არის შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ თამამად იწყებს ქრისტიანობა წარმართული რიტორიკული ხერხების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ამის საწყისები შეიმჩნევა უკვე პავლეს ეპისტოლეებში. განა პავლეს სიტყვები იმ „სჯულის მოძღვართა“ მიმართ, რომლებმაც „არა იცოდნენ, არც რასა იგი იტყვან, არცა ვიეთათუს დაამტკიცებენ“ /I ტიმ. 1,7/, არ წარმოადგენს პლატონის ფილოსოფიის ძირითად პრინციპს: სანამ დაიწყებდე, ჯერ გაარკვიე, რაზე აპირებ მსჯელობას. პლატონი ხშირად დასცინოდა თავის შრომებში სოფისტების გაურკვეველ მსჯელობას.

ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხის გადაჭრაც ანტიკურ ფილოსოფიას ეკუთვნის. დიალოგში „სოკრატეს ამოლოგია“ ნათლად არის გამოხატული პლატონის შეხედულება ამ საკითხზე. ჭეშმარიტმა ორატორმა უნდა ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე. მისი მეტყველება უნდა იყოს უბრალო და არა ხელოვნური. ამგვარი მეტყველების სიძლიერე მის სიმართლესა, რომელსაც ვერ შეედრება შინაარსით ცრუ და უმნიშვნელო მჭერმეტყველება, თუნდაც იგი ნატიფი და ლამაზი ფორმით იყოს გადმოცემული. პლატონის ამ შეხედულებამ განაპირობა სწორედ მისი შეურიგებლობა სოფისტებთან, რომლებმაც ფორმის სინატიფეს შესწირეს შინაარსის გარკვეულობა და სინატიფი. პლატონის აზრით, ჭეშმარიტ რიტორს გათვალისწინებული უნდა ჰქონოდა მსმენელის გონებრივი ღონე. სწორედ ამა თუ იმ პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების უფლებეფყოფას საყვედურობდა იგი სოფისტებს, ამასვე ქადაგებდნენ, აგრეთვე, ორიგენი და ნეტარი ავგუსტინე.

ანტიკურმა ფილოსოფიამ ასწავლა ქრისტიანებს გადასაცემი მასალის თანამიმდევრული დალაგება, დარწმუნების დიდი მნიშვნელობა და მსმენელის გონებისა და ნდობის დაპყრობის უადვილესი გზების გამოძებნა.

IV ს-ში ქრისტიანობამ გაიმარჯვა პოლიტიკურად და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. თუმცა ის ჯერ კიდევ სუბტი იყო ფილოსოფიისა და ლიტერატურის სფეროში. ქრისტიანობას უჭირდა ბრძოლა მდიდარი ტრადიციების მქონე ანტიკურ კულტურასთან, მაგრამ იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვების მისაღწევად საჭირო იყო ამ კულტურის ათვისება. ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი ე. წ. კაპადოკიურმა წრემ, რომელიც IV საუკუნის მეორე ნახევარში საეკლესიო პოლიტიკისა და განსწავლულობის აღიარებულ ცენტრად იქცა. ამ წრეს სათავეში ჩაუდგა ბასილი კაპადოკიელი.

ანტიკურ ლიტერატურასთან თავისი დამოკიდებულების პრინციპებს ბასილი ვრცლად გადმოგვცემს თხზულებაში „ტრაქტატი ახალგაზრდობისადმი, თუ როგორ ისარგებლონ წარმართული ლიტერატურით“, რომელიც მან პლუტარქის გავლენით შექმნა. იგი IV საუკუნის ქრისტიანთა გარკვეული ნაწილივით როდი უარყოფს წარმართული ლიტერატურის მნიშვნელობას, არამედ, პირიქით, ახალგაზრდებს ურჩევს შეისწავლონ ეს ლიტერატურა და შეითვისონ იქიდან მხოლოდ საუკეთესო. წმ. ბასილის აზრით, ცხოვრება დედამიწაზე არის მხოლოდ მომზადება ნამდვილი, მეორე, საიქიო ცხოვრებისათვის. მასში გატარებული პრინციპების თანახმად მოქმედება. ავტორი დარწმუნებულია, რომ გამოუცდელი ახალგაზრდები მხოლოდ ანტიკური სიბრძნის შესწავლის შედეგად შეიძლება ჩასწვდნენ წმიდა წერილის სიღრმეს. სამავალითოდ ის ასახელებს წინასწარმეტყველებს: მოსეს და დანიელს, რომელთაც ჯერ შეისწავლეს ეგვიპტელთა და ქალდეელთა სიბრძნე და მხოლოდ შემდეგ ეხიარნენ საკუთარ რელიგიას. ქრისტიანობისათვის ანტიკური ლიტერატურის მნიშვნელობას ბასილი ხატოვნად გვისურათებს. ამ ლიტერატურას ის აღარებს ხის ფოთლებს, რომლებიც აღამახებენ ხეს და იცავენ სიმწიფეში შესულ ნაყოფს. წმ. ბასილი კონკრეტულად მიუთითებს, რას უნდა ერიდონ ახალგაზრდები წარმართული ლიტერატურის შესწავლისას და პირიქით — რა უნდა შეითვისონ იქიდან. მართალია, წმ. ბასილი ქრისტიანული რელიგიის ინტერესებით შემოიფარგლა, მაგრამ ამ თხზულებით მან დიდი როლი შეასრულა ანტიკური კულტურის აღდგენისა და დაცვის საქმეში.

განუზომელია წმ. ბასილის დამსახურება ქრისტიანული ლიტერატურის ყველა დარგში, მაგრამ, პირველ რიგში, იგი მაინც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც მოქადაგე.

ჰომილეტიკის ისტორია მოწმობს, რომ ქრისტიანული რიტორიკის ნიმუშები, ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, არასოდეს ყოფილა ისეთი დახვეწილი და სრულყოფილი, როგორც IV საუკუნეში. ამაში კი უდიდესი დამსახურება მიუძღვით ბასილი კესარიელს, მის ძმას — გრიგოლ ნოსელს და კონსტანტინოპოლის პატრიარქს — გრიგოლ დვთისმეტყველს.

წმ. ბასილის ქადაგებები თავისი მხატვრული ღირსებებით არ ჩამოუვარდებიან წარმართული რიტორიკის საუკეთესო ნიმუშებს, მაგრამ ძირითადი არსით ისინი მთლიანად განსხვავდებიან იმ წარმართ სოფისტთა თხზულებებისაგან, რომელთა შესახებ იგი თავის ერთ-ერთ შრომაში ახალგაზრდებს აფრთხილებდა — ნუ მიბამავთ ორატორებს სიცრუეში.

განასხვავებენ ჰომილეტიკის ორ ძირითად სახეს:

1/. თ ხ რ ბ ი თ ი ქადაგება, ნათელი, რაციონალური, სწავლება წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგიის ძირითადი პრინციპების თანამიმდევრულ და სრულყოფილ გადმოცემას. ეყარებოდა რა ძირითადად სახარებას, მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა მტკიცებას ქრისტეს ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ და ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა.


2/. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ეკლესიას, რა თქმა უნდა, დაემორჩილა მალაქი საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც თავისი დროის დიდ და სრულყოფილ განათლებას ფლობდა, ხოლო ადრე ქრისტიანობას არ თანაუგრძნობდა. საჭირო იყო ახალი რელიგიისათვის მის მიმდევრებს ფილოსოფიური მოძღვრების სახე მიეცათ. ამიტომ მოქადაგისათვის აღარ იყო საკმარისი სარწმუნოების უბრალო გადმოცემა. მათი სწავლება უნდა ყოფილიყო სამყაროს შეცნობის ფილოსოფიური სწავლება.

მოქადაგებებს უხდებოდათ ბრძოლა წარმართულ რელიგიასა და ფილოსოფიასთან გონებისა და ცოდნის იარაღით. კვლესიამ ეს ბასილი კესარიელის პირით გამოცხადდა — დიალექტიკა დოგმატიკოსებისათვის კედელი და გალავანიაო. ამგვარად წარმოიშვა ქადაგების მეორე სახე — დოგმატიკური — ო ლ ე მ ი კ უ რ ი.

ქრისტიანობის ნებით თუ უნებურად მიღების შემდეგ, ბერძნულ — რომაული საზოგადოების მიერ არ გაუქმებულა კერძო და საზოგადოებრივი წყობის ხასიათი, საყოფაცხოვრებო და მოქალაქეობრივი ურთიერთობა. აღამიანის ცნობიერებაში არ შეიძლებოდა სწრაფად ჩამქრალიყო საუკუნეებით განმტკიცებული ზნეობრივი ზორები და ცხოვრების წესები. რწმენისა და ცხოვრების პარმონია ჯერ კიდევ შორს იყო. ამის მიღწევა შეიძლებოდა მუდმივი მხილებით, პრაქტიკული ხელმძღვანელობითა და რწვეა — დარიგებებით. მეტი წარმატებებისათვის მეოთხე საუკუნის ქრისტიანი მოქადაგებები სწავლობენ ანტიკური რიტორიკის ძირითად პრინციპებს, ითვისებენ სიტყვის წარმოთქმის ორატორულ წესებს. ამ პერიოდში შექმნილი ბასილი კესარიელის ქადაგებები თავისი მაღალმხატვრულობით, აზრის სინათლითა და პრაქტიკული მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებიან ანტიკურ ავტორთა თხზულებებს.

ამრიგად, დამრიგებლური, შემავრცელებელი ქადაგება IV საუკუნეში პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ — ო რ ა ტ ო რ უ ლ ხასიათს იძენს და ამავე სახელწოდებით არის ცნობილი.





სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე მ ც ი ნ ც ა მ ე მ

(დაბადების 120 წლისთავი)

1892 წლის ივლისში ქართულმა საეკლესიო ჟურნალმა „მწყემსმა“ საზოგადოებას ამცნო:

«წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ერთმა ქართველმა, სახელდობრ კალისტრატე ცინცაძემ, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის მთავრობამ 1888 წ. გააგზავნა სახელმწიფო ხარჯით ხსენებულ აკადემიაში. ბ. ცინცაძემ კანდიდატობის ხარისხის მისაღებად ვრცელი თხზულება დაწერა შემდეგს თემაზე: „ივერიის ეკლესია სასანიდების დროს. აი, რას ამბობს ამ თხზულების შესახებ პროფესორი აკადემიის ბ. მალიშვსკი: „... ავტორს გულწრფელად უყვარს თავისი სამშობლო ეკლესია და გატაცებულია სურვილით, შეისწავლოს მისი ისტორია. იმისათვის ძვირფასია მისი გარდმოცემანი, მისი სიწმიდენი, მისი მართლმადიდებლობა და კეთილწარმატება... ავტორი ვრცლად გაცნობილია ქართულ ისტორიულ პირველწყაროებთან, აქვს შესწავლილი რუსეთის და უცხო ქვეყნების ისტორიული მწერლობა, რომელიც კი ივერიას შეეხება. ზოგიერთს ადგილას მისი ისტორიული კრიტიკა სუსტია, მაგრამ ეს მას ეპატიება, როგორც გამოუცდელს, ახალგაზრდა მკვლევარს. იგი ბევრს საცილობო კითხვებს... ივერიის ეკლესიის ისტორიიდან ნათელს ჰჟენს..»

ასეთივე აზრი წარმოსთქვა ამ თხზულების შესახებ აკადემიის პროფესორმა ბ. ა. ოლენსიციმ.

ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვებთ, რომ ბ. ცინცაძეს არ მიებადოს ზოგიერთი უმაღლესი სწავლა და მთავრებულ ქართველ ახალგაზრდებისათვის და მათ მსგავსად მხოლოდ კუჭის მსახური არ გამხდარიყოს, ვინაიდან „არა პურითა მხოლოდ ცხოვნების კაცი...“ (ილ. შერაძე, წერილი კიევიდან, „მწყემსი“, 1892, № 13-14, გვ. 10-11).

საქართველოს ეკლესიის ჭირისუფალთა იმედები გამართლდა. ღვთისმეტყველების კანდიდატი კალისტრატე ცინცაძე სამშობლოში, საქართველოში, ჭეშმარიტი მოძღვრის მრწამსითა და შემართებით შეუდგა ღვთისმსახურების სანატრელ (თუმცა მძიმე) უღელს. განაგებდა დიდუბის ღვთისმშობლისა და, 1903 წლიდან, ქვაშეთის წმ. გიორგის სამრევლოებს. ამავე ეკლესიის წინამძღვრო-

ბისას, 1909 წელს, მის დეკანოზობა ებოძა. 1925 წლის 31 ოქტომბერს უკვე მრავალნაწილი და ღვაწლმოსილი ხუცესი კალისტრატე უწმიდეს კათოლიკოს-პატრიარქ აპბროსის ლოცვა-კურთხევითა და მის მიერვე ხელდასმულ იქნა ეპისკოპოსად. იმავე დღეს მას მიტროპოლიტობა მიემაღლა და დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრედ. ხოლო 1932 წლის 22 ივნისს სრულიად საქართველოს VI საეკლესიო კრებამ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ერის სულიერ მამამთავრად აღასაყდრა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ოცნებამ ფრთა შეისხა და ჩვენმა ეკლესიამ 1917 წლის მარტში დამოუკიდებლობა აღიდგინა, ყოვლადსამღვდელო კალისტრატე განუხრელად იღვწოდა მშობლიური ეკლესიის სახელის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სარბიელზე. იგი მიისწრაფოდა, რომ მსოფლიოს ავტოკეფალურ ეკლესიებს ეცნოთ ქართველი მორწმუნე ერის უფლებები და მართლმადიდებლურ ოჯახში ისტორიულად კუთვნილი ადგილი მიეჩინათ მისთვის. თავდაპირველად მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქები არ აღასტურებდნენ ივერიის ეკლესიის განახლებულ ავტოკეფალიას, რადგან რევოლუციურ აქტად მიაჩნდათ იგი და უპასუხოდ ტოვებდნენ საქართველოს ეკლესიის საჭეთმყრობელთა გზავნილებს. მათ არ მიიწვიეს საქართველოს წარმომადგენლობა 1927 წლისათვის დანიშნულ VIII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (რომელიც ვერ შედგა). მაშინ საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ თვით მიმართა ყოვლადუწმიდეს პატრიარქს მძური ეპისტოლეთი, რომლის ტექსტი საკათოლიკოსო საბჭოს მინდობილობით მიტროპოლიტად პატივდებულმა კალისტრატემ შეადგინა (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982 წლისა, გვ. 154-5). 1920 წელს მანვე შეადგინა ეპისტოლე სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონისადმი (გამოიცა წიგნაკად იმავე წელს) და ამხილა აურნ. „ცერკოვნიე ვედომოსტის“ მონაჭორი ქართველთა „სეპარატიზმსა“ და „ნაციონალიზმზე“ — ვინმე „ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრის“ მიერ შეთხზული ეპისტოლეების სიყალბე (იხ. „მრავალთავი“, № 13, 1986, გვ. 105).

„მოიგსენენით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა, და ჰხედვიდით გამოსლვასა მას ცხორებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა“.

(ებრაელთა 13,7)



საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებების საერთაშორისო აღიარებისათვის 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის, სერგის მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. კვირას, 31 ოქტომბერს, კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ მთავარეპისკოპოს ანტონის თანამწირველობით სიონის ტაძარში შეასრულა საღმრთო ლიტურგია, რის შემდეგაც აღდგა ძმური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. როგორც კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე გვამცნობს, ამ აქტით რუსეთის ეკლესიამ თავისი ისტორიის მანძილზე ოფიციალურად და ფორმალურ-კანონიკურად პირველად ცნო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა და ამის შესახებ აცნობა მართლმადიდებელ მწყემსმთავრებს.

მამამთავარი კალისტრატე იღვწოდა, შვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა საერო და სასულიერო მთავრობებს შორის. საბჭოთა მთავრობას იგი „ჟამითიუჟამოდ“ სწერდა მოხსენებებს ბარათებს, რითაც უსაბუთოდ-

და ეკლესიის მნიშვნელობას ქვეყნის სულიერი ცხოვრებისათვის, ქართველი სამღვდელთა დაღვთებით როლს ჩვენს ისტორიისათვის ჯა იმას, რომ შვიდობის იდეა აუცილებლობს სარწმუნოებასა და ეკლესიას.

შორე მსოფლიო ომის დროს კ. ცინცაძე ანტიფაშისტურ ძალთა მხარეზე იდგა; ფრონტისათვის სახელმწიფო ბანკში გახსნილი იყო მისი პირადი ანგარიში № 350022. პრესის საშუალებითა თუ საუბრებით მოხუცი კათოლიკოსი ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა, რისთვისაც საბჭოთა მთავრობამ და პირადად ი. ბ. სტალინმა მადლობა გამოუცხადეს. ომის შემდგომაც იგი სამშვიდობო მოძრაობის აქტიური წევრი იყო: მონაწილეობდა შესაბამის ფორუმებში მოსკოვს 1948 და 1951 წლებში, ამ თემაზე მიმოწერა ჰქონდა უილიამ კინგთან, ჟოზეფ რაიტთან და ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის სხვა ინიციატორებთან.

ღრმად განათლებულმა ხუცესმა წვლილი გაიღო საზოგადოებრივსა თუ სამეცნიერო-შემოქმედებით


სარბიელზე. სამოღვაწეო ასპარეზე გამოსვლის თანავე ცხადი გახდა, რომ იგი „თერგდალეულთა“ ანუ „სამოციანელთა“ მემკვიდრე იყო. ამ თაობის მიერ წამოყენებული ახრი საქართველოს ხსენისა და გადარჩენის შესახებ, ახალი როლი იყო: XVI-XVIII სს-ში, ეროვნული განსაცდელის ჟამს, ქართული კლტურის მოღვაწენიც სწორედ ეროვნულ-ეკლესიურ მოტივზე ამახვილებდნენ ყურადღებას. 1893 წლის 25 აპრილს, მრევლის წინაშე პირველად გამოსვლისას, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ეპიტაფიით (იხ. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1983, № 1) მომღვარმა კალისტრატემ პოეტის სულისკვეთება საღვთისმეტყველო — ფილოსოფიური საზრისით განმარტა. აღიარა, რომ განსვენებულის გენია სამყაროში მთვლემარე ღვთიური საწყისის შემეცნება... ამ საწყისთან ზიარების გზით საზოგადოების კათარზისი კი კ. ცინცაძემ მოღვაწეობის ქვაკუთხედად დასახა: „ვინაიდან, — ქადაგებდა იგი, სარწმუნოება და ზნეობა დაამხო ცრუმეცნიერებამ და ცრუგანათლებამ, მეცნიერებამ და ჭეშმარიტმა განათლებამ უნდა კვლავ აღადგინოს იგინი“ (გაზ. „ივერია“ 1903, № 7). და, მართლაც, კათოლიკოს კალისტრატეს მოღვაწეობის ვრცელ გზაზე არ გადადგმულა რაიმე მნიშვნელობანი ნაბიჯი ერის სულიერი წინსვლისა, საკუთარი კვალი რომ არ დაენიხა მას სიტყვითა თუ საქმით. იგი იყო პედაგოგი (ასწავლიდა საღმრთო რჯულს თბილისის რამდენიმე გიმნაზიაში); საეკლესიო მუზეუმის მდივანი (1897-1921 წწ); ბიბლიის ქართული თარგმანისა და საღვთისმისხურო წიგნების შემსწორებელი კომისიის წევრი 1896-1917 წწ. მცხეთის ტაძრების აღორძინების კომიტეტის მდივანი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრი; ქართული ფილარმონიული საზოგადოების დამაარსებელთაგანი, წარგზავნილი იყო სამღვდელეობის დეპუტატად თბილისის ქალაქის სათათბიროში 1895-1903 და 1916-1917 წ-ში, თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისათვის თათბირზე 1909 და 1916 წწ-ში; 1905 და 1917 წწ-ში კი პეტერბურგს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მოსაგვარებლად.

კ. ცინცაძემ ამაგი დასდო ისტორიულ ძეგლებსა და სიძველეთსაცავთ. მისი მცდელობით დანგრევას გადარჩა ქვაშეთის ტაძარი, გააუქმეს პროექტი, რომელიც სიონის კარმიდამოს რეკონსტრუქციას ისახავდა მიზნად. 1928 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს (ამჟ. ხელნაწ. ინსტ. A ფონდი) შესწირა ხელნაწერები: „ლოცვანი“ (ქეთევან დედოფლის ნაქონი, XVI ს.), „მარგარიტი“ (XVIII ს.); „სჯულის კანონი“ (დავით რექტორის გადაწერილი) და სხვ. მის თვალა გამოკვლევას (ისტორიის, ლიტერატურის თუ ხელოვნების დარგებში) აჩნია ავტორის ზნეობრივი პოზიცია — უანგაროდ, საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით დაეხმაროს სპეციალის-

ტებს შეუსწავლელ-გადაუჭრელ საკითხებზე მუშაობისას. ამ მიზნითაა შექმნილი მონოგრაფიები: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (1905, რუს. ენაზე), „ისტორიული ცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ (1906, რუს. ენაზე), „ნიკიფორე ორბაქის ვინაობისათვის“ (1929), „ქართული ოდიკისათვის“ (1941), „გვეზის ტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (1936), „თბილისის ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესია“ და სხვა, რომელთაგან ზოგს „კ. მ. კვაშვილის“ ფსევდონიმით აწერდა ხელს (კ.-პ. კალისტრატეს სამეცნიერო მემკვიდრეობაზე იხ. კრ. „მრავალთავი“ XIII, გვ. 96-113).

სამრველოში შესვლის პირველსავე დღეს მან ხუცესის წარმმართველ საქმედ საღმრთო სწავლა — მეცნიერების ხალხში დანერგვა აღიარა (გაზ. „ივერია“ 1903, № 7) და დასძინა: „ქრისტიანისათვის საგანი მისწრაფებისა არის და იქნება, რათა გამოიხატოს ზენს შორის ქრისტე“ (გლავტ. 4,19). მან, მომღვარს, დრმაღ სწამდა და საქმით აღიარებდა, რომ ჭეშმარიტი განათლება და ზნეობა სარწმუნოებისაგან განუყოფელია, რომ სულმდაბალი და ზნედაცემული „ქრისტიანი“ ცრუმორწმუნეა, რადგან ქრისტე თავადაა სრულყოფილი ზნეობა და სიყვარული. და, თუ როგორ უნდა გაგვეგო მართლმორწმუნეობის არსი, მომღვარმა იაკობ გოგებაშვილის, დიდი პედაგოგის, ცხოვრებიდან ასეთი შემთხვევა გვამცნო: „უკანასკნელ დღეებში, როცა მახლობლებმა უამბეს (ი. გოგებაშვილს), შენს საღვდრძელად და სენისაგან განსაკუთრებულად საქართველოს ყოველ კუთხეში პარაკლისები გადაუხდითო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, დაშვებდა, გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთქვა: „მაღლობა დმერთს, ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანია, ვინაიდან სხვისთვის ლოცვა მართო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებააო...“

კათოლიკოს — პატრიარქ კალისტრატეს მოგონებათა კრებულს ალამაზებს ყოველდღისამღვდელი გაბრიელის ნათელი სახე: ერთხელ ეპისკოპოსს სტუმრად მიუღია სტუდენტი კალისტრატე. მუფუს უსაუბრია მასთან, უსადილებია და ფულიც უწუქებია ჭაბუკისათვის. ლოცვა — კურთხევისას უთქვამს: თუ საქართველო გიყვარს, ბერობაზე უნდა იფიქრო. ამით მღვდელმთავარს ახალგაზრდისათვის შემონაზვნების სურვილი აღუძრავს, მაგრამ იმხანად ზეცას სხვაგვარად უნებებია და სამღვდელოდ გამზადებული უცხოელ ქალიშვილს შეუღლებია. ზნემაღალ დედას მხარი აუბამს თავმდაბალი და ჯვარისმტვირთველი მეუღლისათვის: როდესაც (1925 წელს) მამა კალისტრატეს ეპისკოპოსად მოუწოდეს, მორწმუნე მეუღლეს ქმრისათვის უთქვამს: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა დაუტეო ცოლიცა და შვილიც, აღიღო ჯვარი თვისი და შეუდგე ქრისტეს (მათე



თბილისი, ჭვავვეთის წმიდა გიორგის ეკლესია. XX ს.

„სამთავისის“ მოდელის კვალდაკვალ აგებული ჭვავვეთის ტაძარი (არქიტექტორი ლ. ბილფელდი, ხუროთმოძღვარი ე. ანდრეოტტი) წარმოადგენს იშვიათ შეთანხმებას სიმარტივისა და სიმსუბუქისას, თვალტანაღობისა და სილამაზისას... თუ ქართული ხუროთმოძღვრების განსაკუთრებული თვისებაა ჩუქურთმა-გრეხილების სინაზე და სიმრავლე, ჭვავვეთის ტაძარი, შეიძლება თამამად ითქვას, ერთერთი საუკეთესო ძეგლია ამ მხრივ ტფილისში. იგი შემოსილია ჩუქურთმებით ზომიერად. ...ჩუქურთმები გადმოღებულია საქართველოს სხვადასხვა ეკლესიებიდან და შეხამებულ-შეფარდებულია ერთიმეორესთან იმნაირად, რომ ვერც კი გარჩევთ, განსხვავდება რითიმე ერთი სარკმლის თამასები მისი მეზობელი სარკმლის თამასებისაგან, თუ არა. ესეც ერთგვარი თავისებურებაა ქართული ხუროთმოძღვრებისა.

კათოლიკოს-პატრიარქი კ ა ლ ი ს ტ რ ა ბ ე



რმოცი სებასტიელი მოწამე, ხატი სვანეთიდან

10,37), ჩვენთვის ზრუნვა მიუტევე უფალსა (ფს. 54, 23): რომელი არ ივიწყებს ცის ფრინველთა, არ მოგაკლავს თავის მოწყალეობას ჩვენცაო... ასე აუსხამს ფრთანი ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ლოცვა-კურთხევას და, თუმცა მამა კალისტრატე მონოზენად არ აღკვეცილა, კათოლიკოსმა მიხეილ-ლირსეულად ითვისა ბერობის მადლი. მისი ცხოვრება სულიერი ზრდისა და ფერიცვალების გზა იყო. გასაოცარი იყო ღრმადმოხუცის გონება და მსჯელობის სიღრმე. მის უწყმიდესობას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ხშირად აკითხავდნენ მეცნიერები რჩევა-ღარიგებისათვის. პატრიარქ კალისტრატეს საფუძვლიან მითითებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს ანგარიშს უწყვედნენ ღვაწლმოსილი მკვლევარნი, რომელთაც ბევრჯერ აღუნიშნავთ დიდი მეუფის უხმაურო დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე. მთავარხუცესი ყოველმხრივ იცნობდა საშუალოს, რის წყალობითაც ბევრ ქართველოლოგს გაუმართა ხელი და აღუბრა სურვილი ჩვენი ეროვნული კულტურის უკეთ გაცნობისა. უცხოელებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ კულტურით, იგი ხშირად აწოდებდა სათანადო მასალასა და საყურადღებო მითითებებს. იგი შეძლებსამებრ ეხმარებოდა აგრეთვე (სწერდა წერილებს, უგზავნიდა წიგნებს) უცხოეთში მოღვაწე მეცნიერს, პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესიის დამაარსებელსა და მოძღვარს, გრიგოლ ფერაძეს, სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო კრების მიერ (გელათი, 1921 წ. სექტემბერი) სასულიერო განათლების მისაღებად დასავლეთ ევროპაში გაგზავნილს, რომელიც არქიმანდრიტის ხარისხში მოწამებრივად აღესრულა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტთაგან.

ვით ღირსი ბერი, ნეტარსხენებული კათოლიკოსი ეროდებოდა რეკლამას. ხშირად სხვისთვის გაირჯებოდა, თავად გადაიტანდა მეცნიერული კვლევის მთელ სიმძიმეს და, თუ აუცილებელი არ იყო, ვინაობას არ გაამჟღავნებდა. მოაქეპრეს თავისი ცოდნისა და ინტელექტის უპირატესობას არ აგრძნობინებდა.

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ მოყვასისადმი თავდადებას გვაძინებს თანამედროვის წერილი (კ. ცინცაძე, არქ. № 93), რომლის უცნობი ავტორი ასე მოგვითხრობს უხუცესთა უხუცესის ყოველდღიურ ცხოვრებას: „წვება არა უადრეს პირველი საათისა, ხოლო 6 საათზე უკვე ფეხზე... უპირველეს ყოვლისა, ლოცვით მიმართავს უფალს თავის ბინაში. შემდეგ ეწვევა ტაძარს, ემთხვევა ხატებს, განსაკუთრებით წმ. ნინოს ხატს. შედის საკურთხეველში, სადაც მუხლმოდრეკილი დიდხანს ლოცულობს. ლოცვის შემდეგ სათანადო განკარგულებებს გასცემს ტაძარში და შინ ბრუნდება. გზაში მოწიწებით ლოცულობს ტაძრის გვერდით დასაფლავებულთა სულის საოხად... საუზმობს უბრალო ჩაით და მსუბუქ მისატანებლით. ისევ მოკლე ლოცვა და შეუდგება მუშაობას... აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ დაწესებული დრო მოხონველთა მიღებისათვის, რაც არ უნდა საქმე ჰქონდეს მას, არა აქვს. იგი იღებს ყველას, ვისაც კი მასთან ესაქმება. ის. გადაუდებლად იღებს ზომებს მოხონველთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ვაი იმის ბრალი, თუ მას საეჭვო აღამიანი ეწვევა... სათნოა და გულკეთილი. გარშემოყოფთ უკვირთ მისი გულისხმიერება, თანაგრძნობა მოყვასის გაჭირვებისადმი... ნაშუადღევს 3 საათზე მისი უწყმიდესობა სადილობს. იგი სტუმართმოყვარეა: 2-3 აღამიანი მუდამ უზის გვერდით სუფრასთან. თავის ტახლაზე კათოლიკოსი ყველასთან ერთნაირია, განურჩევლად მღვთმარეობისა და თანამღვდობისა... მუშაობს ღამის 12 საათამდე. მუშაობას სწვევს მხოლოდ ჩაის დასალევად 7 საათზე... არავითარი უძრავი ქონება ან ფულადი საღსარი არ გააჩნია. განსაგებოდა: ეხმარება ყველას, ვინც კი მას მიმართავს. ბევრი ნუგეში უნახავს ცხოვრებაში, მაგრამ სიმწარეც ბევრი უგემნია“.

დავავთ: ოდენ ქრისტესმიერი მოთმინება, რწმენა და სიყვარული ანუგეშებდა სწულს. მარადის ლოცვამ გამოაწრთო და ბოლომდე აზიდვინა ჯვარი, რომელიც სიყრმითგანვე ეტვირთა მიმდევნს მოძღვრებისა: „პაბივედ ჯინჭველსა, მეღგარო, და იქმენ მუშაჲ მსგავს მისა“ (მდრ. იგავი სოლ. 6,6) სიცოცხლის ბოლო წლებშიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მამამთავარი ყველას აოცებდა უხადო მესხიერებითა და ხალასი აზროვნებით. ზნესრული მოძღვრის განათლებას ბოლო არასოდეს მოღებია. ასეთი რამ წმიდანთა ზვედრია მხოლოდ!

მრავალნაცადი მწყემსმთავარი იღვწოდა, რათა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას საიმედო მომავალი შექმნოდა სასულიერო სასწავლებლისა და ბეჭდვითი ორგანოს სახით, მაგრამ ეს ნატვრა ამჟვეყნიდან თან წარიტანა.

გვიამბობენ: 1952 წელს ნაავადარი მწყემსმთავარი განსაკუთრებული ხალისით შეეგება ნინოსობას: მცხეთა — თბილისის ხუცესნი სიონს მიიხმო. მამული და დედული შეავედრა მოციქულთა სწორს. თავისი მარჯვენით აზიარა ქრისტესმოსაჯენი. შემდგომ სტუმარნი ახალნაგებ საპატრიარქო ხახლში მიიპატიჟა (რომელიც სესხით აუშენებია). აკურთხა და დალოცა ჭერი საშვილიშვილი. მერე ტრაპეზად დასხა ყველა. ჩვეულებისამებრ მოიღვინა ხანდაზმულმა...

იმ დღიდან სენმა ავად დარია ხელი: 3 თებერვალს ვალმოხდილი კათოლიკოსი არსთა გამრიგემ წუთისოფლიდან გაიხმო.

დასძენენ: იმ ხაშთარს მზიანი დღეები იღვავო. მხოლოდ 3 თებერვალს მოიდრუბლა, თოვლი მოვიდა: ბუნებაც ატირდაო ჩვენთან ერთად...

და ზეციური ცრემლით გაპატოსნებულმა გვაძმა სიონს განისვენა მარადჟამიერ.

6. კ ა კ ა შ ა შ ვ ი ლ ი.

წმ. მთავარმოწამის გიორგის
ხსენების დღეს თქმული დეკ. კალისტრატე
ცინცაძის მიერ

წმიდაო მთავარმოწამეო და
ღვაწლით შემოსილო გიორგი,
ევედრე დმერთსა ჩვენთვის.

ამ სიტყვებით მიემართავთ ხოლმე წმ. გიორგისა და ვიძღვრებთ, მისი ვედრება უფალმა შეისმინოს და მოგვანიჭოს თავისი უხვი მოწყალება. მაგრამ მოჰხდება ხოლმე, ჩვენს თხოვნას წმ. გიორგი და თვით უფალიც თითქოს ყურს არ ათხოვებენ და არ გვისრულებენ. ამის გამო ზოგი ჩვენგანი ნელ-ნელა გულს აიყრის ღოცვაზედ, და ბოლოს, სრულებითაც თავს გაანებებს. რამდენად მართალნი არიან ამ შემთხვევაში? და თუ მართალნი არ არიან, რა არის მიზეზი, უფალი რომ არ გვისრულებს ღოცვა-ვედრებას?

პირველ ყოვლისა, ღოცვის დროს საჭიროა ყურადღება, გულისხმისყოფა. ჩვენ კი ხშირად ვიშორებით ზეპირად დასწავლილ ღოცვებს, ვისმენთ სხვის მიერ წაკითხულ წმიდა სიტყვებს, ვიწერთ პირველად, მოვიყრით მუხლსა, მაგრამ ყურადღება სხვა საგნებზედ გვაქვს მიქცეული, გვაგონდება ცოლი და შვილი, ნაცნობნი და მეგობარნი, მათი დაჯდება და საჭიროებანი. აბა ჩაკითხვით ხანდახან თქვენს გონებას, რას მოგვიტოვებდა წირვაზედ წაკითხული სამოციქულო ანუ სახარება, და დარწმუნდებით, რომ ტაძარში დგომის დროს გონება ჩვენი სხვაგან ყოფილა.

არ მივეშგავებით ამ შემთხვევაში ჩვენ იმათ, რომელთათვის პბრძანა მაცხოვარმა: ერთ ესე ბაგითა მათითა პატივმცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, — ამჟამად მსახურებენ მე (მარკ. 7, 6-7)?

მეორე მიზეზად ჩვენი ღოცვის უნაყოფობისა უნდა ჩაითვალოს ორგულობა, ორჭოფობა. უფლისაგან ვითხოვთ მოწყალებას, მაგრამ ეჭვი გვებადება, აგვისრულებს უფალი თხოვნას, თუ არა. უფალმა კი გვიბრძანა: ყოველსა, რომელსა ღოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიდოთ და გეყოს თქვენ (მარკ. 11, 24). ღოცვის დროს ჩვენს გულში არავითარ რყევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისე, როგორც არა ჰქონია გულში ეჭვი წილოვანს დედაკაცსა, რომელმანცა სთქვა, დაღათუ ხამოსელსა ოდენ მისსა (იესოსსა) შევეხო, ესცხონდენ (მარკ. 3, 28), და შევეხო თუ არა, მყისვე განიკურნა სენისაგან თვისისა.

ჩვენ კი ასეთ სიმტკიცეს ვერ ვიჩენთ და ღოცვაც ჩვენი პრჩება შეუსმენლად, ვითარცა იტყვის წმ. მოციქული, რომელი ორგულობდეს, ნუ ჰკონებს კაცი იგი, ვითარმედ რაიმე ყვოს ღვთისაგან (იაკობ. 1, 6-7).

სხვა მიზეზიც არის ჩვენი ღოცვის უნაყოფობისა. ჩვენს ღოცვას ხშირად აკლია მედგრობა, იძულება ანუ შეუდრეკელობა. მოხდება ხოლმე, ერთისა და ორის თხოვნის შემდეგ თავს ვანებებთ ღოცვასა, თითქოს გვეხატებოდეს ღვთის შეწუხება. უფალმა კი ბრძანა: სასუფეველი ღვთისა იძულების, და რომელნი იძულებენ, მათ მიიტაცონ იგი (მათ. 11, 12). ამ მედგრობის მაგალითს გვაძლევს ჩვენ ქერივი დედაკაცი, რომელიც მარად დღე ვედრებოდა მსაჯულს სიცრუისასა: მისაჯე მე წინა მოსაჯულისაგან ჩემისა, ხოლო მან არა ისმინოს მისი, ვიდრე რომლად ვამადმდე. ამ მედგრობით გაბეზრებულმა მსაჯულმა სთქვა: „დაღათუ ღვთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხვენის, უსაჯო მას, რათა არა მარადის მოვიდოდეს და მაწყინებდეს მე“.

ამ იგავით უფალმა გვასწავლა: ნუთუ ღმერთი არ შეისმენს ღოცვასა რჩეულთა მისთა, რომელნი დაღადებენ მისა დღე და ღამე (ლუკ. 18, 1-7)?

ღოცვის შეუსმენლობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ცოდვათა შინა ყოფნაცა. ხშირად აღაძიანი უკვე ჩადენილი ცოდვის შენდობისათვის როდი ევედრება ღმერთს, როდი ცდილობს მოიშოროს ცოდვა თავითგან, განამზადოს გული თვისი სულის წმიდის ტურტლად, არამედ ვედრებასა და შესაწირავსა მიართმევს უფალსა სხვა რაიმე მოწყალებისათვის. უფალმა კი უკვე ისაია წინასწარმეტყველის პირით გავგაფრთხილა ამგვარი ღოცვისათვის. „ოდეს განიყრნეთ ხელნი თქვენნი ჩემდამო, ბრძანებს უფალი, მივაქცინე თვალნი ჩემნი თქვენგან, და უკეთუ განამრავლოთ ვედრება, არა შევისმინო თქვენი, რამეთუ ხელნი თქვენნი სისხლით /არიან/ საესე“. ხოლო თუ გნებავთ ვისმინო ვედრება თქვენი, გვამცნებს უფალი, განიბანენით, წმიდა იქმნით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა წინაშე თვალთა ჩემთა, დასცხვით

ბოროტობაგან თქვენთა, ისწავეთ კეთილის ქმნა, გამოიძიეთ მსჯავრი, უსაჯუტო ობოლსა და განამართლეთ ქვრივი (ისაია 1, 15-17).

რად უნდა გვეუცხოვოს ამის შემდეგ ჩვენი ლოცვის შეუსმენლობა?

ლოცვის უნაყოფობის მიზეზად შეგვიძლია ჩავთვალოთ თხოვნის ასრულების ურგებლობა. მოჰხდება ხოლმე, ჩვენ ვევედრებით უფალს, მოგვანიჭოს ისეთი რამ, რომელიც ჩვენთვის მავნებელი თუ არა, მარგებელი მაინც არ არის. ამგვარი თხოვნა ჩვენი წარმოსდგება იქითგან, რომ მყობადი ანუ მომავალი არ ვიცით; ამის გამო საგანს ყოველი მხრით ვერ გავსჭვრეტთ და ის, რაც სულიერად ზრდისათვის მავნებელია, სასარგებლო გვგონია. ესეთი განუჭვრეტელობა სჩვევია არათუ ჩვეულებრივ ქრისტიანეს, არამედ ღვთივგანბრძობილ პირთაცა. წმიდა მოციქული პავლე სწერს: ხშირად მქენჯნიდა ერთგვარი სენიო; ამისათვის, იტყვის მოციქული, სამეზის ვევედრე უფალსა, რათა განმასოროს ჩემგან, მაგრამ უფალმა მამობრივის შრუნველობის გამო უარი უყო წმ. პავლეს, რათა არა აღვიმადლო, რომ არ შემეპაროს მე ამპარტაუნებაო. უფალმა უბრძანა მას: კმა არს შენდა მადლი ჩემი, ძალი ჩემი უძღურებასა შინა იქმნებისო — და მოციქულიც დასცხრა ვედრებად ამ სენისაგან განთავისუფლებისათვის (2 კორ. 12, 8-9).

მოციქულთან ერთად, ჩვენც რომ უარი გვეკოს ამგვარ შემთხვევაში, საკვირველი იქნება?

უკანასკნელ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხანდახან უფალი განზრახ გვიგვიანებს თავის მოწყალებასა, რათა მოწყალების მოლოდინში სულით და გულით მივენდნეთ მას და განმტკიცდეს ჩვენი მისადმი სასოება. საუცხოო მაგალითს ლოცვით სასოების განმტკიცებისას გვაძლევს ქანანელი დედაკაცი, რომლისა ასული ეშმაკეულ იყო. გაიგო რა იმ დედაკაცმა მისვლა უფლისა ადგილთა ტვიროსისასა და სიდონისასა, იმ წამსვე მიიჭრა მასთან, ჰლაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო ღვთისაო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად

ეშმაკეულ არს, ხოლო იესო არა მიუგო მას სიტყვა. დედაკაცის უბედურებამ მიიქცია მოციქულთა ყურადღება და მათ სთხოვეს უფალს დედაკაცისათვის, მაგრამ პასუხად უარი მიიღეს. ამ უარმა დედაკაცის სასოება კი არ შეასუსტა, არამედ განაცხოველა კიდევც, მოუხდა იგი იესოს, თავყანის-სცემლა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე, ხოლო თავადმა პრქვა მას: „არა კეთილ არს მიღებად პური შეილთაგან და დაგებად ძაღლთა“. ამ ებრაულმა ანდაზამ უმეტეს განამხნვეა დედაკაცი ქანანელი და პრქვა იესოს: უფალო, ძაღლნიცა სჭამედ ნაბიჭვეისაგან, რომელ გადმოსცვივიან ტაბლისაგან უფალთა მათთასა. მაშინ მიუგო იესო და პრქვა მას: ჰოვ დედაკაციო, დიდ არს სარნმუნოება შენი, გეყავნ შენ, ვითარცა გნებაეს, და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან. (მათე 15, 21-28).

როგორც ჰხედავთ, საყვარელო, თუ ჩვენი ლოცვა მიზანს ვერ მოჰხვდება, ან მით აიხსნება, რომ ღირსნი არა ვყოფილვართ ღვთის მოწყალებისა, ან კიდევ მით, რომ უფალი გვიგვიანებს თხოვნის შესრულებასა. ცხადია, ლოცვაზე ხელი კი არ უნდა ავიღოთ, არამედ ღირსეულად მოვემზადნეთ მისთვის და განვაძლიეროთ იგი. სწორედ ამიტომ გვირჩევს წმ. მოციქული მოუკლებელად ილოცვედითო (1 თეს. 5, 17), ე.ი. მუდამ გონებაში გაქვნიდეთ მცნებანი უფლისა და ყოველივე განზრახვა, სიტყვა და მოქმედება შეუფარდეთ მათო. მოუკლებელი ლოცვა დაგვაახლოვებს უფალთან, ნელ-ნელა გაავითბობს ცოდვათაგან გაცივებულს გულსა და თავის ღრობედ წარმოშობს სასურველს ნაყოფსა, ისე, როგორც დედამიწა, მზესთან მიახლოვებით, ხამთრის სუსნით თითქოს გამხმარის ხისაგან მოგვაწვდის მწიფე ნაყოფსა...

მაშ შევევედრნეთ წმ. მთავარ მოწამეს გიორგის, არა დასცხრეს იგი ვედრებად ჩვენთვის და თვისი მეოხებით ღირსგვეოს, ქანანელ დედაკაცთან ერთად ვისმინოთ უფლისაგან: გეყავნ თქვენ, ვითარცა გნებაეს. ამინ.





ეპისკოპოსი ლეონიდე (ჰჰანია)

დაბადების 100 წლისთავი

ქუთაისში, არქიელის გორაზე არის წმიდა გიორგის სახელობის მოქმედი ეკლესია. ეკლესიაში შესვლისას მლოცველს თვალში მოხვდება ტრაპეზის წინ მდებარე საფლავის ქვა წარწერით:

„45 წელი პირნათლად ვემსახურე ამ მიწიერ ქვეყანას, მართლმსაჯულების დარგში. ამიერიდან შევუდევ ქრისტეს. უფალმან მწყოს, გთხოვთ შენდობას“. ეს სიტყვები ეკუთვნის აწ განსვენებულ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოს ლეონიდეს.

ეპისკოპოსი ლეონიდე, ერისკაცობაში ლაერენტი ტიმოთეს ძე ჟვანია, დაიბადა 1 (14) დეკემბერს 1885 წ. სოფელ ლეჯიქეში (ახლანდელი სოფ. ქვედა ჩხოროწყუ), კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში.

ეპისკოპოს ლეონიდეს წინაპარი იყვნენ სასულიერო პირნი. მამა — ტიმოთე იყო წინამძღვარი ლეჯიქეს მთავარანგელოზის ეკლესიისა. პაპა-უჩანა, ბაბუა-იოანე და ბიძა-კიპრიანე იყვნენ მღვდლები. პაპა-უჩანა სამეგრელოს მთავარ დადიანის დაახლოებული პირი ყოფილა. მის შთამომავალთა ოჯახში ახლაც რელიქვიად ინახება მთავრის მიერ ნაჩუქარი ნივთი.

პირველდაწყებითი განათლება ლეონიდემ მიიღო ქ. ახალ სენაკში /ახლანდელი ცხაკაია/, 1903 წელს გამოცდა ჩააბარა სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში. 1907 წელს ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიწვე-

ული იყო კოლეგიალურ გიმნაზიაში პედაგოგად, სადაც ასწავლიდა კანონმეტყველებას, ლოგიკას და ფსიქოლოგიას.

1957 წლის 1 თებერვალს, კათოლიკოს-პატრიარქის, მელიქისედვე III-ის ლოცვა-კურთხევით, აღიკვეცა ბერად და ეწოდა სახელი ლეონიდე.

1957 წლის 15 თებერვალს ლეონიდე აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და განმწესდა ცხუმ-აფხაზეთში. 1958 წელს მიიღო უფლება სკუფიაზე ჯვის ტარებისა. მუუფე ლეონიდე დაჯილდოებული იყო წმიდა ნინოს ორდენით. იგი მუდამ გულმოდგინედ ასრულებდა მშობლიური ქართული ეკლესიის მორჩილ სამსახურს. მისი მუშაობის პერიოდში მოხატეს და გაამშვენებინეს სოხუმის საკათედრო ტაძარი. ეკლესიას დაუბრუნდა საეპარქიო სახლი, რომელიც დაკავებული ჰქონდა კერძო მობინადრეს. ეპისკოპოსმა ლეონიდემ შეაკეთა ილორის წმიდა გიორგის ბაზილიკური ეკლესია, ხოლო ეკლესიის შემოსავალი, რომელიც წლების განმავლობაში ნიავედობდა, თვით ეკლესიას დაუქვემდებარა.

ეპისკოპოსი ლეონიდე აღესრულა თავის დაბადების დღეს 1(14) დეკემბერს 1964 წ. სოხუმში. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ, მიტროპოლიტმა დავით ურბნელმა (დევდარიანი) და ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა ნაოჰმა (შავიანიძე).



ეროაწმიდის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი.

ვიჟუარეზოლეთ ურთიერთას



მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ა თ ო ნ ი ს მ თ ა ზ ე

ღვთის დიდი განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით 1985 წლის 26 ნოემბერს საბერძნეთს, ათონის მთის მონასტრების — მოსალოცად გაემგზავრა ქართველ სასულიერო პირთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე და სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელი დავით დათუაშვილი. წმიდა მთაზე ქართველთა გამგზავრება მოხდა ათონის ივერთა მონასტრის ძმთა მიწვევით.

მოსკოვის შერეპეტიევის აეროდრომიდან აიღო საბერძნეთისაკენ გეზი ჩვენმა თვითმფრინავმა. გზაზე ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მცირე ხნით შესვენება გველოდა. შუადღისას კი თვითმფრინავი უკვე საბერძნეთის დედაქალაქში დაეშვა. ათენში ცხელოდა, იქ ჯერ შემოდგომის თბილი დღე იდგა. ლამაზი ქალაქია ათენი; მიუხედავად იმისა, რომ იქ ცხოვრობს საბერძნეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დიდი ქალაქის სიმძიმე არ იგრძნობა. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით კოხტად მოვლილ, ქრისტიანულ ტაძრებს, რომლებიც უმეტესად ადრეული საუკუნეებისაა და ხშირად გარკვეულ შეუსაბამობას ქმნიან ქალაქის ახალ არქიტექტურასთან. როგორც შემდგომ გვითხრეს, ათენში ათასზე მეტი მოქმედი ეკლესიაა. საკათედრო ტაძარი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დგას. იგი საკმაოდ მოზრდილი ნაგებობაა, მაგრამ შედარებით ახალია.

იმავე დღეს გამოვცხადდით საბჭოთა საელჩოში. ელჩი ადგილზე არ ბრძანდებოდა. მიგვიღო საელჩოს თანამშრომელმა, სავვამ, რომელთანაც გულთბილი საუბარი გაიმართა. შეხვედრის შემდგომ გავემგზავრეთ პენდელის მონასტერში, რომელიც 40 კილომეტრითაა დაშორებული ათენის ცენტრიდან. წმიდა ადგილების მოსალოცად საბერძნეთში ჩასული სასულიერო პირნი უმეტესად აღნიშნულ მონასტერში ჩერდებიან. ჩვენთვის პენდელში მოხვედრა იმითაც იყო სასურველი, რომ

იქ გვეგულებოდა ჩვენი თანამემამულე, ათენის უნივერსიტეტის სტუდენტი — ტარიელ ბიბილაშვილი.

ბერებს გაეხარდათ ჩვენი ნახვა. წინამძღვარი მონასტრისა ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი ადგილზე არ დაგვხვდა. იგი კონსტანტინოპოლში წაბრძანებულიყო. განსაკუთრებით გაგვახარა ჩვენს თანამემამულესთან შეხვედრამ. საოცრად ძვირფასი ხდება მშობელი ქვეყანა და მისი მკვიდრი უცხოეთში მოხვედრილი ადამიანისათვის.

ვსარგებლობ შემთხვევით და ახალგაზრდა სტუდენტს, რომელიც სულ მალე წარმატებით დაამთავრებს ათენის უნივერსიტეტს, მინდა მოვუხალო დიდი მადლობა ჩვენდამი გაღებული სიყვარულისა და პატივისცემისათვის და ვუსურვო სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება.

პენდელის მონასტერი საკმაოდამოცილებული ქალაქს, რაც მას უნარჩუნებს სიმყუდროვესა და მიწიდელობას. მთავარი ტაძარი ძალიან წააგავს მცხეთის ჯვარს, ოღონდ უფრო გვიანი ხანის ნაგებობაა. შიდა მხატვრობა ტაძრისა განახლებულია. მართლმადიდებლური ტრადიციები დაცულია ყველგან. ბერები ტაძრის გარშემო არსებულ ლამაზ შენობებში ცხოვრობენ. ბევრია თავისუფალი სენაკი. საბერძნეთში ბერ-მონაზონი შეიძლება მოღვაწეობდეს მრევლში, ქალაქსა თუ სოფელში, მაგრამ აუცილებლად რომელიმე მოქმედ მონასტერში უნდა ირიცხებოდეს ბერად. ასევეა პენდელშიც, იქ მუდმივად მცირე რიცხვი ბერებისა ეწევა სამონასტრო ცხოვრებას; უმეტესი ნაწილი ტაძრებში ასრულებს მსახურებას. დღევანდელი წინამძღვარი მონასტრისა ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი ძალზე ენერგიული კაცი ჩანს. მას დიდი სამუშაოები ჩაუტარებია მონასტერში, რის შემდგომაც პენდელის მონასტრის, როგორც საპატრიარქო სტუმართა მისაღები საფანის როლი კიდევ უფრო გაზრდილა. დამე გავატარეთ მონასტრის მყუდრო სენაკებში, რამაც ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

27 ნოემბერს (10.12), დილით მონასტრიდან და-

გუკავშირდით სინოდის კანცელარიას და გამოვიტ-
ხოვეთ ლოცვა-კურთხევა ათენისა და სრულიად
ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმესთან შესახვე-
დრად. გვაცნობეს, რომ იმ დღეს დანიშნული იყო
სინოდის სხდომები, რაც ოფიციალურ შეხვედრას
შეუძლებელს ხდიდა, მაგრამ საქართველოს ეკლესი-
ის დელეგაციის მიღებაზე საბერძნეთის ეკლესი-
ის მეთაურმა თანხმობა განაცხადა. ეს იყო დიდი
პატივისცემის გამოხატვა.

ჩვენ სასწრაფოდ გავემზავრეთ ათენში. სინოდის
მიმდინარე სხდომებზე დასასწრებად ეკლესიის
მეთაურის რეზიდენციაში თავი მოეყარა საბერძნეთის
ეკლესიის ზემო იერარქიასა და სამღვდელთ-
ებს. სხდომათა შორის შეხვედრების დროს მოხდა
ჩვენი მიღება, რომელსაც დაესწრნენ ეკლესიის
საგარეო განყოფილების თავჯდომარე და სხვა
მმართველი მღვდელმთავრები. მთავარეპისკოპოსმა
სერაფიმემ ჩვენთან შეხვედრით დიდად გაიხარა და
სიტყვით მოგმართა. კმაყოფილებით გაიხსენა საბ-
ჭოთა კავშირში, და კერძოდ, საქართველოში ყოფნა
და ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მი-
აგეს მას. გამოთქვა სურვილი ხშირი შეხვედრებისა.
საპასუხო სიტყვა წარმოეთქვი, როგორც დელეგა-
ციის მეთაურმა. მის უნეტარესობა სერაფიმეს გადა-
ცეცი მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრუ-
ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია
II-ის მოკითხვა და კეთილი სურვილები, მივართ-
ვი სამახსოვრო საჩუქრები. განსაკუთრებით მოწო-
ნება დაიმსახურა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
ქართულმა ხატმა, რომელსაც საბერძნეთის ეკლესი-
ის მეთაური დიდი მოწიწებით ეამბორა. ჩვენ მა-
დლობა მოვახსენეთ მის უნეტარესობას გულთბილი
შეხვედრისათვის და მივიღეთ ლოცვა-კურთხევა
ათონის წმიდა მთაზე გასამგზავრებლად.

ათენში მთავარეპისკოპოს სერაფიმეს ლოცვა-
კურთხევით თან გვახლდა არქიმანდრიტი ბასი-
ლი, რომელმაც ჭეშმარიტად ქრისტიანული სიყვარ-
ული გამოიჩინა ჩვენს მიმართ. ჩვენი გასვლა და-
ნიშნული იყო შუადღისით. იქამდე საბერძნეთის
საგარეო სამინისტროში უნდა მიგველო წმიდა მთა-
ზე-გასამგზავრებლად საშვი, რაც არც ისე იოლი
საქმე აღმოჩნდა, მაგრამ მამა ბასილის ჭეშმარიტად
ძმური დახმარების წყალობით ჩვენ დროზე მივიღეთ
საჭირო ნებართვა და გადავფრინდით ქალაქ თესა-
ლონიკეში.

თესალონიკე ლამაზი ქალაქია. ის ათენთან შე-
დარებით პატარაა, მაგრამ სილამაზით დედაქალაქს
არ ჩამოუვარდება. ბევრია საეკლესიო ნაგებობა.
პავლე მოციქულმა თესალონიკელებს თავის დროს
სამომღვრო წერილებიც მიუძღვნა. ქალაქი მდიდარ
წარსულით გამოირჩევა. ბევრი მისი მკვიდრი
გააბრწყინა უფალმა ღმერთმა და დიდების შარა-
ვანდელით შემოსა. მარტო წმიდა დიდ მოწამე დი-
მიტრის სახელი რად ღირს, გინდაც გრიგოლ

პალამა და სხვანი. ჩვენ სიამაყესა გვგვრიდა იმისი
შეგრძობა, რომ ღირსნი გავხდით ამ დიდებულ ქა-
ლაქში ჩასვლისა.

28 ნოემბერს (11.12) დილით ავტობუსით გა-
ვემზავრეთ ქალაქ ურანოპოლისისაკენ, სადაც
დაგვხვდა ივერონის მონასტრის ეკონომი ლაზარე.
მან დიდად გაიხარა ჩვენი ნახვით. იგი აქ, ივერონის
მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-კურთხევით, სა-
განგებოდ ჩამოვიდა ჩვენთან შესახვედრად. ურანო-
პოლისიდან გემით გავემზავრეთ ათონის ნახევარ-
კუნძულისაკენ. კარგი ამინდი იღვა და ამიტომ
გემბანზე ყოფნა ვაძვირებთ. გეშუე უკვე ყველა
იცოდა ჩვენი ვინაობა და ვერძობდით განსაკუთ-
რებულ ყურადღებას. ათონის ნახევარკუნძული და
მის ნაპირებზე შეფენილი მონასტრები ლამაზ სა-
ნახაობას წარმოადგენდა გემიდან. დაღლილობა
უცერად გაქრა და რაღაც უცხო სიხარული და-
გვეუფლა. ასეთი მშვენიერი წუთები ხშირი არაა
ცხოვრებაში. ჩვენ რომ კმაყოფილებსა და გახარ-
ებულს გვიყურებდნენ, ბერძნებსაც უხაროდით.
ორი საათის მგზავრობის შემდეგ მივიღეთ ათონის
მცირე ნავსადგურ დაფნისში, სადაც თვით ივე-
რონის მონასტრის პროიდუმენი კალენიკე დაგვ-
ხვდა. ერთმანეთის შეხვედრამ ორივე მხარეს დიდი
სიხარული მოგვგვარა. მისალმებისა და ძმური მო-
კითხვის შემდეგ მსუბუქი ავტომანქანით ივერონის
მონასტრისაკენ განვავრდეთ გზა.

ივერთა მონასტრის სამო ელოდა ჩვენს ჩასვ-
ლას. ირეკებოდა სადღესასწაულო ზარები. ბერები
მონასტრის მთავარ შესასვლელთან იდგნენ საქარ-
თველოს ეკლესიის სამღვდელთების შესახვედრად.
ყველამ სიყვარულით მიიღო ჩვენგან ლოცვა-კურთ-
ხევა, მოახვიეს მღვდელმთავრის მოსახამი, მო-
მართვეს კვერთხი, მამთხვევინეს წმიდა სახარებას
და მონასტრის მშობა ზარების რეკვითა და გალო-
ბით მთავარი ტაძრისაკენ გაავიძღვა. ბერების ბი-
ზანტიურ კილოზე გალობა და დიდებული ზარის
რეკვა გვაუწყებდა ახალ სამყაროში მოხვედრას.
ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მარტო აწ მოღვაწე
ბერები კი არა, თითქოს წარსულში ნადეაწნიც
აღმღვარევიყენ და იხდიდნენ წესს მღვდელმთა-
ვართან შეხვედრისას. საზეიმოდ გვეკვებოდნენ
ივერონი არა როგორც რიგით სტუმართ, არამედ რო-
გორც მის ქტიტორთა ჩამომავალთ, ახლობელთა და
მოყვასთ. ერთიან სიხარულს მოეცვა ჩემი სული და
გონება. ისე მივაბიჯებდი მონასტრის ეხოში, თით-
ქოს აქ აღრეც ვყოფილვარ, ისე დინჯად და მშვი-
დად ვიქცეოდი, თითქოს არაფერი განსაკუთრებუ-
ლი არ ხდებოდა. არ ვიცო, სად დაიკარგა ის მომე-
ტებული მღვდელთა, აქ ჩამოსვლამდე რომ მამი-
მებდა? მთავარ ტაძარში ისე შევედი, თითქოს აქ გა-
მეტარებინოს მთელი ცხოვრება, კარგად ვიცო, რომ
აქ პირველად ვარ, უნდა მოვიქცე ფრთხილად, რაიმე
შეცდომა რომ არ დავეშვა, —ამას ზოგჯერ მახ-

სწინებს გონებას, მაგრამ გული ჩემი სიმშვიდეს მისცემია. ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში, ახლობლებთან. დაილოცოს ღმერთო, შენი განგება: ვგრძნობ ჩვენი წინაპრების სიახლოვეს. ისინი აქ არიან, ნამდვილად არიან და ვერავინ გადაამარწმუნებს ამაში. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ქართველები გვერდით ამომდგომიან ერთვულ დარაჯებად.

მთავარ ტაძარში გადავიხადეთ პარაკლისი, რომლის შემდგომაც ივერონის მონასტრის პროიდუმენმა კალენიკემ სიტყვით მოგვმართა. იგი მადლობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომელმაც დალოცა ქართველ სასულიერო პირთა ივერთა მონასტერში ჩასვლა. პროიდუმენმა ასევე დიდი მადლობა მოახსენა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ეს, რომელიც მამაშვილურ მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს ივერონის მონასტრის ძმობას. მისმა მძალადირებამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარს ივერონი ეკება, როგორც თვით მის უწმიდესობასა და უნეტარეობას, ხოლო მღვდელს, როგორც ქართველ სამღვდლოებს. დასასრულს, უძველეს ქართულ ეკლესიასა და ერს მან უსურვა წინსვლა და გამარჯვება.

საბასუხო სიტყვა წარმოვთქვი მე. ივერონის მონასტრის წინამძღვარს და ძმებს გადავეცი მისი უწმიდესობისა და უნეტარეობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევა და კეთილი სურვილები. შემდეგ აღვნიშნე, რომ ივერონის წმიდა სავანე და მისი უდიდესი სიწმიდე, სასწაულთმოქმედი ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა ძვირფასია ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი იგი მაინც ქართველებისათვისაა. მადლობა მოვახსენე მონასტრის ბერებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ივერონში შენარჩუნებული იქნას სამონასტრო ცხოვრება. დასასრულს მონასტრის ძმობას ვუსურვე მარად ღვთისმშობლის კალთის ქვეშ ყოფნა, სულიერი სიხარული და წარმატება. ივერონის მონასტერს გადავეცი სამახსოვრო ხატი მთავარანგელოზ გაბრიელისა, რამაც დიდი სიხარული გამოიწვია. საზეიმო შეხვედრის შემდეგ დაიწყო მწუხრის ლოცვა. ეს იყო პირველი სრული ბერძნული მსახურება, რომლის მოსმენაც ჩვენ მოგვიწია. ყველაფერი ისე სრულდება, როგორც ამას უჩენს სამონასტრო წესი და განგება, თუმცა შევამჩნიე ზოგიერთი თავისებურებაც, რაც ალბათ, ახასიათებს ათონის ლიტურგიკულ პრაქტიკას. ჩვენი და ათონური ტიპიკონი თითქმის ერთია, მაგრამ ზოგიერთ დეტალებში განსხვავდება. ამ საკითხებზე ცოტა ქვემოთ მექნება მსჯელობა.

ლოცვის შემდეგ თავიანთი ვეცით კარის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს და ათონის მთავარ მოხვედრისათვის მოვახსენეთ უღრმესი მადლობა. საღამოს დავათვალიერეთ მონასტრის შენობები, რომლებიც მთავარ ტაძარს გალავანით აქვს შე-

მორტყმული. ამ უზარმაზარ ციხე-სიმაგრეში ცხოვრება შუა საუკუნეების დროით მიდის. ალაგ-ალაგ ანთია ნავთის სანათურები, ელექტრობა უცხოა ივერთა მონასტრისათვის. ირგვლივ დასადგურებულია სიმეუდროვე. ბევრია ცარიელი სენაკი, რომელიც პატრონს ელის. ვინ იცის, იქნებ ქართველნიც გახდნენ ღირსნი აქ მოღვაწეობისა? ქართული სული დღესაც იგრძნობა ათონზე. გული გრძნობს ამას, რომელიც არ ტყუვდება. როცა გრძელ დერეფანს მივუყვებოდი, ჩემში რაღაც შინაგან ვილაცას დაეძებდა, ის აქ, სადღაც ახლოს ეგულებოდა. რამდენ ცარიელ სენაკს მივაშურე, რამდენ სვეტსა და ქვას მოვესიყვარულე; ვცდილობდი ბერძნებს არ შეემჩნიათ ჩემი მღელვარება. „რა იქნებოდა ღმერთო, ამ ღიღებულ სავანეში ქართველებიც რომ იყვნენ?“-ვინ იცის, რამდენჯერ დამცდა ეს ჩემი თხოვნა-ვედრება.

შუადამისას, დამის სამი საათი იქნებოდა, შორიდან მოისმა კაკუნი. ცოტა ხანში ხარებიც ჩამორკვეს. სხვებთან ერთად მივაშურეთ მთავარ ტაძარს. ბერებს ცისკარი უკვე დაწყებული ჰქონდათ. მათ ძალიან ახარებდათ ჩვენი ტაძარში გამოჩენა და ლოცვაზე დგომა. მას შემდგომ, რაც დავედგეოდით ჩვენთვის განკუთვნილ ადგილას, ისინი კრძალვით იღებდნენ ჩვენგან ლოცვა-კურთხევას. საქართველოში მღვდელმთავარი საკურთხეველში ისმენს ლოცვას და შეუძლია საერთოდ არ მიიღოს მასში მონაწილეობა. ათონზე ეს ცოტა სხვანაირად ხდება: მღვდელმთავარი დგება კათედრაზე, რომელიც ტაძრის სამხრეთის სვეტთანაა. აქედან ლოცვას იგი ხალხს, აქვე ხმამაღლა კითხულობს ზოგიერთ ლოცვას. ასე რომ, საეკლესიო მსახურებას ჩვენ არა მარტო ვესწრებოდით, არამედ ვიღებდით მასში მონაწილეობას. თუ ტაძარში ეპისკოპოსია, მღვდელს არ შეუძლია თქვას «მშვიდობა ყოველთა» — იგი მღვდელმთავრის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა. ეპისკოპოსი წარმოთქვამს ისეთ ლოცვებს, როგორცაა 103-ე ფსალმუნი და «ღირს მყვენი», «ნათელი მხიარული», «აწ განუტყვე» და სხვა. ჩვენთან ეს ყველაფერი მეღვთისმშობლის მიერ იკითხება, ან ივალდება.

შევეხები ბერძნული ღვთისმსახურების ზოგიერთ თავისებურებასაც. ბერძნები არ გალობენ ხმებში. გალობს ყოველთვის ერთი, სხვები კი საჭიროებისამებრ აძლევენ ბანს. იგრძნობა აღმოსავლური გავლენა. ბერძნული ღვთისმსახურების განსაკუთრებულობას მაინც შეადგენს ანტიფონური გალობა: მკითხველისა და გუნდის, ან ორი გუნდის მონაცვლეობა. ერთი ადამიანის კითხვა ხშირად მოსაწყენი ხდება, ორის შენაცვლება მეტ სიცოცხლესა და ლაზათს ანიჭებს მსახურებას. ვფიქრობ, ჩვენი სასულიერო პირნი მიაქცევენ ამას ყურადღებას და თავიანთ პრაქტიკაში დანერგავენ.

ცისკრის შემდეგ შესრულდა ჟამნობა, რასაც მოპყვა წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. ამით დამთავრდა დილის მსახურება. ბერებმა ჩვენგან მიიღეს

ლოცვა-კურთხევა და ნელ-ნელა ტაძრიდან გაიკრიფნენ.

მცირე შესვენების შემდეგ გავემზავრეთ ათონის დედაქალაქ კარეაში, სადაც გველოდა ოფიციალური შეხვედრა ათონის მთის ხელმძღვანელებასთან. ჩვენს შესახვედრად თვით პროტოსი პროდრომისი გამობრძანდა. იგი საკმაოდ ახალგაზრდა ბერია. ერთი წელია, რაც ათონის მთაზე გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნის. მე კმაყოფილება გამოვთქვი, რომ ასეთ ახალგაზრდა პროტოსთან მომიხდა შეხვედრა. მანაც თავის მხრივ დასძინა, ჩემთვისაც გასახარი იყო ახალგაზრდა ქართველი მღვდელმთავრის ხილვა.

კარეაში, მთავარ ტაძარში დიდი სახეიმო შეხვედრა მოვიწყვეს. გადაიხადეს პარაკლისი და მიმართეს მისასალმებელი სიტყვით. საპასუხო სიტყვაში მადლობა მოვახსენე პროტოსსა და ათონის მთის მონასტრითა წარმომადგენლობას და გადავეცემათ ლოცვა-კურთხევა და კეთილი სურვილები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა. სახეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ გადავინაცვლეთ მისაღებ დარბაზში, სადაც გაიმართა გულთბილი საუბარი. ბერძენი ძმები დაინტერესდნენ ქართველთა მართლმადიდებლობით, ეკლესიური ცხოვრებით, სასულიერო სწავლა-განათლებით. შეხვედრამ ჩაიარა მეგობრულ ვითარებაში. დასასრულს პროტოსს გადავეცით სამახსოვრო საჩუქრები.

კარეაში ყოფნისას ღირსნი გავხდით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის «ღირს-არსის» მთხვევისა. ათონზე ჩვენ მრავალ სხვა სიწმიდესაც ვეცით თაყვანი, მაგრამ ამ ხატზე საგანგებოდ შევჩერდები. ჯერ კიდევ ათენში ყოფნისას მოგვიტახრეს ამ დიდებული ხატის ათონის მთიდან თესალონიკეში გადასვენების ამბავი, რამაც თურმე შესძრა მთელი საბერძნეთი. ეს იყო თითქმის ეროვნულ დღესასწაულად ქცეული ზეიმი. ქალაქ თესალონიკეს 2 300 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ოქტომბრის თვეში, ქალაქის მიტროპოლიტისა და მორწმუნეთა თხოვნით, სასწაულმოქმედი ხატი «ღირს-არსი» საბერძნეთის მთავრობის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი სამხედრო გემით ათონის მთიდან გადასვენეს თესალონიკეში, რათა ქალაქის მორწმუნე მოსახლეობისათვის მიეცათ შესაძლებლობა მისი მთხვევისა და თაყვანისცემის. ზარების რეკვითა და ქვემეხთა გრივით შეეგება ამ დიდ სიწმიდეს ქალაქი თესალონიკე. ხატი მოათავსეს საკათედრო ტაძარში. ათი დღე შეუჩერებლად, დღისით და ღამით მოედინებოდა ზღვა ხალხი—რათა თაყვანი ეცა მისთვის. როგორც ბერებმა გვითხრეს, იმ დღეებში ბევრმა მიიღო ხატისაგან კურნება და დიდი სიკეთე. სიწმიდის თაყვანისსაცემად ასევე მოვიდნენ ქვეყნის პრეზიდენტი და მთავრობის წარმომადგენლები. ამ ამბავს ფართოდ გამოხმაურებია ბერძნული პრესა, რადიო და ტელევიზია. ამჟამად ხატი ისევ ათონის დედაქალაქის მთავარი ტაძრის მაღალ დასაჯდომელთან, საკურთხეველშია დასვენე-



ათონის მთის პროტოსთან

ბული. ჩვენ მოწიწებით ვეცით თაყვანი და შევთხოვეთ კეთილდღეობა ჩვენი ერისა და წმიდა ეკლესიისა.

ამის შემდეგ შევხვდით ათონის მთის გუბერნატორს, რომელთანაც გაიმართა გულთბილი საუბარი.

იმავე დღეს მოვიწყვეს შეხვედრა ათონის სასულიერო სკოლაში, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. მან ძალიან გაიხარა ჩვენთან შეხვედრით. დაინტერესდა მცხეთის სასულიერო სემინარიითა და საერთოდ, საქართველოში სასულიერო განათლების საკითხებით. ძალიან ახარებდა ის, რომ შესაძლებლობა მიეცა ქართული სასულიერო სემინარიის რექტორთან უშუალო შეხვედრისა. ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილებანი და გამოვთქვით საერთო სურვილი მეტი ურთიერთობისა და სიახლოვისა. ჩვენი შეხვედრისას ათონის სკოლაში მიმდინარეობდა მეცადინეობები. როგორც ჩანს, მის ყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე რექტორს იმ დღეს ჰქონდა ჩასატარებელი საათები. ჩვენთან შეხვედრის გამო გააცდინა ისინი. გამომშვიდობებისას მე ხუმრობით ვუთხარი მეუფე ქრიზოსტომოსს, რომ თუკი ღმერთი ინებებს და ჩამობრძანდებით საქართველოში, მე ორჯერ მეტ მეცადინეობებს გავაცდენ თქვენთვის-მეთქი, რაზეც მან მეგობრული ღიმილით მიპასუხა.

საღამოს მოვილოცეთ მონასტერი სტავრონიკიტა. იგი ივერონის მონასტრის მეზობლადაა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მონასტრის მთავარი ტაძრის მხატვრობამ, რაც ცალკე წიგნადაც გამოუციათ. წინამძღვარი მონასტრისა არქიმანდრიტი ბასილე განათლებული ბერია და ბევრს მუშაობს ღვთისმეტყველებაში. ბერებს გადავეცით სამახსოვრო საჩუქრები და ვთხოვეთ ჩვენი მოხსენიება ლოცვებში.

30 ნოემბერს (13,12), პარასკევს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ივერონის მთავარ ტაძარში წირვა ჩატარდა ქართულ ენაზე. წირვა შეასრულა მამა დავითმა, საგალობლები კი ჩვენ ვიგალობეთ ტარიელთან ერთად. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ივერთა მონასტერში წირვის ქართულ ენაზე ჩატარებაში ვხედავდი ღვთის განგებას. მოციქული ანდრია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთ-



ათონის წმიდა მთა

ხევით ჩამოვიდა საქართველოში, რომ ექადაგა ქრისტეს სჯული. პირველი ქრისტიანული კვალი სწორედ მის მიერ იქნა გატანილი ჩვენში. ამიტომ არის ანდრიობა უმეტესად ქართველთა დღესასწაული. დალოცვა დედა ღვთისამ ამ დღეს წირვა ქართული. მამა დავითის დინჯი მღვდელმოქმედებითა და ტკბილი ქართული გალობით ბერძენი ბერები კმაყოფილნი იყვნენ. წირვის შემდეგ მოვილოცეთ კარაკალუსა და ფილოთეოს მონასტრები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო მონასტერი ფილოთეოსი. ჩვეულებრივი პარაკლისის შემდეგ მონასტრის იღუმენი შეგვიძღვა დიდ სატრაპეზოში, რომელიც მთლიანად არის მოხატული. აქვე არიან გამოხატულნი ქართველი დიდებულები, განსაკუთრებული დეაწლი რომ მიუძღვით მონასტრის აღდგენაში. ბერებმა გაგვიმართეს დიდებული სადილი, რომელზედაც წარმოუტყვეთ ბერძენი და ქართველი ხალხების მეგობრობის სადღევრძელონი.

დღის მეორე ნახევარში ივერონის მონასტრის პროიდუმენ კალენიკეს თხოვნით მოვინახულეთ მონასტრის საძვალე, სადაც გადავიხადეთ პანაშვიდი. აღნიშნული საძვალე ივერონიდან საკმაოდაა მოცილებული. იგი შემადღებულ ადგილზე დგას და ორი სართულისაგან შედგება. პირველზე საკუთრივ საძვალეა, მეორეზე ტაძარი. პანაშვიდი გადავიხადეთ ქართულ ენაზე, მოვიხსენიეთ წარსულში აქ მოღვაწე ქართველი და ბერძენი ბერები. ლოცვის შემდეგ მამა კალენიკემ ჩამიყვანა პირველ სართულზე, საძვალეში. უზარმაზარი ოთახი სავსეა გარდაცვლილთა ძვლებით. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ათონის მთაზე სასაფლაოები არ არის. მიცვალებულს მიწაში ტოვებენ სამ წელს, შემდეგ მის ძვლებს თავის ქალაზე სათანადო წარწერით ათავსებენ საძვალეში. უცნაური გრძნობა დამეუფლა ასეთ გარემოში. მამა კალენიკემ რაღაცა მომიხეზა და გარეთ გავიდა. როგორც შემდეგ მითხრა, კარს ყოფილა ამოფარებული. დავრჩი მართლ ძვლებით სავსე ოთახში. მიუხედავად უჩვეულო

მდგომარეობისა, საოცარ სითბოს ვგრძნობდი ირველივ. ისინი აქ არიან,—ჩამესმოდა შინაგანი ხმა. დიახ, ვიპოვე, ვისაც ვეძებდი, ყველა ერთად ვიპოვე. ჩემს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. მუხლი მოვიდრიკე და შევეთხოვე უფალს მათი სულებისათვის ადგილი განსასვენებელი, მწვანელოვანი. შემდეგ კი თვითონ მათ ვთხოვე მეოხება ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის. ამასობაში მამა კალენიკეც შემოვიდა საძვალეში და ღიმილით მითხრა: თორნიკე მხედარყოფილისა შემეშინდა, უცებ არ ეტაცნა ჩემთვის ხელი და ამიტომ, კარს უკან ვიყავი ატუხულიო. მე მაშინ ივერონის წინამძღვარს ვერაფერი ვუბასუხე, რადგან ძლიერ ვიყავი აფორიაქებული. დღეს კი მინდა ვუთხრა მას, რომ თორნიკეცა და მისი მსგავსი ქართველებიც ხელს მხოლოდ მშვიდობისა და სიკეთის მტრებს სტაცებდნენ და არა თვით სიკეთეს. საძვალედან გამოსვლის წინ ძვლებს რამდენიმეჯერ ჯვარი გადავსახე. საოცრად ბედნიერი დავბრუნდი ივერონში.

1 (14) დეკემბერს, შაბათს დილით, წირვის შემდეგ კარის ღვთისმშობლის ტაძარში, მონასტრის უზუცესმა მღვდელმონოხოზმა მაქსიმემ ჩვენი თანდასწრებით ბერად აღკვეცა ახალგაზრდა მორჩილი ბენიამინი, ტომით გერმანელი. ბერად აღკვეცა ერთ-ერთი უბედნიერესი დღეა მონასტრის სამშობი; ამიტომ იგრძნობოდა იმ დღეს განსაკუთრებული სიხარული. ყოველი ახალი ბერი ახალი ძალაა მონასტრისათვის, ახალი სიცოცხლეა ათონის მთისათვის. ბერად აღკვეცის წესი ათონის მთაზე ჩვენთან შედარებით მეტი სისადავითა და უბრალოებით გამოირჩევა. ჩვენში უფრო სახეიმოდ ხდება იგი. ვუყურებდი ახლად ბერად აღკვეცილს, თავმოდრეკილსა და ჩუმი სიხარულით ადვსილს, და გამახსენდა ჩემი ბერად აღკვეცა, როცა საოცარ მღელვარებას განვიცდიდი. საკვირველი ხარ, ღმერთო, ვინც კი შეგიდგება, ყველას ახარებ ერთი სიხარულით. შევეთხოვე უფალს, რომ გაეძლიერებინა მამა ბენიამინი ანგელოზებრივ მოღვაწეობაში; ბოლომდე ღირსებით ეტარებია მას საპატიო ტვირთი.

იმავე დღეს მოვილოცეთ მონასტრები ქსიროპოტამი და პანტელემონი. განსაკუთრებით თბილი იყო შეხვედრა პანტელემონის რუსულ მონასტერში. თავს ისე ვგრძობდით, როგორც ახლობლებში.

საღამოს ლოცვის შემდეგ დაავთვალე ივერონის მონასტრის საგანძური: ბიბლიოთეკა და მუზეუმი. ქართველი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ერთსაც და მეორესაც, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. შევნიშნავ მხოლოდ ერთს, რომ ჩვენ, ქართველებს, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის: ყველაფერი შესანიშნავადაა დაცული.

კვირას 2 (15) დეკემბერს, მთავარ ტაძარში თანამწირველებითურთ შევასრულე საღმრთო ლიტურგია. წირვაზე მოიწვიეს სამღვდელთა სხვა მონასტრებიდანაც. წინა საღამოს მონასტრის საცავში საგანგებოდ ამოიპრჩიეს სამღვდელმთავრო შესამოსელი, ჯვარ-პანაგია და მიტრა. სახეიმოდ შეიმოსა სამღვდელთაც. ეპისკოპოსის წირვა ივერონში ხშირი არაა, ამიტომაც მიეცა ჩვენს ერთობლივ მსახურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა. საოცრად ტკბილად გავლობდა უხუცესი მგალობელი მეზობელი მონასტრიდან. ასეთი ტკბილი, ასეთი გულში ჩამწვდომი გალობა ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია. საკვირველია, უფალო, მარტო ერთ ადამიანს რამდენი სიტბო და სიყვარული შესძლებია? რა კარგია, როცა ამ სიტბოს ადამიანი ყველაზე მაღალ არსებას—ღმერთს ახმარს. ქართველ-ბერძენ სასულიერო პირთა ერთობლივმა საღმრთო მსახურებამ ყველას დიდი სულიერი სიხარული და კმაყოფილება მოგვითქანა.

წირვის შემდეგ მოვინახულეთ ივერონის მონასტრის შემოგარენი. თან დაგვეყვებოდა დიდსქემონოზონი მაქსიმე და ბერი გერასიმე. ორივე ახალგაზრდაა, სულიერობით კი უკვე გამოირჩევიან. განსაკუთრებით მინდა გამოვყო მამა მაქსიმე. იგი საოცრად კარგად გალობს და კითხულობს, მანქანასაც კეთილად მართავს. საუბრისას დასცდა: უფალოთან შესახვედრად ვეშხადებო. მე მივუგე, რომ ამ ქვეყნიური ცხოვრება დიდი წყალობაა ღვთისა და მასაც უნდა გაუფრთხილდეთ-მეთქი,—რაზეც მამა მაქსიმე დიმილით დაძეოდა. მანვე დაგვათვალე ივერებისა საკუთარი ხელით აშენებული მცირე გუმბათიანი ეკლესია იმ ადგილას, სადაც უკანასკნელი ქართველი ბერის სენაკი (სამხოლოდ) მდგარა. ეკლესია წმიდა მღვდელმთავარ თეოდორეს სახელზე დაუფუძნებია და მალე აპირებს მის კურთხევას.

მცირე ტაძრის გვერდით არის ძველი მოგრძო ეკლესია, რომელშიც თავის დროზე წმ. ექვთიმე ათონელი ლოცულობდა. მოწიწებით მოვიდრიკეთ მუხლი და ვიგალობეთ ქართული საგალობელი. ამ ტაძარში ყოფიდან ბოლოს ქართველნი. ტაძრის კანკელზე დღესაც არის ქართული მინაწერი, რომელიც ვგამცნობს, რომ დასახლებული კანკელი ქართველთა ღვაწლით არის გაპართული. ყველგან

იგრძნობა ჩვენი წინაპრების კვალი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მათი ნაღვაწი. ცრემლიც კი მომადგა: რა შორს იყვნენ მშობელი ქვეყნიდან და რამდენი გააკეთეს მისთვის.

შემდეგ მოვილოცეთ ღვთისმშობლის გამოცხადების ტაძარი. ამ ადგილზე ყოველწმიდა დახმარება მათხოვარს, რომელსაც ივერთა მონასტრის ბერებმა არ მიაქციეს ყურადღება. გამოუვალ, მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფს გამოცხადება ღვთისა და მიუცია მისთვის ლითონის ფული, რომელიც ადრე კარის ღვთისმშობლის ხატისათვის ყოფილა შეწირული. როცა ბერებს მათხოვრის ხელში უნახავთ ფული, რომელიც ხატზე ეგულვოდათ, დიდად გაჰკვირვებიათ. უსახლვროდ გაცეცხულან, როცა ღვთისმშობლის ხატზე სწორედ ის ფული ვედარ უნახავთ. გამოუკითხავთ მათხოვრისათვის, თუ როგორ მოხვდა მასთან ფული და მათხოვარსაც მოუყოლია, როგორ გამოცხადდა განსაცდელში მყოფს მშვენიერი ქალი ბავშვით ხელში და მისცა ფული. მამინ ბერები მიხვდნარან, რომ ეს თვით უწმიდესი ქალწული მარიამი ყოფილა და დაუფლებიათ სინანული. მათხოვარი მონასტერში შეუყვანიათ და დახმარებიათ. შემდგომში ყოველწმიდას გამოცხადების ადგილზე მონასტრის ბერმონოზონ მაქსიმეს, რომელიც ივერთა მონასტრის სულიერ მამადაც ითვლებოდა, მცირე ზომის გუმბათიანი ეკლესია აუგია. ჩვენ კრძალვით მოვილოცეთ ეს ტაძარი და ვიგალობეთ ქართულად ყოველწმიდა ღვთისმშობლის საგალობლები.

საღამოს მონასტრის ბერებმა გაგვიმართეს გამოსამშვიდობებელი ვახშამი, რომელსაც დაესწრნენ უხუცესი ბერები. უადრესად თბილი და ამაღლებელი იყო ეს შეხვედრაც. ბევრი საამო სიტყვა ითქვა ჩვენი მისამართით, გამოითქვა ბევრი კარგი სურვილი. მინდა საგანგებოდ გამოვყო მონასტრის უხუცესი ბერის—მამა ალექსის ნათქვამი, რომელმაც ყველას აგვიჩუყა გული. ივერონის მთავარ ტაძარში აღსავლის კარის წინ ჰკიდია ქართველი დიდებულის მიერ შეწირული ვერცხლის კანდე-

წირვა ივერონის მთავარ ტაძარში



ლი ქართული წარწერით. ეს კანდელი, ერთი შეხედვით, არაფრით გამოირჩევა სხვა კანდელებისაგან, რომელნიც უხვადაა ტაძარში. მაგრამ ხშირად ღმერთი გამოარჩევს სწორედ იმას, რაც აღამიანისათვის არის შეუმჩნეველი. კარგა ხანია ბერებს შეუნიშნავთ, ამ კანდელის საკვირველი რხევები. იგი ოდნავ იწვეა ზევით და იწვევს რხევებს წრიულს ან პორიზონტალურს—მარჯვნიდან მარცხნივ. ბერებმა ისიც შეამჩნიეს, რომ წრიული რხევები კანდელისა უმეტესად სასიხარულო ამბის მაუწყებელია, პორიზონტალური კი პირიქით—ცულისა.

ძალზე საყურადღებო მამა ალექსის მონათხრობიდან იყო ის, რომ ათონის წმიდა მთაზე ქართველთა როგორც წინა, ისე ახლანდელი ჩასვლისას კანდელს დაუწყია წრიული რხევები. მამა ალექსიცა და მონასტრის სხვა ბერებიც ამ მოვლენას ხსნიან იმით, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მონასტრის დამაარსებელი ქართველი ბერები იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელები ხარობენ ქართველთა ივერონი ყოფნით. როცა მამა ალექსი ამას გვიყვება, იქ მყოფთ თვალბუზე შევამჩნიე ცრემლი. საოცარი ძალაა სიყვარული, კერაფერი ვერ დაუდგება მას წინ. ამ სიყვარულის გამოხატვა იყო მონასტრის ბერების მოთხოვნა, რომ საქართველოდან ივერონიში სამოღვაწეოდ მივავლინოთ რამდენიმე ქართველი ბერი. ჩვენ სიამოვნებით შევხვდით მათ სურვილს და შევპირდით მის უახლოეს მომავალში განხორციელებას.

ორშაბათს, 3 (16) დეკემბერს, დილით მუხლმოდრკით შევანსრულეთ პარაკლისი კარის ღვთისმშობლის ხატის წინ, შევავედრეთ დედაღვთისას კვლესია და ერი ჩვენი. პარაკლისს დაესწრო მონასტრის პროიდუმენიც. თვალცრემლიანები გამოვეთხოვეთ საქრისტიანოს დიდ სიწმიდეს და შევთხოვეთ სამშობლოში ჩვენი მშვიდობით დაბრუნება. დადგა განმორების ჟამი. ჩამორკეეს მონასტრის ხარები. ყველა, ვინც კი იყო მონასტერში, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მოვიდა გასაცხილებლად. ბევრს შევამჩნიეთ თვალზე ცრემლი. სურდათ ეთქვათ რაღაცა თბილი და გასახარი. თუმცა უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო: ეს იყო ჭეშმარიტი სიკეთისა და სიყვარულის დღესასწაული. გვთხოვდნენ, რაც შეიძლება ხშირად ჩამოდიოთ.

ასე დავემშვიდობეთ ივერონის წმიდა სავანეს. გზად უნდა მოგველოცა სიმონ-პეტრეს მონასტერი. ხარების გუგუნით შეგვხვდნენ მონასტრის ბერები. ამ მონასტერს თამამად შეიძლება უწოდოს კაცმა საოცრება ათონის წმიდა მთისა. იგი კლდეზეა აზიდული. გადახდილი იქნა პარაკლისი, რის შემდგომაც სტუმართა პატრიუსაცემად გაიმართა სადილი. სადილზე სიტყვით მოგვმართეს ივერონისა და სიმონ-პეტრეს მონასტრების წინამძღვრებმა.

საპასუხო სიტყვაში შევაჯამე ათონის წმიდა მთაზე ჩვენი ვიზიტი და მოვახსენე უღრმესი მად-

ლობა ივერონის მონასტრის პროიდუმენ კალენიკეს, რომელმაც ყველაფერი იდონა იმისათვის, რომ წმიდა მთაზე ყოფნისას მიგველო, რაც შეიძლება მეტი კმაყოფილება და სულიერი სიხარული. მადლობა მოვახსენეთ ყველას, ვისთანაც გვქონდა შეხვედრები, მადლობა მოვახსენეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რომელმაც დალოცა მთაწმიდაზე საქართველოს ეკლესიის სამღვდელოება.

ხარების რკვეითა და გალობით დავემშვიდობდნენ სიმონ-პეტრეს მონასტრის ძმები და მათთან ერთად ათონის მთის ბერმონოზონნი.

ნავსადგურ დაფნისში ერთხელ კიდევ მოვესიყვარულეთ ერთმანეთს ქართველები და ბერძნები და მომავალი შეხვედრის იმედით გამოვეთხოვეთ. ნაპირზე დარჩენილნი დიდხანს გვიჩვენდნენ ხელს გვემშვიდობებოდნენ. გვიან საღამოს ჩავედით თესალონიკეში და დავბინავდით სასტუმროში.

4 (17) დეკემბერს დაუჯავშირდით თესალონიკის მიტროპოლიტის სამდივნოს და გადავეცით ჩვენი სურვილი მიტროპოლიტთან შეხვედრისა. მივიდეთ თანხმობა. თესალონიკის მიტროპოლიტი პანტელეიმონი საოცრად ცოცხალი და ენერგიული კაცია. კეთილადაა განწყობილი ქართული ეკლესიის მიმართ. სათავეში უდგას თესალონიკის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო კათედრას. მან დიდად გაიხარა, რომ შესაძლებლობა მიეცა შეხვედროდა ქართული სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელს. შემოგვთავაზა ორი ადგილი თესალონიკის უნივერსიტეტში ქართველი სტუდენტებისათვის. მიტროპოლიტის აზრით, სტუდენტთა გაცვლა დიდად შეუწოებს ხელს ეკლესიათა დაახლოებას.

მის მეუფებას გულთბილი შეხვედრისათვის გადაუხადეთ უღრმესი მადლობა, თესალონიკის ეკლესიას კი ვუსურვეთ წინსვლა და გამარჯვება. ბოლოს მიტროპოლიტ პანტელეიმონს სამახსოვროდ გადავეცით ქართული ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. ჩვენ კი მისმა მეუფებამ დაგვაჯილდოვა წმიდა კირილესა და მეთოდეს მედლით.

თესალონიკის მიტროპოლიტის ლოცვა-კურთხევით, მოვილოცეთ წმიდა გრიგოლ პალამასა და წმ. დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის სახელობის ტაძრები. პირველი ტაძარი სამიტროპოლიტო რეზიდენციასთან ახლოს დგას. ჩვენ მუხლი მოვიდრიკეთ და თავგანი ვეცით ვერცხლის კუბოში ჩასვენებულ წმ. გრიგოლ პალამას. მშვიდად განისვენებს ტაძრის სამხრეთით მყოფრო განსასვენებელში წმიდა მღვდელმთავარი გრიგოლი; იგი სამღვდელმთავრო შესამოსელით არის შემოსილი და ჯვარ-პანაგიით დამშვენებული. თავის დროზე დიდხანს არ მიიღო სამწყსომ იგი. საღ არ მოუხდა ყოფნა და ხეტიალი. ტყვესავით ყიდდნენ სხვადასხვა ქალაქებში და მაინც სამწყსოსათვის ზრუნავდა. გარდაცვალებამდე სამი წლით აღრე დაბრუნდა თესალონიკეში და მას შემდეგ აღარ მიუტოვებია.

დღეს განსაკუთრებით გრძნობენ წმიდა გრიგოლის მეოხებას თესლონიკის მკვიდრნი; ამიტომაც იქცა მათთვის სათაყვანებელ სიწმიდედ წმიდანის ნაწილები. მადლობა მოვახსენეთ უფალს მათი თაყვანისცემისათვის.

შემდეგ მოვილოცეთ საკათედრო ტაძარი, წმ. დიდმოწამე დიმიტრი თესლონიკელის სახელზე დაფუძნებული. ეს არის მეხუთე საუკუნის უზარმაზარი ბაზილიკა, ადდგენილი და განახლებული. კანკელის წინ შემადლებულ ადგილზე დგას ვერცხლის კუბო წმ. დიმიტრის ნაწილებით. ჩვენ უდიდესი მოკრძალებით ვეცით მას თაყვანი და შევთხოვეთ ჩვენი ერისა და წმიდა კელესიის მეოხება. ჩავვიყვანეს საკურთხეველის ქვევით, სარდაფში. გვანვენეს ძველი კატაკომბები და წმ. დიმიტრის წამების ადგილი. ვნახეთ ის ღარიც, საიდანაც წმიდანის წამების შემდგომ დიოდა წმიდა მირონი. ახლა, ეს ღარი დაშრეტილია. აჰან მომიკლა გული, ალბათ, ჩვენი ქრისტე მაცხოვრისადმი ნაკლები რწმენის მაჩვენებელია იგი. სარდაფიდან ამოსულებმა ერთხელ კიდევ ვეცით წმიდა ნაწილებს თაყვანი და

მადლობა შევწირეთ უფალს ჩვენზე გაღებული უხვი წყალობისათვის. იმავე დღეს გადმოფერინდით ათენში.

5-6, (18-19) დეკემბერს დავათვალიერეთ საბერძნეთის დედაქალაქის ღირს შესანიშნაობანი. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ანტიკური ხელოვნების განუმეორებელმა არქიტექტურულმა ანსამბლმა-აკროპოლისმა და ჰეროდე ატიკელის თეატრმა. ეს არის ამდღებუი ხელოვნება, რომელიც ყოველი დროის ადამიანს დიდ სულიერ კმაყოფილებას მიანიჭებს. ავედით იმ მთაზეც, საიდანაც პავლე მოციქული ათენელებს ქრისტიანულ მცნებას უქადაგებდა. შეგვედრეთ უფალსა და მის მოციქულს მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა და გადარჩენა. ამით ჩვენი სამლოცველო მოგზაურობა დასასრულს მიუახლოვდა. ვმადლობთ უფალსა და მის კურთხეულ დედას, რომელთაც დალოცეს ჩვენი საბერძნეთში მოგზაურობა.

ზო ს ი ე ე (გიორგილი)
წილენელ-ურბნელი ეპისკოპოსი



ათონი. ფილოთეოს მონასტრის ბერებთან

სინის მთის ქართული წარწერები

სინის მთის ქართული ეპიგრაფიკა, ისევე როგორც საერთოდ სინის მთაზე ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორია, ქართველოლოგიის ერთერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი უბანია. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტია სპეციალურ ნაშრომებში — წიგნებსა თუ სტატიებში ქვეყნდება ცნობები-ზოგჯერ ფოტოები, ან ტექსტები სინის მთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესახებ, სპეციალისტებს შორისაც დღემდე არ არის უტყუარი ცნობები მათი რაოდენობის, ხასიათისა და დანიშნულების, თვით შინაარსის შესახებ. ამავ დროს, ბოლო ხანებში ახალი მასალების, და მათ შორის, ადრე სრულიად უცნობი ქართული წარწერების აღმოჩენამ სინის მთის მიდამოებში და მანამდე უცნობი ძველი ქართული ხელნაწერების, თუ ხელნაწერთა ფრაგმენტების აღმოჩენამ სინის მთის სიძველეებით სახელგანთქმულ წმ. კვატერინეს მონასტერში, უჩვეულოდ გაზარდა როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებრიობის ინტერესი ამ თემისადმი. ამიტომ, ახლადმოკვნილი და ადრეც ცნობილი ძეგლების თანამიმდევრული, სისტემატური და ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისათვის თავისთავად დაისმის საკითხი უკვე ცნობილი ფაქტების ერთგვარი სისტემატიზაციის საჭიროების შესახებ.

სინის მთა და იქ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565) მიერ აგებული მონასტერი უძველესი დროიდანვე მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. იგი მდებარეობს უდაბნოში, სინის მთის ნახევარკუნძულზე, ქ. კაიროდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 450კმ-ზე. სინის მთაზე, კერძოდ წმ. კვატერინეს მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის კვალი IX ს-დან დასტურდება, ხოლო სამონასტრო კომპლექსისაკენ მიმავალ პილიგრიმთა გზაზე ბოლო დროს აღმოჩენილი ქართული წარწერების მიხედვით, ეს კვალი აქ უკვე

VII საუკუნიდან ჩანს სავარაუდებელი. (და უფრო ადრეც).

საყოველთაოდ ცნობილია დიდი მნიშვნელობა სინის მთის ლიტერატურული სკოლისა და მწიგნობრული კერისა ძველი ქართული მწერლობის განვითარებაში. ამ სკოლის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია X ს-ის მოღვაწე იოვანე-ზოსიმე.

ბუნებრივია, რომ ქართველთა კოლონიის არსებობას სინის მთაზე განაპირობებდა ის უხვი და მრავალრიცხოვანი შეწირულებანი, რომელთა შესახებ ცნობები შემოუნახავთ საისტორიო წყაროებს და მათ შორის „სინის მთის სულთა მატეიანეს“.

ცნობები გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების სინის მთის კულტურულ-საგანმანათლებლო კერისადმი ზრუნვის შესახებ შემონახულია ქართულ საისტორიო თხზულებებშიც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავით აღმაშენებელმა „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ-ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდითა ოქროსა რჩეულისა“ (ქართლის ცხოვრება“ ტ.I, გვ. 353); ასევე, მეორე ქართველი ისტორიკოსის, ბასილი ეზოსმოდვრის ცნობით, თამარ მეფე „წარავლენდის სარწმუნოთა თვსთ და დაავდრის ესრეთ: „იწყებ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბისა, სინისა მთისა, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის“ (ქართლის ცხოვრება“, ტ.II გვ.141). მაშასადამე, როგორც ეს დამახასიათებელი იყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობისათვის იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში, ამ ცნობებში ასახულია ქართული სახელმწიფოს ზრუნვა, არამარტო ქართველი ქრისტიანე-

ბის, არამედ საერთოდ აღმოსავლეთის „ერთა ქრისტიანეთა“ მიმართ.

სინის მთაზე თავმოყრილ მრავალრიცხოვან სიძველეებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ხელნაწერთა ბრწყინვალე კოლექციას. ეს კოლექცია საყოველთაოდ ცნობილია და თითქმის საუკუნოვანი კვლევის განმავლობაში საფუძვლიანად შესწავლილი, როგორც ქართველოლოგიაში, ისე ევროპულსა და ამერიკულ ორიენტალისტიკაში. კოლექციის საერთო დახასიათებისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ მასში წარმოდგენილია უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი-864 წლის ე.წ. სინური მრავალთავი, რომელსაც შემოუნახავს, ზგრუთვე, ქართული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობის-ნუსხახუცურის ჩვენთვის ცნობილი უძველესი ნიმუშები.

დიდი ამავე დასდეს სინის მთის ქართული ხელნაწერების კოლექციების შესწავლას და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მისი როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას ალ. ცაგარელმა, ნ. მარმა, ი. ჯაფახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ჟ. გარიტმა, ა. შანიძემ, ი. იმნაიშვილმა. სულ ბოლო ხანებში ამ კოლექციის შესწავლასა და აღწერილობაზე ინტენსიურად მუშაობს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი.

სამწუხაროდ, სულ სხვა ვითარებაა სინის მთის ქართული წარწერების შესწავლის საქმეში, რასაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ დროდადრო, ეპიზოდურად, შეთხვევიდან შემთხვევამდე. არადა, სინის მთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები უნიკალურ მასალას შეიცავენ, როგორც ამ კერის ისტორიის, ასევე მთლიანად ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

სინის მთიდან ამჟამად ცნობილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები იყოფა ორ ჯგუფად: წარწერები წმ. კვატერინეს მონასტერში დაცულ ფრწურულ ხატებზე და პილიგრიმთა, ანუ წმიდა ადგილების მოსალოცად მოგზაურ პირთა ნაკაწრი წარწერები, ანუ გრაფიტები, რომლებიც ამოკვეთილია სინის მონასტრისაკენ მიმავალი გზის გარშემო კლდეებზე ორ ხეობაში — ვადი მუქათაბსა და ვადი ჰაგაში.

არასრული და ნაწყვეტი ცნობები ამ წარწერების შესახებ გამოაქვეყნეს პ. უსპენსკიმ, ალ. ცაგარელმა, ვ. ბენეშევიჩმა, გ. და მ. სოტირიუებმა, კ. ვაიცმანმა, მ. სტოუნმა და მ. ვან ესბროკმა. აქ წარმოდგენილი მსჯელობა სინის მთის ქართული ეპიგრაფიკის შესახებ სწორედ მათ პუბლიკაციებში არსებულ მასალებს ეყრდნობა. დასახელებულ მკვლევართაგან სპეციალურად წარწერებს მხოლოდ ვ. ბენეშევიჩი და მ. ვან ესბროკი შეეხნენ; ხოლო დანარჩენებთან ქართული წარწერები წარმოდგენილია და მოხსენებული ფერწერული ხატების კატალოგების, აღწერილობების, ან ფოტოსურათების გამოცემებში. ამ გამოცემებში თავმოყრილი მასალების მიხედვით, სინის მთის

ქართულწარწერიანი ფერწერული ხატები შეიძლება ასე დანაწილდეს: 1. მენოლოგიონი, ანუ ფენი; 2. მეორედ მოსვლის ხატი ქტიტორული წარწერით. 3. ხატი წმ. გიორგის და ქართველი მეფის გამოსახულებით და 4. ხატის ფრაგმენტი წმიდანების გამოსახულებით სამ რეგისტრად.

მენოლოგიონი წარმოადგენს დიდი ზომის რამდენიმე ხატისაგან შედგენილ კრებულს. ამ ხატებზე წელიწადის ყოველი დღის შესაბამისად წარმოდგენილია ცხრა-ცხრა რეგისტრად განლაგებული გამოსახულება წმიდანის ან წმიდანებისა. ამ გამოსახულებათა საერთო რიცხვი სამასზე მეტია; ყოველ მათგანს ახლავს ბერძნული და ქართული განმარტებითი წარწერები. ქართული წარწერებიდან ნიმუშად მოვიყვან რამდენიმეს: 1. „ღმრთისმშობლის შობა“. 2. „იოაკიმე და ანნა“. 3. „წმიდანი მინოლორა და მეტროლორა და ნემფოლორა“. 4. „წმიდაა ევფიმია“. 5. „წმიდა სუმონ მართალი“ და ა. შ., როგორც აღინიშნა, სამასზე მეტია ასეთი წარწერა. ყველა ეს წარწერა შესრულებულია II ს-ის სწორი ნუსხურით. პალეოგრაფიული ნიმუშებით თარიღდება მტკიცედ და ამ ხატების ორგანულ ელემენტს შეადგენენ.

მეტად დიდია, როგორც მთლიანად ამ მენოლოგიონის, ისე მასზე გამოსახული სიუჟეტების ქართული განმარტებითი წარწერების მნიშვნელობა; გარდა იმისა, რომ საქმე გვაქვს XI ს-ის რამდენიმე ასეულ ქართულ წარწერასთან, ეს წარწერები შესრულებულია ეპიგრაფიკისათვის იშვიათი ხელით-სწორი ნუსხურით, რომლის სულ რამდენიმე ნიმუში დასტურდება თვით საქართველოში, და ისიც მხოლოდ ლაპიდარულ, ე.ი. ქვაზე ამოკვეთილ წარწერებში; მენოლოგიონის მონაცემები მნიშვნელოვანია ქართული სვინაქსარის რედაქციული შედგენილობის დახუსტებისათვის; შემთხვევითი არ არის, რომ ამ ხატების აღწერილობის პირველი გამოცემის გ. სოტირიუს დაკვირვებით, ხატებზე გამოსახულ წმიდანთა ნუსხა არ თანხვდება კონსტანტინოპოლის ეკლესიაში მიღებულ დღესასწაულთა შესაბამის წმიდანებს.

მეორედ მოსვლის ფერწერული ხატი შეიცავს ოთხ რეგისტრად განლაგებულ მრავალფეროვან კომპოზიციებს (დაახლოებით ათამდე). გარდა იმისა, რომ თითოეულ კომპოზიციას ახლავს განმარტებითი წარწერები ქართულ და ბერძნულ ენებზე, ხატის თითქმის შუა ნაწილში, სამსჯავროს გამოსახულების ქვემოთ მოთავსებულია ქართული წარწერა შესრულებული შეიდ სტრიქონად, XI საუკუნის სწორი, ეპიგრაფიკული ნუსხურით. ამ მეტად მნიშვნელოვანი წარწერის ტექსტი ასეთია: „ქ. მეუფო იესუ ქრისტე, მეორედ მოსლვასა შენსა დიდებით ღირს მჟავ დღესა მას ნაწილსა მარჯვენეთისა სა, პურ-წყლით მოგებელი ხატისა მეორედ მოსლვისა შენისა და ყოველთა წმიდათა შენთასა, უღირსი ხუცეს-მონაზონი იოვანე (...) ამენ“.

როგორც ვხედავთ, ეს წარწერა თავისი შინა-
არსით ქტიტორულია: მეორედ მოსვლის ეს ხატი
დამზადებულია XI საუკუნეში ხუცეს-მონაზონ იო-
ვანეს შეკვეთით და მის მიერ გაღებული სახსრებით.
ცალკე ყურადღებას იქცევს ქტიტორის მიერ გაწე-
ული დეაწლის აღმნიშვნელი ფორმულა: „პურ-
წვლით მომგებელი ხატისა შენისა“, რომელიც სა-
ერთოდ იშვიათია, მაგრამ გვხვდება საქართველო-
შივე დადასტურებულ წერილობით ძეგლებში. ასე
მაგალითად, ნესტუნის (ზემო სვანეთი) ეკლესიის
XI ს-ის წარწერაში აღნიშნულია: „მე ბეშქენ მოვ-
წერე წმიდაჲ ესე საკურთხეველი პურითა და სა-
ფასითა ჩემითა“, ხოლო XII ს-ის ერთ-ერთი
ქართული ოთხთავის მომგებელთა ანდერძში აღ-
ნიშნულია: „ჩუენ, ორმა სახლმა დავაწერინეთ —
მუხათურმან და გავახელთა, ჩუენითა ალალითა
კელფასითა და პურ-წვლითა და ყოვლითა ჩუენითა
საკმარითა“. ასევე, XIV ს-ის ერთ სვანურ სა-
ბუთში აღნიშნულია: „ყველას პირი და პასუხისა
გამცემი მე, ბიბილა დევდარიანი ვარ ჩემითა პურ-
წვლითა“.

ჩვენს ერთ-ერთ ძვირფას რელიქვიად უნდა ჩაი-
თვალოს სინის მთის კიდევ ერთი ფერწერული ხატი
წმ. გიორგის და ქართველი მეფის გამოსახულებით.
ხატზე, რომელიც საშუალო ზომისაა (65x50სმ.)
წარმოდგენილია მთელი ტანით, მარცხნივ წმ. გიორ-
გი და მარჯვნივ გვირგვინოსანი მეფე-სამეფო სა-
მოსელში, მარჯვენა ხელში ლაბარუმით ტანის გა-
სწვრივ და მარცხენა ხელში დახვეული გრაგნი-
ლით. მათ შუაში, ზემოთ, ნახევარწერეში წარმოდგე-
ნილია მაცხოვრის წელზევითი გამოსახულება,
რომლის მიმართ მიბრუნებულია და ლოცვის ნიშ-
ნად ხელები აქვს აღმართული წმ. გიორგის; თვი-
თონ მეფე წარმოდგენილია პირდაპირ. გამოსახუ-
ლებებს ახლავს ბერძნული ასომთავრული წარწე-
რები: „ო აგიოს გეორგიოს“ („წმიდა გიორგი“) და
„... პისტოს ბასილეუს პასე ანატოლეს ო პან-
კრატუნანოს“, რაც ქართულად დაახლოებით ასე
უნდა გადმოიცივს: „მორწმუნე მეფე ყოვლისა აღმო-
საველეთისა ბაგრატუნანის“. თვით მეფის სახელი
ამჟამად დაზიანებულია და წარწერის ტექსტი ამ
ადგილას ნაკლებია. დაზიანებული ყოფილა იგი
მაშინაც, როდესაც პირველად გახდა ცნობილი სა-
მეცნიერო წრეებისათვის XIX ს-ის II ნახევარში.

გამოსახულებებს შორის, ხატის შუა ნაწილში
მოთავსებულია ორი წარწერა — ზემოთ 10 სტრიქო-
ნად ბერძნული, შესრულებული ნუსხურით და ქვე-
მოთ, გამოსახულებათა მუხლისთავეების დონეზე
5 სტრიქონად ქართული, ოდნავ შესამჩნევი, შეს-
რულებული ნუსხახუცურით. ორივე წარწერა ცუ-
დად იკითხება ნაწილობრივ დაზიანებისა და ნაწი-
ლობრივ გამოქვეყნებული ფოტოსურათის მეტის-
მეტად მცირე მასშტაბის გამო. ბერძნული წარწერის
ტექსტი გ. სოტირიუს მიხედვით წარმოადგენს წმ.

გიორგის ლოცვას ხატის ცენტრში გამოსახული
მაცხოვრისადმი, რაც შეეხება ქართულ წარწერას,
რომელიც მეტისმეტად ფრაგმენტულად არის მოლ-
წეული, ვ. ბენეშევიჩის დაკვირვებით, რომელმაც
პირველმა შეისწავლა იგი, მისი ტექსტი შეიცავს
მეფის ტიტულის აღნიშვნას, მის მიერ აღდგენილ-
შეკვებულ ტიტულის მიხედვით ვ. ბენეშევიჩმა
მიიჩნია, რომ ხატზე გამოსახული ქართველი მეფე
უნდა იყოს დავით აღმაშენებელი.

ვ. ბენეშევიჩის მიერ ჩატარებული ეს კვლევა
უცნობი დარჩა გ. სოტირიუსათვის, რომელმაც მე-
ფის თავთან მოთავსებული სახელის აღმნიშვნელ
წარწერაში გააჩნია ბერძნული ასო ომეგა. მიიჩნია,
რომ აქ გამოსახული მეფის სახელია გიორგი, და-
ასკვნა, რომ ხატზე გამოსახული უნდა იყოს თამარ
მეფის მამა გიორგი მეფე. ცხადია, ხატზე გამო-
სახული ქართველი მეფის სახელის გარკვევა შე-
საძლებელია ხატის წარწერების ადგილზე გულ-
დასმით შესწავლის შემდეგ სპეციალისტების მიერ.

სინის მთის ქართულწარწერიან ხატებში, რო-
გორც აღინიშნა, ცალკე გამოიყოფა ხატი წმიდა-
ნების წელზევითი გამოსახულებებით, რომელმაც
ახლავთ მთელ სიგრძეზე ჩამოწერილი ასომთავ-
რული განმარტებითი წარწერები. ამ წარწერებს
უჭირავთ გამოსახულების მთელი სიმაღლე; ისინი
შესრულებულია მოზრდილი ასოებით, ისე რომ,
აშკარაა მათ გარდა გამოსახულების განმარტებისა,
შხატვრული დატვირთვის ფუნქციაც აქვთ. რამ-
დენადმე უჩვეულოა წარწერების ორთოგრაფია:
„წმიდაჲ ანტრია მოწიქული“, „წმიდაჲ ფილიფე“,
„წმიდაჲ ეფთიმე“ და სხვა.

როგორც აღინიშნა, სინის მთის ქართული ეპი-
გრაფიკის ცალკე ჯგუფს ჰქმნის პილიგრიმთა, ანუ
წმიდა ადგილების მომლოცველთა წარწერები, ამო-
კვეთილი სინის მთის მონასტრებისა და ეკლესი-
ებისაკენ მიმავალი გზის მახლობლად ქვიშაქვის
კლდეებზე და შვერილებზე. ამ წარწერების აღმო-
ჩენისა და შესწავლის ისტორია ასეთია: როგორც
მათი პირველად აღმოჩენი, პარვარდელი (აშშ)
პროფესორი მ. სტოუნი 1981 წელს წერდა, უკანას-
კნელი ორი წლის მანძილზე, ე.ი. 1980-1981 წწ.,
სინის ნახევარკუნძულზე, პილიგრიმების მთვარ
გზაზე მოეწყო ხუთი ექსპედიცია მისი ხელმძღვა-
ნელობით. ექსპედიციების მიზანი იყო ამ მიდამო-
ებში სომხური წარწერების აღმოჩენა და შესწავლა.
მოპოვებული მასალა 1982 წელს სანიმუშოდ გა-
მოიცა მ. სტოუნის მიერ პარვარდის უნივერსი-
ტეტის სერიის — „სომხური ტექსტები და გამოკ-
ველვები“ მე-7 წიგნად.

სომხური წარწერების შესწავლის პროცესში
ბერძნულ, სირიულ, ლათინურ და სხვაენოვან წარ-
წერებს შორის მ. სტოუნმა გამოავლინა ქართული
წარწერებიც.

მათ შესასწავლად ერთ-ერთ ექსპედიციაში მან



ხატი წმ. გიორგისა და ქართველთა მეფეთმეფის (ვარაუდით დავით აღმაშენებლის) გამოსახულებით



ხატი წმიდანთა გამოსახულებებით

მიიწვია ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგი, ბოლანდისტი მიშელ ვან ესბროკი. აღმოჩენილ ქართულ წარწერათა ერთი ჯგუფის, კერძოდ 10 წარწერის შესახებ მ. ვან ესბროკმა პირველი ინფორმაცია გააკეთა თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, უკვე 1981 წლის შემოდგომაზე. ინსტიტუტში მიღებული კონსულტაციის შემდეგ ეს წარწერები, კიდევ ორი ქართული წარწერის დართვით მ. ვან ესბროკმა გამოაქვეყნა მ. სტოუნის წიგნის I დამატების სახით (II დამატებად ამ წიგნში გამოყენებულია ორი ლათინური წარწერა, რომელთა პუბლიკაცია მომზადებულია ვილიამ ადლერის მიერ.) საკითხის ისტორიის სისრულისათვის აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ქართული წარწერის ფოტო (მ. ვან ესბროკის მიხედვით, ჰაგაჰი გეორგ-10) მ. სტოუნმა გამოაქვეყნა წინასწარი ხასიათის მიმოხილვით წერილში, რომელიც დაიბეჭდა 1981 წელს ყოველკვარტალური ჟურნალის „ბიბლიის არქეოლოგიის“ ხაზთრის ნომერში (ეს იყო საერთოდ პირველი ბეჭდური ცნობა სინის მთის ახალ-აღმოჩენილი ქართული წარწერების შესახებ; სამწუხაროდ, ქართული წარწერის ფოტოს, როგორც ჩანს, განმარტებითი ტექსტების არევის გამო, აწერია, რომ ის არის სომხური წარწერა, ხოლო იქვე გამოქვეყნებული კიდევ ორი სომხური წარწერის ფოტოდან ერთერთზე მიწერილია, რომ ის არის VII ს-ის ქართული წარწერა.)

მ. სტოუნი ამ პირველსავე წერილში აღნიშნავს, რომ ჩატარებულ კვლევამ იქნათა შედეგად აღმოჩნდა 113 სომხური და 20 ქართული წარწერა. სომხური წარწერების უმეტესობა და ვეღა ამჟამად ცნობილი ქართული წარწერა აღმოჩენილია სინის მთის აღმოსავლეთით, პილიგრიმების ძველი გზის გასწვრივ ორი ხეობის-ვადი მუქათაბის (ან, მუკატაბის) და ვადი ჰაგაჰის (თუ ჰაჯაჯის) გასწვრივ ქვიშაქვის კლდეებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული წარწერები ამ, და აგრეთვე პილიგრიმების სხვა გზებისა და სადგომების გასწვრივ, თუ ისეთივე გულდასმით და საგანგებოდ იქნება შესწავლილი, როგორც ეს გაკეთდა სომხური წარწერების მიმართ, მათი მაქსიმალური გამოვლენის მიზნით, გაცილებით მეტი რაოდენობით აღმოჩნდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სინის მთის მონასტრებთან, კვლესიებთან და ცალკე ქვაბებთან შეუდარებლად მეტი იყო ქართველების ურთიერთობა და კონტაქტები, ვიდრე სომხური წრეებისა. კ. ვაიცმანი, რომელიც აღიარებს ბერძნებთან ერთად, გარკვეულ პერიოდებში, სირიელი, არაბი, ქართველი, ლათინი და სლავი მართლმადიდებელი ქრისტიანების თანამოღვაწეობას სინის მთაზე, საერთოდ გამოირიცხავს სომეხთა იქ მოღვაწეობის შესაძლებლობას, თუნდაც სარწმუნოებრივი მოსაზრებით. ამიტომ, თუ ასეთ ვითარებაში, სინის მთის მიდამოებში 113 სომხური წარწერა აღმოჩნდა, ქართული

წარწერები უფრო მეტი რაოდენობითაა მოსალოდნელი, ვიდრე ეს მ. სტოუნის მიერ დასახელებული 20 ერთეულია.

დღესდღეობით, ამჟამად აღრიცხული ოცი ქართული წარწერიდანაც გამოცემულია 12 წარწერა. რა დროისაა ეს წარწერები? რა ცნობებს შეიცავენ ისინი? და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენი კულტურისა და ისტორიისათვის? ამ წარწერების პირველი პუბლიკაცია, როგორც აღინიშნა, მ. ვან ესბროკმა განახორციელა და მანვე წარმოადგინა მათი დათარიღება. მის მიხედვით ორი წარწერა ვადი ჰაგაჰიდან თარიღდება VII-IX სს-ით (ერთი ძალიან მოკლეა, შეიცავს სულ ერთ სიტყვას-საკუთარ სახელს „ევსები“, ხოლო მეორე — შეწყალების ტექსტს, მიმართულია წმ. სინისადმი); ერთი წარწერა — ზოსიმესი ვადი მუქათაბიდან, VIII-IX სს; სამი წარწერა — ერთი ვადი მუქათაბიდან და ორი ვადი ჰაგაჰიდან-X ს-ით; ამათგან პირველი წარწერის ტექსტი სხვა ამჟამად ცნობილ წარწერებზე უფრო ვრცელია. მასში მოხსენებულია ბასილი ჯაბარნისძე; ორი წარწერა — X-XI სს-ით; და ბოლოს, ოთხი წარწერა — XIV ს-ით; აქედან ერთ-ერთი (მ. ვან ესბროკის მიხედვით — ჰაგაჰი გეორგ-1) კუთვნიან გიორგი ჯუარელს. წარმოდგენილი საკითხები და დათარიღებები, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება დაზუსტებას საჭიროებდნენ, მაგრამ ეს ცალკე საკითხია და ამ წერილის ამოცანას არ შეადგენს. ამრიგად, როგორც ვხედავთ, სინის მთის ქართული წარწერები ნაწილდებიან დროის საკამოდ დიდ მონაკვეთზე — VII ს-დან XIV ს-ის ჩათვლით.


ეს წარწერები პილიგრიმულია და როგორც წესი, შეიცავენ შეწყალების თხოვნას ღვთისადმი. სინტურესოა, რომ მათში ასახულია შეწყალების თხოვნის სხვადასხვა ფორმა, დამახასიათებელი სხვადასხვა ეპოქებისათვის. მაგალითად, თუ უძველესი დროისათვის იგი მხოლოდ მთხოვნელის სახელის აღნიშვნით არის წარმოდგენილი, მომდევნო ხანებისათვის უკვე დასახელებულია შეწყალების თხოვნის ობიექტი: უფალი, ქრისტე, წმიდა სინა... ზოგჯერ შეწყალების მთხოვნელი დასახელებულია არა მარტო სახელით, არამედ გვარსახელით (ჯაბარნის ძე) და საღაურობით (ჯუარელი). ამ უკანასკნელი ფაქტიდან ისიც ჩანს, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს შორის, კერძოდ, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერსა და სინის მთის შორის, ადგილი ჰქონია ურთიერთობებს, რაც გარდა არის დადასტურებული ლიტერატურული წყაროებითაც.

მრავალმხრივია ამ წარწერების მნიშვნელობა ჩვენი კულტურისა და ისტორიისათვის. ისინი ავსებენ უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების და მათ შორის, ეპიგრაფიკული მასალის ფონდს;

მათ მიხედვით საშუალება გვეძლევა თვალი ვადევნოთ სინის მთის სავანეებისაკენ ქართველთა მოგზაურობის მიმართულებასა და გზას; გვაწვდიან ცნობებს ჩვენი კულტურის უცნობი მოღვაწეების შესახებ, რომელთაც უმოგზაურიათ სამშობლოდან ასე შორს არსებულ კერებში. დასასრულ, ცალკე უნდა აღინიშნოს ამ წარწერების პალეოგრაფიული, ონომასტიკური და ტოპონიმიკური ღირებულების შესახებ.

ერთი სიტყვით, უდავოა, რომ ამ ნაწივეტ-ნაწივეტი და ეპიზოდური მასალის მიხედვითაც, აუცილებელია სინის მთის ქართული წარწერების საფუძვლიანი მოძიება და შესწავლა უშუალოდ ადგილებზე; ასევე უდავოა, რომ ასეთი შესწავლა ბევრს შესძენს მნიშვნელოვანსა და საყურადღებოს ჩვენი კულტურის ისტორიას.

პ ა ლ რ ი ს ი ლ ო ბ ა ა ვ ა



სინის მთა. წმ. ეკატერინეს მონასტერი



ქართლის ცხოვრების ფურცლები

გიორგი ბრწყინვალე და ქართული ეკლესია

გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1346), დიმიტრი თავდადებულის უმრწემეს ძეს, წილად ხვდა ბოლო მოედო მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისათვის და კვლავ აღედგინა საქართველოს დარღვეული პოლიტიკური მთლიანობა. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეკლესიის აღორძინების საქმეშიც.

მისი თანამედროვე, განათლებული, მრავალმხრივ განსწავლული და მკაცრი ისტორიკოსი—ჟამთააღმწერელი, გიორგი V-ის გამეფებას დიდი ვარსკვლავის ამობრწყინებას აღარებს: „და იყო მთიებთან აღმოჭვირვებად,“ აღფრთოვანებით გვაუწყებს იგი. დიდი ივანე ჯავახიშვილი კი, გიორგი ბრწყინვალეს უყოყმანოდ აყენებდა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გვერდით.

გიორგი V-ის გამეფებისას, უცხო ტომის—მონღოლთა საუკუნოვანი ბატონობის შედეგად, ქართველი ერი იყო „დამაშურალ დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“ (მათე, IX,36).

დასუსტებული, მაგრამ კვლავ საშიში მტრის—მონღოლთა უღლის გადაგდებად, საჭირო იყო ქვეყნის სულიერი აღორძინება და ეკონომიური მომაგრება. სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა ერთერთი უპირველესი უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინვალესათვის. მას კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისათვის ყველაზე საშიში მორალური დეგრადაცია იყო. რამეთუ თქმულ არს: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი თქუენნი, ხოლო სულსა ვერ ხელეწიფების მოკლვად, არამედ გეშინოდნენ მისა უფროის, რომელ შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად...“ (მათე, 10,28).

საქართველოს მფლობელი მონღოლ-ილხანები XIII-ის ბოლო მეოთხეაზღვე, (როდესაც ისლამი აღიარეს), პრიმიტიული, მაგრამ ნაკლებ აგრესიული სარწმუნოების—შამანიზმის მიმდევარნი იყვნენ; შეიძლება გვეფიქრა, რომ მათი ბატონობა და სულიერი ჩაგვრა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით, მაგრამ სიკეთის მომტანი შეიძლება ყოფილიყო უცხო და თანაც კულტურულად უფრო დაბლა მდგომი რომელიმე ხალხის ბატონობა? განა მონღოლები მთელი თავისი უარყოფითი გავლენით ხელს არ უწყობდნენ ქრისტიანული საქართველოსათვის დამღუპველი ჩვევების თანდათანობით დანერგვა-დამკვიდრებას? ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მიუხედავად ქვეყნის დაკნინება-გაჩანაგებისა, ბევრი თურმე: „განძიდა, განსუქნა...და დაუტკვა ღმერთი, შემოქმედი თვისი“ (მეორ. სჯულ; 32,15). ქრისტიანობის დალატი კი ამ დროს ერის დალატი იყო. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ხდება, რომ როცა ქვეყანას უჭირს და ერის შემაკავშირებელი საერთო სულიერი მიზნები და მისწრაფებები რყევას განიცდიან, ქმედებისა და ბრძოლის მაგიერ, ღვინისა და თვითმკაყოფილებას მიეცემიან ხოლმე. მაგალითად, ძველ აღთქმაში იავარქმნილ ისრაელის ერზე ნათქვამია, რომ იმ დროს, როდესაც ქვეყანას მეტისმეტად უჭირდა: „დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღსდგეს სიმღერად“, (გამოსვლათა, 32,6). ასევე საქართველოს სავალალო მდგომარეობის შემხედვარე გიორგი V-ს ალბათ ისდა დარჩენოდა, მიეპართა ქრისტესათვის: „ნუ შეურაც-ჰყოფ ერსა შენსა, გლახაკსა და დაწუნებულსა, არამედ შემწე კუავნ მარჯვენაჲ შენი ძლიერი და მაღალი, შობილო ქალწულისაგან და მიკსენ ჩუენ მონებისაგან მტერთა ჩუენთასა — აგარის ნათესავთა!“ (ძლის-პირნი, თბ. 1982).

გიორგი V-მ, როგორც გონიერმა და შორსმჭვრეტელმა მოღვაწემ, ქვეყანაზე ზრუნვის ერთ-ერთ პირველ საგნად რწმენისა და განათლების

ძირითადი კერების, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება და ახალთა აგება დაიხსნა. ეკლესია-მონასტრები კი, სხვა მიზეზთა გარდა, ძლიერმა მიწისძვრებმაც დაახინა. ჟამთააღმწერელი შეძრწუნებული მოგვითხრობს იმ სასტიკი მიწისძვრების შესახებ, რომლებიც XIII საუკუნის გასულს მომხდარა: „საფუძვლითურთ შეიძრა ქუეყანა... და იქცნეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, და სახლნი“, — ამბობს იგი. (ქართლის ცხოვრება. ტ. II თბ. 1959). ამ დროსვე დაზიანებულია მცხეთის საპატრიარქო ტაძარიც. ამიტომ, რომ სხვებთან ერთად, ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით, გიორგი V-ს სვეტიცხოველიც აღუდგენია (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973). გიორგი V-ის დროსვე აღდგენილი სამთავროს ტაძრის გუმბათიც, რომელმაც დღემდე XIV საუკუნის რესტავრირებული სახით მოაღწია:

XIV საუკუნის შესახებ მცირე ცნობების არსებობის მიუხედავად, შესაძლებელია ნაწილობრივ მაინც აღვადგინოთ ტაძარ-მონასტრთა იმდროინდელი აღშენებლობის სურათი. გიორგი V-ის დროსაა აგებული, მაგალითად, მყინვარწყურის სპეტაკ ფონს შესანიშნავად მისადაგებული გერგეტის სამება, სამრეკლოსთან ერთად. ამ პერიოდის ტაძარ-მონასტრები ყველაზე მეტი სამცხეშია შემორჩენილი. განსაკუთრებით ნაყოფიერად მოღვაწეობს აქ, გიორგი V-ის პაპა (დედის მხრიდან) — ბექა მანდატურთუხუცესი. ამიტომ უწოდებს მას ჟამთააღმწერელი „მშენებელს... ეკლესიათა და მონასტერთა“. ბექას მიერაა აგებული საფარის წმიდა საბას ტაძარი. ზარზმის დიდი ტაძარი კი მისი დროის ადგილობრივი ფეოდალის მიერაა აშენებული. საფარის წმიდა საბასა და ზარზმის ტაძრები ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ბექასდროინდელ ეკლესიათა შორის.

წმიდა საბას ტაძარი, როგორც წარწერა გვაუწყებს, აშენებულია ხუროთმოძღვარ ფარეზას-ძის მიერ. ზარზმის აწინდელი დიდი ტაძარი კი აგებულია იქ, სადაც ჯერ კიდევ სერაპიონ ზარზმელმა დააარსა მონასტერი.

ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბასთან (ისტორიული თორი), ყურადღებას იქცევს გიორგი V ბრწყინვალის მოღარეთუხუცესის მიერ აგებული პატარა ეკლესია. ეკლესია კარგად ეხამება მთის კალთას, შემკულია სადა, ლამაზი ჩუქურთმებით. დასავლეთ კარიბჭის თავზე მოთავსებულია ოთხსტრიქონიანი წარწერა. წარწერიდან ვიგებთ, რომ ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის სახელზე, რადგანაც იქ ღმირთვის ფორმით ნახმარია გამოთქმა — „სიტყვისა ღვთისა გორცშესხმისა მიზეზო“!

(ე. ი. იგულისხმება მამადმერთის — „სიტყვის“, ანუ იესო ქრისტეს, აღმდგომი ხორცშესხმის მიზეზი-ღვთისმშობელი მარიამი).

გიორგი ბრწყინვალის დროსვეა აგებული ცაიშის (ზუგდიდის რაიონი) გუმბათიანი ტაძარიც.

ამ პერიოდის კედლის მხატვრობიდან აღსანიშნავია ზემოთ ნახსენები საფარის და ზარზმის ტაძრების მოხატულობა. მათ შორის ისტორიულ პირთა — ჯაყელების პორტრეტები და ქართლის კათოლიკოსის — ეფთიმიოსის პორტრეტი, რომელიც აგრეთვე XIV საუკუნეშია შესრულებული. (ექვთიმე კათოლიკოსობდა 1298—1310 და 1318—1335 წლებში).

დიდი ოსტატობითა და ექსპრესიით გამოირჩევა უბისის ტაძრის მოხატულობა. განსაკუთრებით მონუმენტური და შთამბეჭდავია „საიდუმლო სერობის“ ფრესკა.

საინტერესოა, რომ არაბი ავტორის (ალ აინის) ცნობით, 1320 წლისათვის გიორგი V-ს ეგვიპტის სულთანმა ნება დართო იერუსალიმში ახალი ეკლესია აეგო. ამ დროსაა განახლებული იერუსალიმის განთქმული ქართველთა ჯვრის მონასტრის მოხატულობაც (ტაძარი მოხატეს, აგრეთვე, XVII საუკუნეში). ჯვრის მონასტერში XIV საუკუნის I ნახევარშია შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის გამოხატულებანი, მთავარანგელოზები საკრებულოს სცენიდან და ა. შ. ერთერთი აღმოსავლური წყაროს მიხედვით (ალ-კალკაშანდი), გიორგი V-სვე გამოუხსნია ჯვრის მონასტერი არაბთა ხელიდან. მართალია, სხვა წყაროების მიხედვით, ეს გიორგი V-მდე მოხდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომსაქართველოს არამყარი მდგომარეობის გამო, საჭირო გახდა მონასტრის რამდენჯერმე გამოხსნა. ცნობილია გიორგი V-ის ორი ელჩობა იერუსალიმში, რომელსაც მეთაურობდა პიპაქე შილვა — ქსნის ერისთავი. მან გიორგი V-ს ჩამოუტანა ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასადები, ანუ ქართული წყაროს მიხედვით, „კლიტენი იერუსალიმისანი“ (ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობა). ჯვრის მონასტრისადმი გიორგი V-ს დიდ ღვაწლზე მეტყველებს ალაბთა სიმრავლე, რაც მისთვის ამ მონასტერში იყო განწესებული. ერთერთი მათგანი, განსაკუთრებით საპატიო მარხვა-ზატიკის კვირაზეა განწესებული და გიორგი V-ის დედასა და მეუღლესაც ახსენებს: „სულისა წმიდისა მოსლვისა კვირიაკესა, წირვამ და ალაბი ღმრთივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა, დიდისა გიორგისა, დედ/ა/სა და მეუღლ/ე/სა მისსა მესაჲ, შეუნდვენ ღმერთმან“ (ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ. 1962). თეოდოსი ეპისკოპოსს (XVII ს) კი, ჯვრის მონასტერში უნახავს ალაბი, რომელიც გიორგი V-ს უწოდებს „ჯვრის მეორედ მაშენებელს“ (პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. I, თბ. 1960).

ერთერთ ბერძნულ მინაწერს საბედნიეროდ შე-
მოუნახავს ცნობა იმის შესახებ, რომ იერუსალიმის
სამხრეთ — აღმოსავლეთით მდებარე დიდი ლავრი-
სათვის — საბაწმინდისათვის საქართველოს კათო-
ლიკოსს ექვთიმეს, 1334 წელს, ე. ი. გიორგი V-ს
დროს, შეწირულობა გაუგზავნია. ამ მინაწერში
ვკითხულობთ: „წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი მამის,
დიდი ექვთიმეს (ხსენების) დღეს დავადგინეთ,
რათა წმიდა და ღვთისნიერი ჩვენი ნეტარი მამის
საბას წმიდა ლავრაში [ამავე ლავრაში გარდაც-
ვლილ] ძმათათვის, ყოველწლიურად იყოს 'ღამის
თევა და ტრაპეზი, სანამ ხსენებულ ამ წმიდა იბერი-
ის უწმიდესი და უმართლმადიდებლესი მთავარ
ეპისკოპოსისა და კათალიკოსის, უფალი ექვთიმეს
შეწევნით, ბერნი იქნებიან. ასევე, სათითაოდ მოიხ-
სენიებიან მოგონებით ყოველნი, ვინც წმიდა ქალაქ
იერუსალიმში პატრიარქობდნენ. თვით მოხსენი-
ებულმა მთავარეპისკოპოსმა (კათალიკოს ეფთვი-
მემ), გამოგზავნა იბერიიდან მცირე ევლოვია
(კურთხევა, შეწირულობა) ამავე წმიდა ლავრაში
დამცრობილი ბერების განსაგებლად და გასამხნე-
ვებლად. წაკითხულ იქნა დიდი ექვთიმეს სეინაქ-
სარი. წესდებულმან, ყოვლად უმანკო ღვთისმშო-
ბელმან და უნეტარესმა საბამ—მისცეს მას ჯილდო
განსჯის დღეს... წელსა 6842, ინდიქტიონს 2
(≈ 1334 წ).“

საბაწმინდის ლავრა V საუკუნეში დააარსა საბა
განწმედილმა (439—532) და თავიდანვე ერთი რო-
მელიმე ეროვნების კუთვნილება არ ყოფილა. აქ
მოღვაწეობდნენ ბერძენები, სირიელები და თითქმის
დაარსებისთანავე—ქართველები. განსაკუთრებით
ინტენსიური მოღვაწეობა ქართველებს VIII-IX
საუკუნეებში გაუწაღებიათ. მაგრამ შემდეგ, სამწუ-
ხაროდ, საბაწმინდაში ქართველთა მოღვაწეობის შე-
სახებ ცნობები აღარ ჩანს. ამ შრივ, ზევით მოყვა-
ნილი საბუთი, რომელიც XIX საუკუნის მკვლევარ-
მა პაპანდოპოლო-კერამევსმა თავის დიდტანიან
შრომაში („იერუსალიმის ბიბლიოთეკა“) დაბეჭდა,
ბედნიერ გამოიხატის წარმოადგენს. (ტ. II, ს. —
პეტერბურგი, 1894, ბერძნულ ენაზე). საბუთის მი-
ხედვით ნათელი ხდება ქართველების მოღვაწეობის
უწყებობა საბაწმინდაში XIV საუკუნემდე მაინც.
საბუთიდან ჩანს, რომ ამ დროს საბაწმინდეებს
თუმცა კი უჭირთ, დამცრობილნი, შემცირებულნი
არიან, მაგრამ აშკარაა, რომ ქართველები იქ კვლავ
იღვწიან და საქართველოსთანაც კავშირი აქვთ.
ამას ადასტურებს, სხვათა შორის, რუსი მოგზაური
არქიმანდრიტი აგრეფენია, რომელმაც XIV საუკუ-
ნის 70-იან წლებში იმოგზაურა იერუსალიმში. მი-
სი სიტყვით ამ დროს იერუსალიმში 15 ქართული
დასირიული მოქმედი მონასტერი ყოფილა (მართლ/
მადიდებლური პალესტინური კრებული, ტ. XVI,
პეტერბურგი, 1896, რუსულ ენაზე/. გიორგი V და

საქართველოს მესვეური ზრუნავდნენ სხვა ქარ-
თულ სავანეებზეც, იქნებოდა ეს ათონის ივერთა
მონასტერი, პეტრიწონი, სინის მთა თუ სხვა. (იხ.
კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ის-
ტორია“. ტ. I).

შემონახულია მაგალითად, 1311 წლის პეტრი-
წონის (ბაჩკოვო, ბულგარეთი) მონასტრის ხატი,
რომელსაც ვრცელი ქართული წარწერა ახლავს. აქ
ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ხატი მოუჭდავთ ორ
ტაოელ ძმას—ათანასესსა და ოქროპირს, ეგნატის-
ძეთ. აქვე იხსენიება საქართველოს ორი მეფე: კონს-
ტანტინე და დიმიტრი (ჩანს, დასავლეთ და აღმოს-
ავლეთ საქართველოსი). ესეც პეტრიწონელთა სა-
ქართველოსთან კავშირის დამადასტურებელი ფაქ-
ტია. XIV საუკუნეშივეა შესრულებული ამ მონას-
ტრის გუმბათის ჯვარი, ქართული ასომთავრული
წარწერით: „ძლევა იესუს ქრისტესი“.

გიორგი ბრწყინვალე უთუოდ ყურადღებას არ
აკლებდა საზღვარგარეთის ერთერთ უმნიშვნელო-
ვანეს ქართულ ლავრას—ათონის მონას-
ტერს. მისი ზრუნვის გამოძახილი უნდა იყოს იოანე
VI კანტაკუზენეს (1344-1355) ხრისოპული („ოქ-
როს სიგელი“), რომლითაც 1351 წელს მან ივე-
რონის ქართულ მონასტერს ყველა მისი ძველი
სამფლობელო დაუმტკიცა და ბერძენ ქართველთა
დავა მონასტრის ქონების ირგვლივ, ქართველთა
სასარგებლოდ გადაწვიტა. იოანე კანტაკუზენე
წერდა: „ჩვენი სამეფოს ათონის წმიდა მთაზე მდებ-
არე პატრიარქული, ყოვლად წმიდა დედოფლის —
ღვთისმშობლის სახელის სათნო მონასტერში,
ეგრეთწოდებულ ივერთა მონასტერში
მოღვაწე მონოზონებმა მომართეს ჩვენს მეუფებას,
რომ მათმა ამ სათნო მონასტერმა მთაწმინდის მი-
დამოებში, მის გარშემო და დანარჩენ სხვადასხვა
ადგილას მოიპოვა სენაკები, მცირე მონასტრები და
სახასტერნი და სხვადასხვა ნაგებობანი, რომლებიც
იმთავითვე და ძველი დროებიდან მათ მფლო-
ბელობაშია და დადასტურებულია ჩემი მეუფების
სახელგანთქმულ წინაპარ მეფეთა ხრისოპულო-
ბით“—/სიგელის ბოლოს იმპერატორი აცხადებს:
„ჩემი მეუფების წინამდებარე ხრისოპულის ძალით,
მტკიცე მფლობელობაში ექნება ივერთა ამ პა-
ტივსაცემ მონასტერს ყველა აქ განცხადებული
მცირე მონასტრები, მეტეხები და ყველა დანარჩენი
ქონება, დაუბრკოლებლივ და შეურყევლად“ („ოქ-
ორგიკა“, ტ. 8, თბ. 1970).

ქართულ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე მა-
მთა შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ: „უდაბ-
ნოს დამკვიდრებელნი ღირსნი იხარებდეს და სენი
ცეცხლისაჲ (ვნებათა ღელვა) გალობითა და მრიტეს
და მოქალაქობაჲ ანგელოზებრივი ქვეყანასა ზედა
აწუენეს“ (უძვ. იადგარი, მამათაჲ).

თვით საქართველოში განაგრძობენ მოქმედებას
გელათის მონასტერი, შიომღვიმის ლავრა, ოშკის

ტაძარი, დავით გარეჯის უდაბნო, ანჩის ხატი, ცაიში, ქურმუხი და სხვა სამწყსონი. ხონის ტაძარში უკანასკნელ დრომდე, (1924 წლამდე) დაცული იყო წმიდა გიორგის ხატი, რომლის წარწერაც გიორგი V-ს „უძღვევს“ უწოდებდა. ცაიშის ტაძარში კი ინახებოდა თამარ ხერხემლიძის მიერ 1312 წელს ოქრომკვდილ ნაქარგი, მაღალი ოსტატობით შესრულებული უძველესი სამღვდელმთავრო ოლარი.

ინტენსიურად მიმდინარებდა საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერა-შემკობაც. ამ დროისაა შიომღვიმისა და მოქვის სახარებანი. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი, უმდიდრესი და უღამაზესი მინიატურების სიუხვით გამოირჩევა. XIV საუკუნეშივე უნდა იყოს გადაწერილი ყანაეთის (კაბენის) სვინაქსარი, რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უნიკალური ცნობა კათოლიკოს ექვთიმეს (ეფთვიმეს) ჰერეთ-კახეთში მიმოსვლის შესახებ. ამ დროის ერთერთ სახარებას დაცული ჰქონდა ქურმუხის (დღევანდელი კახი) მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის 1310 და 1333 წლების ორი ანდერძი. ამ საბუთებში მნიშვნელოვანი და დაწვრილებითი ცნობებია შემონახული ჰერეთ-კახეთსა და კავკასიის საქართველოსთან მომიჯნავე რეგიონებში ქართველთა მისიონერული მოღვაწეობისა და სწავლა-აღზრდის მდგომარეობის შესახებ. 1310 წლის საბუთის მიხედვით, საქართველოს პატრიარქს მიმუხილავს: „საყდარნი: კასრი — სამებისაჲ, ყუმი — ღვთისმშობლისაჲ, ლქართს — (საყდარი) წმიდისა მოციქულთასწორისა ნინოასი, ზარს — წმიდისა მთავარმონაწამისა გიორგისი, ვარდიანს — წმიდისა აბოასი, განულს — არჩილისი, გიშნულს — ღმრთისმშობლისაჲ, ვარდთაშენს ულიაასი... კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახნთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ბელაქნისა, მაჯ(მაჯ) — ფიფინეთისა“ და ა. შ. დაუვალეებია სახარების გადაწერა-გამრავლება და იმ მონასტრებისადმი დაგზავნა, სადაც ამის საჭიროება იყო. მთავარეპისკოპოს კირილეს სახარება დაუგზავნია, აგრეთვე, „შვიდ სასწავლელთა თავსმდგომთადმი“-ც. საინტერესოა, რომ ჩამოთვლილია ისიც, რა ისწავლებოდა ამ სასწავლებლებში. იქ თურმე ფართო დიაპაზონის საგნებს ასწავლიდნენ, როგორცაა: „სჯული ჭეშმარიტი, ფილასოფოსებაჲ, მამათა ცხოვრებაჲ, ქართლის ცხოვრებაჲ და ცხოვრება ალგანისა“.

1333 წლის ანდერძში კი, იგივე მთავარეპისკოპოსი კირილე დონაური ასე ახასიათებდა გიორგი V-ს: „ღმერთმა წარუშარტნეს უღვეელსა შეფესა გიორგი ბრწყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტესად განძლიერდა ქრისტიანობაჲ მთიულთა შორის და კუალად განმტკიცდა ერთობაჲ საქართველოსა შინა“ /მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ. 1894 წ./. შეიძლება შევეხოთ იმ

საკითხსაც, რატომ აღწერა კირილე დონაურმა ასე დაწვრილებით პატრიარქ ექვთიმესა და თავისი მოღვაწეობა. ამ საკითხის გასარკვევად, ვფიქრობთ, საინტერესოა მოვუსმინოთ გიორგი ათონელის ბიოგრაფს — გიორგი მცირეს (XI ს): „რამ არს ქებაჲ ღვთისაჲ?“ — კითხულობს გიორგი მცირე და თვითონვე პასუხობს — „მოთხრობაჲ ცხოვრებისა და მოღვაწეობისა მათისა (ე. ი. წმიდათა ღვთისათა), წერით და უწერელად“. მისი სიტყვით, წმიდა ღვაწლი იმისთვის უნდა აღიწერებოდეს, რათა „ჩვენ მოხსენებითა შრომათა და ღვაწლთა მათთათა, დღითიდღე ფრთოვან ვიქნებოდეთ და ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდეთ“-ო. შემდეგ გიორგი მცირე დასძენს „სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო, ვინ ირგოს მისგან?!“ (მ. საბინი, საქართველოს სამოთხე, თბ. 1882). ალბათ ამასვე ფიქრობდა კირილე დონაური, როდესაც ხსენებულ ანდერძს ადგენდა. მას არ დაავიწყებოდა პავლე მოციქულის სიტყვებიც, რომელიც ამბობს: „კაცადსა კაცადსა თქუნესა ფსალმუნი თუ აქუს, გამოცხადებაჲ თუ აქუს, მეცნიერებაჲ თუ აქუს — ყოველივე ესე აღსაშენებლად იყავნ!“ /პავლენი, კორინთელთა მიმართ, 14.26/.

საინტერესოა, რომ 1314 წელს დამასკოში ქრისტეს სჯულის ქადაგებისათვის უწამებიათ ქართველი — ნიკოლოზ დვალი. ამავე დროს, შეუქმნიათ მისი მარტივობის სვინაქსარული ვერსია. 1318 წელს კი, ქრისტიანობის ქადაგებას მოწამებრივად შეეწირა ინდოეთში, ქ. თანაში, დიმიტრი თბილსელი.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალეს XIV საუკუნის 30-იან წლებში საეკლესიო კრებაც მოუწვევია: „შემოკრიბნა კათალიკოზნი (ქართლისა და აფხაზეთისა) და ეპისკოპოსნი ივერიისანი და განაახლეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღვდელონი განმართნეს და დადგინეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესურნი განჰკუეთნეს“-ო, გვამცნობს იგი (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 259).

გიორგი V-ის დროინდელი საქართველოს აღდგენა-გაძლიერების შესახებ ხმა მის საზღვრებს გარეთაც „განცდა“. ამაზე მეტყველებს ამ დროის უცხოელთა ჩანაწერები საქართველოსა და გიორგი ბრწყინვალის შესახებ. აი რას წერს საქართველოს შესახებ მაგალითად, იტალიელი პილიგრიმი იაკობ დე ვერონა, რომელიც 1335 წელს ეწვია პალესტინას: „(იერუსალიმში) წმიდა საფლავთან (ქრისტეს საფლავთან) არის ქართველების ეკლესიაც. (უნდა ვიცოდეთ, რომ) მათი მეფე უძლიერესია. ისინი (ქართველები) თავდადებული ქრისტიანები არიან, თუმცა ქრისტეს ემსახურებიან ბერძნული წესით“.

აღრე ნახსენები არაბი ისტორიკოსები გიორგი V-ს რომის პაპის „მეშველისა“ და „ქრისტიან მეფეთა შორის უერთგულესის და უსახლოვანესის“ ეპი

თეტებით ამკობდნენ. ისინი უსაფუძვლოდ არ ახსენებენ რომის პაპს, რადგან ჩანს, მათაც სცოდნიათ იმ ურთიერთობის შესახებ, რომელსაც რომის პაპ იოანე XXII-სა და გიორგი V-ს შორის ჰქონდა ადგილი. ჯერ კიდევ 1321 წელს თბილისში გამოგზავნილ ეპისტოლეში იოანე XXII გიორგი V-ს „ქართველთა ბრწყინვალე მეფეს“ უწოდებს. იოანე XXII-ის ინიციატივითვე სმირნის (იზმირის) კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა 1329 წ. თბილისში იქნა გადმოტანილი. თბილისის პაპი უწოდებს „განთქმულს, შესანიშნავს და შესაფერს“ ქალაქს. /მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902/. ერთი ნაკლებად ცნობილი ლათინური წყაროდან კი ირკვევა, რომ ამავე ხანებში, კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულ იქნა სოხუმშიც (სებასტოპოლში). 1330 წელს ამ კათედრის მეთაურად დაინიშნა პეტრე გერალდი, ტომით ინგლისელი /ო. რაინალდი, საეკლესიო ანალები, ტ. XV, რომი 1691, ლათინურ ენაზე/.

უახლოესი მონაცემებით, გიორგი V-ს მიმოწერა ჰქონია საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთანაც, რომელსაც 1332/3 წწ. სწერდა, რომ შხად

იყო თავისი 30 000 მეომრით ევროპასთან ერთად გაელაშქრა იერუსალიმის ქრისტიანთა წმიდა მიწების გასათავისუფლებლად (იხ. „მნათობი“ №9, 1982).

ასე, რომ გიორგი V-მ სამართლიანად დაიმკვიდრა თანამემამულეთა შორის და შთამომავლობაში სახელი „ბრწყინვალე“. მან შეძლო, ბასილი კესარიელის სიტყვებისამებრ, დაეძლია წუთისოფლის ვნებათა ღელვა. ბასილი დიდი ბრძანებს: „ვნებანი-ღელვანი არიან და უკეთუ იქმნე უმადლეს მათსა, მაშინ ხარ გონიერი მენავთმოდლური“-. გიორგი ბრწყინვალეს არ აკლდა — „გამოცდილება ამის სოფლისა საქმეთაჲ, რფმლისათვის ბრძნად სახელვდებთ მეცნიერთა მათ ხელოვნებათა სოფლისათა“. მისი მოღვაწეობის განხილვა გვინდა დავამთავროთ კათოლიკოს ანტონ I-ის /1720-1788/ სიტყვებით, რომელიც მის „წყობილსიტყვაობაშია“ მოყვანილი:

„გიორგი, მთიები განუტევენა ნათელი, ისახელწოდა ბრწყინვალე ან ნათელი... რწმუნვა ასპეტა, განსრია შავ-სათელი, აქე ეს მქებო! ჯერეთლა ნუ სხვათ ელი!“


3. ჯვარიძე




ცაიში. ეკლესია და სამრეკლო.



ანჩისხატი



ტიმოთეს უბანი, სამოთხეში, დასავლეთის კედელი, XII — XIII ს. ს.




წმიდა ნინო, ავტორი რ. ადამია

„და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მთათა და მალნართა შეშინებული და შეძრწუნებული. დადგა ერთსა ადგილსა და წარეწირა სასოება ცხოვრებისა მისისა. და ვითარცა მოევო თავსა თვისსა ცნობასა, და განიზრახვიდა ესრეთ გულსა თვისსა: „აჰა ესერა, ვხადე ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ ზედა ლხინება. აჷ, რომელსა --- იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა, არამცა ძალ ედგაა ხსნა ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი, თუ ყოვლისა ქუეყანისათვის იქმნა დაქცევა ესე, ანუ ჩემთვის ოდენ იქმნა. აჷ, თუ ოდენ ჩემთვის არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი: და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის — ვცე მას და აღვაშენო სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა.

ესე ყოველი რა წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე, და გარდახდა მეფე ცხენისაგან, დადგა მასვე ადგილსა, განიპყრნა ხელნი აღმოსავლით ცად მიმართ და თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იხსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე“. და დაისწავა ადგილი იგი და წარმოემართა. იხილეს ნათელი და მოერთო ერი განბნეული. ხოლო მეფე დაღაღებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შეუენის დიდება უკუნისამდე“.

ქართლის ცხოვრება.

გვ. 109 — 110. 1955 წ.



ერთი იმ ხანძოელთაგანი

ამ სამი ათეული წლის წინათ, იქნებ ცოტათი უფრო ადრეც, ბათუმში, მწერალ პარმენ ლორიას სახლში, ხშირად ვხედავდი მალაღ, გამხდარ კაცს... მისი მოსვლისთანავე, მახსოვს, მწერლის სამუშაო ოთახის კარი რამდენიმე საათით შეიკეტებოდა. მოკრძალებით ვაყოლებდით თვალს და გვენატრებოდა გაგვეგო, რაზე საუბრობდნენ სტუმარი და მასპინძელი... ასე, თითქმის არაფრის მთქმელი და მაინც დაუვიწყარად მნიშვნელოვანი იყო ის შორეული, პირველი შეხვედრა ჰაიდარ აბაშიძესთან, კაცთან, რომელმაც ეგზომ დიდი ამაგი დასდო აჭარას. თვით ეს განმარტება მაშინ ჩვენს ბავშვურ სულს ბევრს ვერაფერს აძლევდა, მაგრამ რაღაც იდუმალი კრძაღვითა და პატივისცემით, ასევე ინტერესით, უსათუოდ გვაკვებდა. იმხანად ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავდით, რომ აჭარულ ქალებს ჯერ კიდევ ჩადრი ეხურათ, ბავშვებს სკოლაში ქართულ გვარებზე ხელოვნური „ოღლი“ ჰქონდათ მიმატებული და ჩვენში, ვისაც ამ კუთხის ტრადიციის სიმძიმე და მიზეზი ჯერ არ გვესმოდა, არ გავგვეცნობიერებინა, მხოლოდ უსიამო შეგრძნებას სტოვებდა. ჩვენს თვალწინ ჩვენივე თანატოლები იცვლიდნენ სახელებს, გვარებს... უფრო სწორად, კი არ იცვლიდნენ, იბრუნებდნენ იმას, რაც მტერმა წაართვა, რაც ნამდვილი და მშობლიური იყო. რთული იყო ეს პერიოდი (რა თქმა უნდა, შედარებით, რადგან მთავარი უკვე გავლილი იყო). და ის, რაც ასე ზედაპირულად ირეკლებოდა ჩვენში, იმ მწარე წარსულის ნაკუწები იყო. ჰაიდარ აბაშიძე იყო ერთ-ერთი პირველი სახელი, რომელმაც ჩვენს ბავშვურ სულში აჭარის ტკივილებისადმი თანაგრძნობა და ინტერესი აღძრა.

შემდეგ გავიდა წლები... და აი, 1961 წელს, ერთხელ, როცა მე უკვე საქართველოს რადიოს ლიტერატურულ რედაქციაში ვმუშაობდი, მივიღეთ მოსაწვევი ბარათი, რომელიც გვაუწყებდა, რომ

21 მარტს მწერალთა კავშირში გაიმართებოდა ჰაიდარ აბაშიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

მთელი მწერალთა კავშირი და თვით ეზო ხალხს ვერ იტევდა. იშვიათად იგრძნობს ადამიანი იმ მალაღ, სანუკვარ ნათელთან მიახლოებას, რომელიც ყველა იქ დამსწრეზე იმ დღეს გადმოვიდა. აი, რა ყოფილა, რა გოლგოთის გზით უვლია ამ ხალხს, რა განუცდია და გადაუტანია... საღამოზე განუწყვეტლივ გაისმოდა ილიას, აკაკის, ვაჟას, ვოგებაშვილის სახელები... კი არ გაისმოდა, ისეთი გრძნობა იყო, თითქოს ვხედავდით და კვლავ სასოებითა და ბედნიერებით შევყურებდით.

ორატორები უდიდესი კრძაღვით წარმოსთქვამდნენ გულოვდა კაიკაციშვილის, მეშედ აბაშიძის, შერიფ ხიმშიაშვილის, აბდულ მიქელაძის,, რეჯებ ნიჟარაძისა და სხვათა სახელებს. ერთი მათივე ნაირი და მათივე მსგავსი იმ დღეს ჩვენს თვალწინ იდგა.

ასეთი იყო მეორე შეხვედრა. ალბათ, იშვიათად უნახავს ვინმეს ჰაიდარ აბაშიძე (ბოლო წლებში მაინც) უდიდებოდა. იგი უსაზღვროდ ხარობდა თავისი მშობლიური კუთხის დედა საქართველოსთან ერთობით.

მრავალ სიტყვათა შორის, რომელიც ამ დაუვიწყარ საღამოს წარმოითქვა, საქართველოს რადიომ მხოლოდ ორი შემოინახა: მწერალ ლევან გოთუასა და თვით ბატონი ჰაიდარის სიტყვა. სამწუხაროდ, ეს საღამო ფირზე არ ჩაწერილა. მართლაც სამწუხაროდ, რადგან იმ დღეს, საოცრად ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქვეს გიორგი ლეონიძემ, დემნა შენგელაიამ, სერგო კლდიაშვილმა, ფრიდონ ხალვაშმა, ილია ურუამ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყოფილმა წარმომად-

გენლებმა, რომლის წვერი თვით იუბილარიც იყო და სხე. ეს ორი სიტყვა კი თვით რადიოში ჩაიწერა... ჩაიწერა შვედისადმი მიძღვნილი საიუბილეო გადაცემისათვის. ლევან გოთუას სიტყვა გამოქვეყნებული არ არის. ჩვენ კი მისი ტექსტი თვით ბატონი ლევანის ავტოგრაფით შემოგვრჩა.

მოგვყავს მთლიანად:

ალამო უბერებელი!

ჩვენი ერის უგრძეს და ურთულეს ისტორიის გზაზე, ყველაზე უფრო მძიმე და საბედისწერო თავსატეხი — ჩვენი ტომებისა და სხვადასხვა მხარეთა ერთიანი მთლიანობა იყო.

ამ დიდ ასპარეზის მოღვაწე იყო და არის ჩვენი ჰაიდარ აბაშიძე, საქართველოს სამხრეთის ღირსეული შვილი. იგი, დიდ იოანე საბანისძისეული შვენებითა და შემართებით, ფეხმოუცვლელად, წარბ-შეუხრელად დგას ამ საღარაჯოზე და მისი ყოველი სიტყვა გულში გვეფლერება ჩვენცა და ჩვენს იქით დარჩენილ ქართულ სამყაროს შვილთაც.

დიდად პატივცემული ბ-ნო ჰაიდარ!

ქვეყნის ღირსეული მოღვაწის წლოვანებას სხვა სათვალავი გააჩნია. ვერც მთვარის თვე და ვერც მზის წელიწადი მას ვერ აღრიცხავს... საერთო ჯამთა მსველელობა და მატინის სტრიქონები არის მისი საზომი და ღირსეული მონაპოვარი.

არიან თქვენებრ მოღვაწენი, რომელთა ყოველი თარიღი და მაჯისცემა, სამშობლოს საერთო თარიღებსა და გულისთქმას ემთხვევა, ავებს და თავადაც უფრო ივსება! ხალხთან განუყრელობის გრძნობა, რომელიც თქვენ მუდამ გახლდათ და გასულდგმულბდათ, უდიდესი გრძნობაა ყველა დროის სამოღვაწოში. ამიტომ არის, რომ დღეს, ყოველი შვენებულად მოაზროვნე ქართველი, სულიერად თქვენთან არის და ზეიმობს თქვენს კარგად ყოფნას და მცხოვან სიბრძნის კიდევ ერთ ბედნიერ თარიღს.

არა დიდ არს სამოცდაათი წელი, არამედ ამ დროში ჩატეული თქვენი დიდი, უანგარო ღვაწლი და ბრძოლა მშობლიური ერის საკეთილდღეოდ!

საქართველოსა და მისი მკვიდრი ნაწილების ერთიანობა, თვითცნობიერება, განათლება და ბედის შემობრუნება, თქვენ თავიდანვე დაიღეთ თავ-შემოვლებულ სამოქმედოდ და ამ ჭეშმარიტად კეთილ ყანაში უხვი მარცვალი სთესეთ და ხარდეთ.

გულმართალი მოღვაწე და ჭირისუფალი ერის ძნელბედობის დროს მოწმდება და უფრო მჭიდვანდება ხოლმე... თქვენი ფაქიზი სულიერი შემართება იყო დიდი თავდები და საწინდარი ღვიძლ ძმათა შორის ურყევი ძმობისა და განუყრელობისა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ზოგმა უკუნურმა და ურცხვმა გასტეხა თავისი ხმალი და სიტყვა... დაკცემო სიმართლე, თავისუფლება, დროშა პაპათა და ყველაფერ ამას მონობა და უცხო ტომობა არჩია!

ჩვენ ყველანი, თქვენი უმცროსი თანამედროვენი, კრძალვითა და სიყვარულით შემოგხარით

თქვენ — ახლაც მოწოდებულსა და სამაგალითოდ ნათელს!

თქვენ აქამდე არასოდეს არ მივიღიათ თქვენი ნაამაგარის ესოდენ ხმამაღალი აღიარება. არც გსურდათ იგი! თქვენთვის ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა შინაგან მისწრაფებისა და მრწამსის მოთხოვნის უშრეტი წყარო იყო და არის.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სწორედ ასეთმა მოღვაწეებმა შეგვინახეს ისტორიული საქართველო, აურაცხელ ზეცის ქცევათა და მიწისძვრათა მიუხედავად და დღეს კვლავაც რომ ძველს ქართული გული, სიტყვა და სულისკვეთება მთელს ჩვენს შემორჩენილ მიწა-წყალზე, აჭარიდან საინგილომდე, ამაში არის თქვენი მადლიცა და დამახსურებაც.

მადლიერი ხალხის გულში მუდამ სახლობს და ნათლობს ასეთი მოღვაწე, რომელიც თქვენებრ აერთიანებს თავდადებასა და გამჭრიახობას, მშობლიური ხალხის უანგარო სიყვარულსა და იმ მარღვს შუბლისას, რომელიც წინაპრებიდან მოდის და მოდის... და შთამომავლობას უნდა უწყვეტად გააყვეს და გააყვეს.

ყოველი ერი დიდია მხოლოდ თავის შვილთა დიდებულ ღვაწლით! ხოლო იმ ხალხს, რომელსაც ახსოვს და უყვარს თავისი მოღვაწენი და იცის მათი მოვლა და ფასი, არც ასეთ ქეთა კვლავაც შობა და აღზრდა გაუჭირდება!

თქვენ, თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ მოკრძალებული მოამაგე და მისო კეთილო სახეე! გთხოვთ, ჩვენი პირუთენელი მოლოცვა და მადლობა შეუერთოთ საერთო ძახილს. ჩვენ ვიცით, რომ ყოველ ქართულ საყრდენ კედელში ერთ-ერთი კუთხის ქვა-ბალავრად დგას თქვენი მართალი საქმე, ფიქრი და წიგნი! მაგრამ წინაც დიდი გზა-საკვალავი გიწევთ... ამ სარბიელზე სიბერისათვის არა გცალიათ — ქართული ტაძრობის მეწინავენი ხომ მუდამ იყვნენ მესხნი და კლარჯნი! მიიღეთ ჩვენი სიყვარული და აღფრთოვანება, ჩვენი მთლიანობის სამხრეთელი ალამო, დაუღალავო და უბერებელი!

მოკრძალებით და დიდი სიყვარულით

ლევან გოთუა

ამ საღამომ ადამიანები ერთხელ კიდევ ჩაახედა აჭარის, საერთოდ მთელი სამუსლიმანო საქართველოს ტრაგიკულ წარსულში... ჩვენ კი სულ სხვა თვალთ დაგვანახა და განგვაცდევინა ყოველივე.

პირველად სწორედ ამ საღამოზე გავიგონე აკაკის კუბოსთან მოხუცი გულოლა კაკაციშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედაენა. გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით“... განწმენდილი და ამაღლებულნი ვუსმენდით თვით ბატონი ჰაიდარის სიტყვებს: ჩვენ ღრმად გვწამდა, საქართველო არ

დაკარგავდა თავის ღვიძლ შვილს, აჭარასო, რომ თქვა.

შემდეგ გავიდა წლები და აი, ახლახან ლიტერატურის მუზეუმის ფონდში მისი არქივი შემოიტანეს... დამინტერესა ამ არქივმა. ვფურცლავდი, ვკითხულობდი... ბევრი ნაცნობი მასალა აღმოჩნდა მასში. ვაკვირდებოდი ხელნაწერებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ მისსავე სიცოცხლეში იყო გამოქვეყნებული. ვათვალიერებდი პირად წერილებს, სხვათა ბარათებს, შენიშვნებს... ვფიქრობდი და ჩემს თვალწინ კვლავ ცოცხლდებოდა 70 წლის მაღალი, გამხდარი, დიმილიანი მოხუცი კაცი.

საკმაოდ ბევრი დაწერილა ჰაიდარ აბაშიძის შესახებ; ბატონ ხარიტონ ახვლედიანის შესახებ; ნაი ნარკვევიც კი იკმარებდა ამ უნებარო და ჩუმი, გულწრფელი მოღვაწის ცხოვრების გასაცნობად, მაგრამ მაინც საინტერესოა მისი პორტრეტის ამ არქივში ამოკითხული მასალებით გაცოცხლება და აღდგენა.

ჰაიდარ აბაშიძე ყველაზე ცნობილი სახელია მათ შორის, ვინც საკუთარი გულით ატარა მშობლიური აჭარის ტყვიანობები, ვინც თავისი ცხოვრება ხიფათსა და ბრძოლაში განვლო, რათა აჭარა საქართველოს მთლიან სხეულთან შემოერთებინა. ფეხით შემოვიდა და საკუთარი თვალთა უნახავს სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი, მათზე ფიქრსა და ზრუნვაში გაუტარებია თავისი სიცოცხლე.

იზრდებოდა მდიდარ ოჯახში. ჰქონდა უზრუნველი ცხოვრება. ყველაფერი კი ერთ დღეს დაიწყო. მაშინ იგი სულ ახალგაზრდა იყო. ამხანაგმა ქართულ თეატრში წაიყვანა და სუბათაშვილ — იუჟინის „ლალატი“ აჩვენა. სცენაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. სამშობლო იდგა ყველაზე მაღლა და ადამიანები მისთვის სწირავდნენ სიცოცხლეს, შვილს, სინდისს... საოცარი ძალით გაისმა სცენიდან: „წადი იქ, სამშობლოსათვის თავსა სწირავენ, გასწირე შენც თავი“. აღელვებული მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. ისეთი განცდა იყო, თითქოს ყველა იქ მყოფი თვითონ იყო მონაწილე სცენაზე მომხდარი ამბებისა.

ამ წარმოდგენის შემდეგ მან ბევრი რამ გაიგო და ეს დღე თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღედ მიიჩნია. ასე დაიწერა მისი საყოველთაოდ ცნობილი წერილი „როგორ გავიგე, რომ მე ქართველი ვარ“. ასე დაიწერა ყველა მისი წერილი...

ქართული თეატრი იყო ის პირველი კერა აჭარაში, რომელმაც ჰაიდარ აბაშიძეს დედასამშობლოსადმი შეგნებული, გაცნობიერებული სიყვარული გაუღვიძლა... და არა მარტო ჰაიდარ აბაშიძეს, კოტე ყიფიანისადმი მიძღვნილ წერილში ბატონი ჰაიდარი წერდა: „ჭეშმარიტად, ჩვენისთანა ბედში მყოფისათვის თეატრი შეიქმნა სკოლად. ის ზრდის ჩვენი ერის ფართო მასას, აძლიერებს მის გულში

არა თუ მხოლოდ ეროვნულ, არამედ ადამიანურ შეგნებასაც“.

ჰაიდარ აბაშიძის არქივში არის ერთი წერილი სათაურით: „მშობლიური მოამბე“. ესაა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან 80 წლისთავზე წარმოქმნილი სიტყვის ტექსტი, რომელიც ავტორს 1953 წ. 30 მაისის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოუქვეყნებია.

დღეს ყველას კარგად მოეხსენება, რა დიდი ამაგი გასწია ამ საზოგადოებამ ხალხში სინათლისა და წერა-კითხვის შეტანისათვის. გადაუჭარბებულად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო კერა, რომელმაც ქართველ ხალხს შეუნარჩუნა დედანა და ეროვნული კულტურა, — წერს ჰაიდარ აბაშიძე და იხსენებს იმ ადრეულ წლებს, როცა ხოჯა-მოლები აჭარის ახალგაზრდობას მედრესებში (რომელიც უხვად იყო იმჟამად) მათთვის გაუგებარ ენაზე აზვირებინებდნენ ლოცვებს ყურანიდან. ასეთ დროს, ცხადია, დიდი გაბედულება იყო არათუ ქართული სკოლის გახსნა, არამედ მასზე ფიქრიც კი... მაგრამ აი, დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა ქართული სკოლა.

ამის გამო იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ამ ათი წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეხივნა, გაემართნა ქართულ წერა-კითხვაში, მათი შუამდგომლობით შემდეგში გავერცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ მშობა შორის, რომელიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში“.

წერილის ავტორი გვამცნობს, რომ იმჟამად ბათუმში მაჰმადიან ქართველთა გულის გასათბობად და მათში ეროვნული თვითშეგნების გასადვილებლად ხშირად ჩამოდიოდნენ ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. იმართებოდა საღამოები, ხოლო, ამ საღამოებზე შემოსული ფული სკოლის საჭიროებისათვის ირიცხებოდა. სწავლის ქირა წელიწადში 6 მანეთი იყო. მისგან თავისუფლდებოდნენ ქრისტიანი ქართველი ღარიბი მოწაფეები, ხოლო თავისი ნივთიერი მდგომარეობის მიუხედავად, ამ გადასახადისაგან თავისუფლებული იყო ყველა ქართველი მაჰმადიანი მოწაფე. და თუ შემდეგ აჭარაში ფართოდ გაიშალა ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ბროლის დროშა, ეს იმიტომ, რომ ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ ნამდვილი, სამშობლო ქვეყნის მოძალისათვის მზრუნველი, მოამბე, პატროსანი ადამიანები. ერთი მათგანი თვით ჰაიდარ აბაშიძე იყო. იგი

სოფლიდან სოფელში დადიოდა და იქაურ ბავშვებს წიგნის სიყვარულს უღვიძებდა. უკითხავდა „ღეღა ენას“, უყვებოდა ზღაპრებს, უამბობდა წინაპართა საგმირო საქმეებს, იბრძოდა სკოლების გახსნისათვის და ეს მაშინ, როცა ქართული ენა თითქმის სრულიად განდევნილი იყო სკოლებიდან.

საჭირო იყო მეტი აქტივობა, აჭარა კატასტროფის წინაშე იდგა... გულისტკივილი, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში დიდი იყო, მაგრამ მისახმარებლად ცოტა ვინმე თუ იძვროდა... და აი, პრესაში ქვეყნდება ჰაიდარ აბაშიძის წერილი: „როდემდის ვიქნებით ასე?“. მასში დასმულია ქართული ენის ხსნის საკითხი. მომხდურთხ სამასწლოვანმა ბატონობამ თავისი დადი დაასვა ქართული ენის სიწმიდეს. ოსმალების ცდა — გაებატონებით თურქული ენა აჭარაში, შშობლიური ენის წაბილწვის მიზეზი უქიქნა. ქართული ენა თანდათან დავიწყებას იშლიდა... აი, ამ მიზეზით იბეჭდება ჰაიდარის წერილი, რომელშიც იგი კატეგორიულად მოითხოვს ქართული სკოლების გახსნას და ქართული წერა-კითხვის სწავლებას.

„გაგვიძეხით წინ — მიმართავდა იგი ქართველ მოღვაწეებს — და გაგვიყვანეთ ნათელ გზაზე, რომ მით ჩვენც თქვენთან ერთად გავეწიოთ საერთო ტანჯული ცხოვრების მიძიმე უღელი.“

აჭარაში ქართული სკოლების გახსნის გარშემო პრესაში უამრავი მასალაა გაბნეული. ამაზე წერდნენ ილია, აკაკი, ვაჟა, გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, ეკატერინე გაბაშვილი, გიორგი წერეთელი და თითქმის ყველა, ვისაც გული ქვეყნის ბედზე შესტკიოდა.

ამ გზაზე არის ერთი ძალზე საინტერესო მოგონება... ეს ეხება თურქული ენის მასწავლებელთა ყრილობას, რომელიც გორში მოუწვევიათ; ყრილობის მთავარი მიზანი ყოფილა სკოლებში ყურანის სწავლების საკითხის მოგვარება. ჰაიდარ აბაშიძე მკაცრი განცხადებით გამოსულა: „ეს ყრილობა ჩვენ არ გვეხება, ჩვენ აჭარალები ქართველები ვართ.“

ამის შემდეგ მასწავლებლობა აუკრძალეს, მაგრამ მის მხარეზე იყო მთელი ხალხი... მასთან იყვნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

„ჩვენ გულწრფელად ვადიარებთ, ჩვენ ვართ გურჯები — ქართველები. ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალებისა და ზოგიერთი მოღალატის ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულს მომავალს — მთლიან საქართველოს.“

ასეთი იყო მისი იდეალი: — მთლიანი ერთობილი საქართველო და ამ იდეალიდან არცერთჯერ და არცერთ გზაზე არ გადაუხვევია. თვით პირველი

წერილი, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, „ხმა ქრისტიან მოძმეებს“, ამ მაღალი იდეალისადმი სწრაფვა იყო. იგი მოუწოდებდა ყველა ქართველს, ეცნოთ თავიანთი დვიძლი ძმები და გაეწიათ მათთვის საჭირო დახმარება.

ჰაიდარ აბაშიძის წერილები განუწყვეტილი იბეჭდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და მკითხველს აჭარელთა მიძიმე ხვედრზე მოუთხრობდა. ეს იყო სისხლით დაწერილი სტრიქონები. სწორედ ამის გამო წერდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“: „ჰაიდარ აბაშიძე ქართველ მუსულმანთა შორის ეროვნული გამოფხიზლების მოციქულია. მისი სახელი ჩვენს მოძმეთა შორის უკვდავი დარჩება.“

ხოლო ეპისკოპოსმა ლეონიდემ მას „ქართველი მუსლიმანების სულიერი ინტერესების სასიქადულო დარაჯი“ უწოდა.

ჰაიდარ აბაშიძის ბიოგრაფიის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფურცელია მისი მოგზაურობა ლაზეთში. 1916 წელს მას ფეხით შემოუვლია ეს მრავალტანჯული კუთხე და ქართველი საქველმოქმედო საზოგადოების დაჯალბებით იქაური მცხოვრებლებისათვის სიმინდი, ტანსაცმელი და ქართული „დედაენა“ წაუღია.

გაზეთი «საქართველოს» გავეითებულ ფურცლებზე გვითხულობთ:

«ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ქართველ მოძმე საზოგადოებას ჩვენი გულითადი მადლობა მასზე, რომ ქართველმა ძმებმა ჩვენ დახმარება აღმოგვიჩინეს და საკვები სიმინდი მოგვაწოდეს. წერილს ხელს აწერენ აპმედ აბულაძე, აბდულ მიქელაძე და ქარუნოლი.

ჰაიდარ აბაშიძის წერილები განუწყვეტილი იბეჭდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და მკითხველს აჭარელთა მიძიმე ხვედრზე მოუთხრობდა. უზარმაზარი საქმე გააკეთეს მათ თავის დროზე და დღეს, როცა აჭარაში ყველა ბავშვი უკვე ცოდნას გოგებაშვილის «დედაენით» ეწაფება, განსაკუთრებით კარგად ჩანს ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ წერილების ავტორმა გასწია. თითქოს ეს ბედი იყო, თითქოს აუცილებლობით გაპირობებული იყო, რომ სწორედ იმ საჭირო დროს, აჭარას გამოჩენოდა ჰაიდარ აბაშიძე. ამას იმთავითვე კარგად გრძნობდნენ ისეთი დიდი მოღვაწენი, როგორც იყვნენ აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკონიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები. ჰაიდარ აბაშიძეს თვითონ მოუსმენია მათი მადლიერი სიტყვა. მათი უანგარობა და სანთლად ანთებული პატრიოტული სული იყო მისი მეგზური იმ რთულ და ხიფათიან გზაზე.

საგულიანობა, რომ ამ მიძიმე გზაზე ჰაიდარ აბაშიძე ყურადღების ოდნავ მოღუნების უფლებასაც

არავის არ აძლევდა. ჩვენს ხელთაა მისი ერთი წერილის ხელნაწერი «კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური»; თვით წერილი შესულია მწერლის წიგნში, რომელიც 1963 წელს გამოსცა «სახალხო საქართველო».

«ძვირფასო მოძმენო!

მოგვწინადა მოწოდებაც და საყვედურიც თქვენდამი, მაგრამ რა გზა გვაქვს მეტი? სხვას ვის უნდა ვუსაყვედუროთ, ვის მოვუწოდოთ, ვის ვუთხრაო ჩვენი გულისტკივილი? საით წავიდეთ? ვის მივმართოთ, თუ არა თქვენ.

რაც ჩემი დღეების ანბანის კითხვა ვისწავლე, იმ დღიდან გახეთქებში გვითხულობ თქვენს სიტყვებს ქართველი მაჰმადიანებისადმი:

«ღავეხმართ, ხელი გაუწოდოთ, წერა-კითხვა ვასწავლოთ ჩვენს მოძმეებს. და ეს ჩვენი ჩვენად ბოლოვდება და მეტი არაფერი...თქვენი სიტყვა დანაგრულ მოძმეებისადმი ყოველთვის ცარიელ სიტყვებად რჩება.»

მალე ორმოცი წელიწადი შესრულება, რაც თქვენ შემოგიერთდით. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბევრში ერთსაც ვერ ვხედავთ. ქართველი მაჰმადიანების მტკიცე საძირკველის ჩადგმა და ცხოვრების გზაზე გამოყვანა თქვენი ვალი იყო. შესაძლოა ამ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება, საყვედურიც შეგხვედრდა და ბევრი შრომაც დაგეხარჯათ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, უნდა დაგვხმარებოდათ თქვენს ჩამორჩენილ ძმებს, თქვენი კულტურის ნანგრევებს, მით უფრო, რომ თქვენი შრომა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა... ჩვენს დღევანდელ ჩამორჩენასა და შეუგნებლობაში თქვენ ხართ დამნაშავე და უმთავრესად თქვენი სირცხვილია. ამ წერილში ავტორი ქართველ საზოგადოებას საყვედურობს მისთვის ჩვეულ დაუდევრობაზე, მოითხოვს მეტ ყურადღებას, მეტ სითბოს... მასში კვლავ მუორდება საყვედური, ქართველ მაჰმადიანებს «თათრებს» ნუ ეძახითო, კი არ თხოვს, მოითხოვს, უფრო ხშირად ჩამოდით აჭარაში, გაესაუბრეთ თქვენს დაობლებულ ძმებს, ნახეთ გაპარტახებული სოფლები და მიეშველეთ, უსასოობიდან გამოიყვანეთ. ამას თქვენ გავალღებთ დიდი თამარი და გავალღებენ სამცხე-საათაბაგოს წარსულნი გმირნიო.

შედარებით გვიან ამ წერილის მკაცრი ტონის გამო ზოგი მკვლევარი ჰაიდარ აბაშიძეს საყვედურობდა კიდევ, აჭარის ჩამორჩენის საქმეში მთავარი ბრალი აჭარულ ფანატიკოსებსა და მეფის რეაქციულ მოხელეებს მიუძღოდნო, მაგრამ თავის დროზე ამ წერილმა მიხანს მიადწია და როგორც ჰაიდარ აბაშიძის წიგნის რედაქტორი, მწერალი ილია რურუა წერს: «რა მკაცრადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს

დღეს ეს საყვედური თანამოძმეებისადმი, იგი საქმისათვის ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა.»

მოგვყავს ამონაწერები იმ პერიოდის პრესაში გამოქვეყნებულ ქართველ მოღვაწეთა წერილებიდან:

«ჰაიდარ ბეგ აბაშიძის ფრიად საყურადღებო წერილი მოთავსებულია აჭარლების უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. „სახალხო ფურცელში“ (№ 234) ბ-ნი აბაშიძე სამართლიანად უსაყვედურებს ქართველ ინტელიგენციას უსაქმურობასა და ცარიელ სიტყვაობას. სამართლიანია ეს საყვედური იმიტომ, რომ იმ დროს, როცა აჭარა ჩვენს თვალწინ სულს ღაფავს, ჩვენი მცონარი ინტელიგენცია «ქალი გრძნეულით ერთობა და მის გარშემო ერთ ამბავს ეწევა».

«თანამედროვე აზრი» 1915 №15

ქართველო ქალებო!

გადაიკითხეთ გუშინდელ «სახალხო ფურცელში» მოთავსებული წერილი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისა? თუ არ წაგიკითხავთ, ვთხოვთ, წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს. უცრემლოდ-მეთქი, — ვამბობ, ეს ცოტაა! მე გვეითივით ბავშვივით... ამავე აღუღებულის გულით მოგმართავთ თქვენ, ყური მიაპყართ იმ საშინელ კენესას. იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენს მოძმე ქართველ მაჰმადიანებს არგუნა ბედა.

ქართველო ქალებო! ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ჩვენი გულიდან მოგლეჯილს კუთხეს ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ენა. ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა უძღერეს შობილიური ნანა თავიანთ შეილებს და მასთან ერთად შეასისხლხორცეს დიდი და მზეთათი ღირსება.

ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა ჩვენი გზით მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი. ხალხს... და თუ გვწამს ეს დიდი მცნება, გულგრილად ვეღარ შევეურებთ მოძმეთა დიდ გასაჭირს. ხმა მივცეთ გულდაკოდილ მოძმეებს, ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქალა. იგი ერთგვარის სიყვარულით ეცევა როგორც ქრისტიანს, ისე მაჰმადიან ქართველებს, ვაუწყოთ, რომ ჩვენი ერთის დედ-მამის შეილები ვართ, ერთის ცის ქვეშ დაბადებულნი. და აღზრდილნი; რომ არ არის ორი საქართველო. იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შეილების უბედურება გულს გვიკლავს, რა ხარწმუნოებისაც არ უნდა იყოს იგი.

ქართველო ქალებო! დავეხმართ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი, ვის რამდენიც შეგვიძლია, და სიკვდილს და ვასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შეილები. და მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცო, თქვენ უფრო მგრძობ-

ბიარე ხართ, და უფრო მხნედ შეუდგებით ამ წმიდა მოვალეობის აღსრულებას. სიტყვას საქმედ აქცევთ. ამდენი ხანია იწერება ამ საგანზე, მაგრამ აქამდე ვერც ერთი მტკიცე ორგანიზაცია ვერ შესდგა ისეთი, რომელიც ცოტათი უფრო მაინც შეუმსუბუქებდა მწარე ხვედრს ჩვენს მოძმეებს. მე ვფიქრობ, ამას არც ადგილობრივი მთავრობა და-გვიშლის, პირიქით-ხელსაც შეგვიწყობს გაჭირ-ვებულთა დახმარების საქმეში. მაშ, შევერთდეთ, ვეცადოთ. ნულარ შევეურებთ უტკვე მოწმედ ამ კვნი-სას, ამ ძახილს შევიღისას! ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში 5 მანეთს. დაე, ეს იყოს პირველი კენჭი, ქართული ქალისაგან საჯაროდ მიტანილი, მოძმეთა დანგრეული კერის აღსადგენად.

პოეტი ქალი «განდევილი»
გაზ. «სახალხო ფურცელი» 1915 წ. №235

ქართველთა მოწაფეობამ ამ კრიტიკულ მო-მენტში გულხელდაკრეფით არ ენდა შესცქირონ აჭარლების კენესა-წუხილს. დაე, ვველამ გაიგოს, რომ ქართველი მომავალი თაობა ფიქრობს თავის ერსა და ქვეყნის მომავალზე.»

გაზეთი «სამშობლო» 1915 წ.

სწორედ ჰაიდარ აბაშიძის წერილის შემდეგ დარბი აჭარელთა დასახმარებლად დაუწყიათ ფუ-ლის შეგროვება.

საინტერესოა და აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პირველი უნადრო ოჯახი აჭარაში ჰაიდარ აბაშიძისა იყო.

მცირეა ჰაიდარ აბაშიძის მიერ განვლილი ცხოვ-რების გზა, მაგრამ დიდი ამ დროში ჩატეული მისი უანგარო ღვაწლი და ამაგი მშობლიური ერის სა-კეთილდღეოდ.

კვლევა თვალწინ გვიდგას ის საოცარი სადამო 1961 წლის 21 მარტს რომ გაიმართა მწერალთა კავშირში.

...აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვით-ცნობიერებისა და ქართველი ხალხის ერთიანო-ბისათვის დიდი ილიას მეთაურობით გაწეულ ბრძოლას უქმად არ ჩაუვლიათ. თქვა ბატონმა ჰაიდარმა ამ სადამოზე.

მწერლის არქივში ამ იუბილეს ამსახველ სხვა საინტერესო მასალებს შორის არის ერთი წერილი, რომელიც ამ დღეებში ჰაიდარ აბაშიძისათვის გი-ორგი ლეონიძეს ბათუმში გაუგზავნია. სამწუხარ-ოდ, მწერალთა კავშირში წარმოთქმული შესანიშ-ნავი სიტყვა პოეტისა აღარ არსებობს. შესაძლოა პოეტის არქივში მისი ერთგვარი მონახაზი ინა-ხებოდეს. ვფიქრობთ, არც ეს სიტყვაა დაბეჭდილი. პოეტი იმ ხანად ავად ყოფილა. სიტყვა, რომელიც მას ბათუმში ჰაიდარ აბაშიძის იუბილზე სურდა წარმოეთქვა, ვასო გოგოლაძისათვის გაუტანებია.

მასვე წაუეთხავს იგი ბატონი ჰაიდარისათვის, რომელსაც სიხარულის ცრემლები ვეღარ დაუ-მაღავს.

სახელოვანო მამულიშვილო, ჰაიდარ!

უპირველესად ვწუხვარ, რომ შეუძლოდ ყოფნის გამო პირადად ვერ ვესწრები თქვენს იუბილეს, რისი დიდი სურვილიც მქონდა.

მხურვალედ მოგესალმები არა მორიგ იუბი-ლარს, არა!

ქართულ ეროვნულ ღვაწლსა და საქმეს იუბი-ლეები არა აქვს, იმდენად დიდი, დაუღვევლი! — არამედ ძმურად მოგეხვევით, როგორც ნაომარ მე-ომარს, დიდ ეროვნულ მოღვაწეს საქართველოს მთლიანობისათვის.

ეროვნული მეობისათვის მებრძოლო, უშიშარო რაინდო! შენ იბრძოდი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის დროშის ქვეშ, რომელზედაც ეწერა: ერ-თობილი, განუყოფელი საქართველო. მაშინ, როცა ფარული თუ აშკარა გზებით შემოთრეული ჩვენი უძველესი მტერი ახშობდა საქართველოს უკანას-კნელ სუნთქვას აჭარაში, შენ და შენისთანა მოღვა-წეებმა ბევრი გააკეთეთ და მრავალი გზას აცდენ-ილი, გადაგვარების გზაზე შემდგარი დაუბრუნეთ დედის ძუძუს.

შენი კალამი პუბლიცისტიკისა სააკაძის ხმა-ლივით სჭრიდა აჭარაში და ანარცხებდა საქარ-თველოს მოძულეთ.

და არა მარტო აჭარაში, იგი აჭარის სიყვარულს სთესდა მთელს საქართველოში, საქართველოს ყველა ტომში.

ეს მეც კარგად მახსოვს. ბალღი ვიყავი და შენს მამულიშვილურ წერილებს არა ერთხელ აუტკე-რებივარ, ამაღლარო ქართველო, მაღლიანო მამუ-ლიშვილო! მოხუცებისათვის მისაბამო და ახალ-გაზრდობის მაგალითო!

დე, ვველამ გაიგოს დღეს, თუ როგორ ვაფასებთ, როგორ გვიყვარან ისინი, ვინც იბრძოდნენ აჭარის შემოერთებისათვის, მისი თავისუფლებისათვის. ისინი, რომელთა საზრუნავი იყო ჩვენი გულის ვარდი აჭარა, ჩვენი კულტურის უძველესი და უწ-მიდესი კერა — ქართული სიხსლით მორწყული და უხვად გააოხიერებული.

დე, აჭარის ახალგაზრდობამაც გაიგოს, თუ რა გააკეთა ჰაიდარ აბაშიძემ და მის კვალზედ იაროს.

ძვირფასო იუბილარო, განა შენ ტაში და მად-ლობა გჭირდება მშობელი ერისაგან სამშობლოს სიყვარულისათვის?

-არა!

განა გათავდა შენი შრომა აჭარაში?

-არა და არა!

ჯერ დაჭრილი კახაბერი ისევ მიღურსმულია არსიანის მთებზე.

ამიტომ, შენი სიხარული დღეს ნაწილობრივია.

შენი ბედნიერებაც ისევე, როგორც ჩვენი, არ არის სრული.

ხოლო, როცა ზურმუხტის ფრთებით გაიშლება სრულად საქართველოს ახალი გაზაფხული, მაშინ ტაო-კლარჯეთის, შავშეთის იებით და სავსე გულით მოგვილოცავდე სანატრელს აღსრულებას.

მანამდე კი გისურვებ ყველაზე დიდ ბედნიერებას, — იმ დღის შესწრებას აჭარაში.

შენი ძველი მეზობელი შავშეთიდან.

გიორგი ლომიძე

იქნებ ძალზე ზოგადად, მაგრამ მაინც ამნაირად იხატება ჩვენს წარმოსახვაში მწერლის არქივში

ამოკითხული სტრიქონებიდან და ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან, ასევე თანამედროვეთა წერილებიდან დანახული სახე ერთი იმ უანგარო ხანძთელთაგანისა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მუხლჩაუხრელი იბრძოდა თავისი მშვენიერი, ისტორიული ავბედობით დაჩაგრული კუთხის დედა საქართველოსთან შემომტკიცებისათვის; რომელიც ყველაფერს უშურველად გასცემდა, ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის იებით რომ მოელოცა ჩვენთვის ახალი გაზაფხული.

ჰაიღარ აბაშიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული, იმ დიდ ადამიანთა გვერდით, რომელთა თანამებრძოლი და თანამდევნი თვითონ იყო.

თინათინ კობალაძე

ხობის მონასტერი





ახაგდარი

დავით სარაჯიშვილის გახსენება

1898 წლის 28 ოქტომბერს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ „იმ კომიტეტის წევრმა, რომელსაც მცხეთის ტაძრის შეკეთება და განახლება აქვს მინდობილი, დ. ზ. სარაჯიშვილმა შესწირა ამ დიდებული ტაძრის განსახლებლად 1.000 მანეთი“.

ჯერ კიდევ 1863 წელს, დავითის მამას — ზაქარიას სოფელ დიღომში აუშენებია თეთრი წმიდა გიორგის ეკლესია. ანდერძის თანახმად იგი იმავე ეკლესიაში დაუკრძალავთ.

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი (1848—1911) ფილოსოფიის მაგისტრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, ცნობილი ქველმოქმედი და ახალგაზრდობის დიდი მოამბე გახლდათ. მან უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ — გერმანიასა და საფრანგეთში მიიღო. სამშობლოში დაბრუნებულმა 1880 წელს ცოლად შეირთო ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი. ცოლ-ქმარმა თავიანთი სახლი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად აქცია. როგორც იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს, დიდმა ილიამ დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების სტუმართმოყვარე ოჯახში წაიკითხა „განდევილი“ და „ოთარაანთ ქერი““. დ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო ნეკროლოგში „სახალხო გაზეთი“ წერდა: „თავის დაუღალავ შრომითა და ენერგიით განსვენებულმა შეჰქმნა დიდი ფირმა და შეიძინა ქონება, რომლითაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბრძნულად სარგებლობდა. თვითოველი ქართველი ძალიან კარგად იცნობს დავით ზაქარიას ძეს, როგორც ქველმოქმედს, იცნობს, როგორც ადამიანს, რომელსაც საზოგადოებრივი საჭიროებანი თავის პირად საჭიროებად მიაჩნდა. დავით ზაქარიას ძე ესმარებოდა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და სხვ. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენს ღარიბ საზოგადოებისათვის“.

იგი ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე ყოველწლიურად 30.000 მანეთს ხარჯავდა. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე,

გიგო გაბაშვილი, ფილიპე გოგინაიშვილი, სარგის კაკაბაძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვები.

უბრალო, გაუნათლებელი, წერა-კითხვის უმეცარი არც თავისთვის ვარგა და არც პატრონისთვისო, — ამბობდა დ. სარაჯიშვილი. იგი წერა-კითხვის, ანგარიშის მცოდნეს ჯამაგირსაც უმატებდა და ამით აქეზებდა ყველას, რომ ესწავლათ. დ. სარაჯიშვილის დიდ მამულიშვილობასა და ქველმოქმედებაზე მეტყველებდა ანდერძი, რომლის პირველი ნაწილი მისი გარდაცვალების დღეებში 1911 წლის 27 ივნისს გაზეთ „თეში“ გამოქვეყნდა და რომლის მიხედვით მისი ქონების დიდი ნაწილი ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეს უნდა მოხმარებოდა.

განსვენებულ დავითის ცხოვრება და მოქალაქეობა წარმოადგენდა დაუშრეტელ წყაროს სიკეთისა და მაღლიანობისას.

„...მოსიყვარულე და მაღლობით სავსე ქართველი ხალხი არასოდეს არ წარხოცავს დავითის სახელს და ვიდრე ჩვენი პატარა ერი იეროვნებს, ისეთივე სიყვარულითა და ამაყობით შეინახავს დავითის სახელს თავის გულის სიღრმეში, როგორც ინახავდა დღემდე მოწიწებითა და სასოებით საქართველოს მოამბეთა და მოჭირნახულეთა სხივოსან-სახელებს.“ — ვკითხულობთ ქ. შ. წ. კ. გამაურცელებელი საზოგადოების მიერ განსვენებულის მეუღლისადმი სამძიმრის ადრესში.

ქართველი ხალხის უანგარო მოამბის ამ სოფლიდან გასვლა მტკივნეულად განიცადა ეკლესიამაც. სიონში, ქვაშეთში, დიდუბეში, განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადაიხადეს პანაშვილები, წარმოითქვა სიტყვები, რომელთაგან რამდენიმე, კერძოდ, ეპისკოპოს ლეონიდეს, დეკანოზების: კალისტრატესა და ნიკიტა თალაკვაძისა — დაიბეჭდა დავით სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ კრებულში.

24 ივნისი. ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესია. დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის სიტყვა ქართველ განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ

დავით სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად გარდახდილი პანაშვიდის წინ:

„უკეთუ ვინმე თვსთა და უფროსდა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოესა უძერეს. (1 ტ. მ. 5,8)

აი, მცნება, რომელსაც მსახურებდა თავის სიცოცხლეში დ. ხ. სარაჯიშვილი, ვის გამოც შეკრებილან დღეს ამა წმიდა ტაძარში ქართველის ერის განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელნი! ყველა თქვენგანმა უწყის, რომ განსვენებულმა დავით სარაჯიშვილმა შეუწყვეტელის და დაუღალავის შრომით მოკლე ხანში მოიპოვა იშვიათი ქართველთა შორის სიმდიდრე. ასე მალე შეძენილი სიმდიდრე კი თითქმის ყოველთვის წარმოშობს ორს ცუდს ჩვეულებას: მოძმეთა შორის ამპარტავებამედიდურობას და კერძოდ პირადის ბედნიერებისათვის ზრუნვას.

დავით სარაჯიშვილმა კი თავი წაართვა ორსაც ნაკლულევანებას და მით უკვდავყო თავისი სახელი.

ქონებრივად და გონებრივად მაღალის საზოგადოების წევრებთან გასწორებულს და მათთან დღე მუდამ საქმის დამჭერს, არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი დაბალ ხალხთან. ყველასათვის ხელმისაწვდომი, თავდაბალი და მოსიყვარულე, იგი ხალხის ჭირით იტანჯებოდა და მისი ღვინით იხარებდა. არა სხვა მდიდარზე ნაკლებ მზრუნველი პირადის ბედნიერებისათვის, იგი არ ივიწყებდა უმრწემესთა ძმათა წადმართ გზაზე დაყენებას. მუდამ მოგონებელი თვისი წარსულისა, იგი სიტყვით და საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და ცოდნა. და სწორედ ამ შრომის სიყვარულისა და ცოდნის გავრცელებისათვის მშობელს ხალხში, იგი არ იშურებდა არც საკუთარ ძალღონეს, არც შრომით შეძენილს ქონებას. მრავალთ, დღეს აქა მდგომარეთაგანს და კიდევ უფრო უმრავლესთ სხვაგან მყოფთ, მისი შემწეობით შეუძენიათ განათლება და გაუკვალავეთ გზა ცხოვრებისა.

მაგრამ განსვენებულს დავით სარაჯიშვილს ეს არ აკმაყოფილებდა. უნდოდა მისი შემწეობით, თუ, მეცადინეობით განათლების მიმდებთ განათლება გავერცელებინათ მშობელს ერში, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ „აჩრდილთა სიკუდილისათა დამკვიდრებულ და ბნელსა შინა მავალ არს“ (ისაია 9,2). და რომ შეემსუბუქებინა მოქმედთათვის მოღვაწეობა, მუდამ ღია ჰქონდა თავისი გულისა და სახლის კარები მათთვის და ამხნევებდა მუშაკთ მსურველ სიტყვით და უხვის დახმარებით. განსაკუთრებულს მის ყურადღებას კი იქცევდნენ ის ქართველთა შორის მოქმედი განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ საქართველოჲს დიდებულის სულისკ-



დავით სარაჯიშვილი

„ჩვენ რომ ვერ დავივიწყოთ, ეს გასაკვირალი არ არის... მაგრამ არ დავივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოზიარე, ოცნებით გვერდით ეყოლები წარმომადგენელი“.

აბაბი წერეთელი

ვეთების ნაყოფთა შესწავლა, შვეროვება, გავრცელება თუ აღდგენა, რისი მოწამე უნდა იქმნეს მომავალი ჩვენი საერო მუხუმი, აღსაგებელი განსვენებულის მიერ შემოწირულის თანხით, და არს და იქმნება მცხეთის სვეტი-ცხოველის და სამთავროს ტაძრები და ამა ქვაშეთის დიდებულნი ბჭენი. ჭეშმარიტად, რომ ყველა ეს დაწესებულებანი მას მიანდა თვისად და, თანახმად წმიდის მოციქულის მცნებისა, მოღვაწე იყო მათთვის. და აი სწორედ ამ მოღვაწეობისათვის ქართველის ერის ყველა განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენელთა მოუხრით თავი და ცხარის ცრემლით იგლოვენ და სტირიან სასიქადულო წვერისა და უებრო მამულისშვილის დაქარგვას...

საყვარელი! მართალია, ჩვენი დანაკლისი ფრიად დიდი და საგრძობელია, მაგრამ ქრისტეანთ არ შეშენის მიცვალებულთათვის უნუგეში ტირილი და გოდება, არამედ მადლობა და ლოცვა ღვთისა. ჩვენც შევიწით მადლობა ზეციერს მამასა დავით სარაჯიშვილის ქვეყნად მოვლენისათვის და შევედრნეთ, რომ მსგავსი მისი კვალად მოჰნიჭებოდეს ქვეყანასა ჩვენსა არა ერთი და ორი. ამინ.“

როგორც ვახუშტის იუწყებიან, 26 ივნისს თბილისს არაჩვეულებრივი მოძრაობა ეტყობოდა, დილის 9 საათისათვის მთავარი მოედანი და ახლომახლო ქუჩები ხალხით გაივსო. 9 საათზე ცხედარი ბინიდან გამოასვენეს, აუარებელი გვირგვინი მწყობრად მიჰქონდათ წინ, მას მისდევდნენ ამქრები დროშებით, მგალობელთა გუნდები. წირვა და პანაშვიდი შესრულდა ქართულ და რუსულ ენებზე ეპისკოპოსების — ლეონიდესა და პიმენის მიერ. ანდერძის აგების წინ სიონის ტაძარში სიტყვა წარმოთქვა ეპისკოპოსმა ლეონიდემ.

„სიკვდილი ცრემლისა და შწუნარების წყარო და მიზეზია; კუბო ჩვეულებრივად გულს უკლავს კაცს და შიშის ხარსა ჰგვრის მას. შავი ძაბა, უნუგეშო ოხვრა-ტირილი, მოღუენა სულითა და სასოწარკვეთილების უფსკრულის პირამდე მიღწევა — ესენია ჩვეულებრივი თანამგზავრები კუბოსი და სიკვდილისა!

მაგრამ რომელიმე მოვლენის სიხშირე და ჩვეულებრივობა ამ მოვლენის ხასიათის უცვლელობისა და აუცილებლობის ბეჭედი როდია. არა, შესაძლოა, რომ ათას შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენა ზოგჯერ განსაკუთრებითი ხასიათის მოვლენად გახდეს, შესაძლოა, რომ ჩვეულებრივმა მოვლენამ ათასში ერთხელ სულ ახალი გამონაკლისის თვისება მიიღოს.

სიკვდილსა და კუბოსაც, მიუხედავად მათი საერთოდ საზარელი ხასიათისა, ხანდისხან სრულებით ეკარგებათ ხოლმე საშიშო და კაცის გულის შემადრწუნებელი თვისებანი, ზოგჯერ სიკვდილი კი არ გვაჩანავს, კი არ გვაშორებს ერთი მეორეს და არ გვაუძღურებს, არ გვაქუცმაცებს, ჯანსა და მო-

ქმედების უნარს კი არ გვაცლის და არ გვასუსტებს, პირიქით, უფრო მკვეთრად გვაერთებს, უფრო მძლავრად გვაკავშირებს ერთი მეორესთან, უფრო ცხოველად გვაგრძობინებს ხოლმე ერთმანეთს შორის ნათესაობას და სიახლოვეს სისხლით, ხორციით და სულითა, ერთი ეროვნების შვილობას, ერთი მეორის მშობას და მოყვასობას. ზოგიერთი პირების გარდაცვალების გამო ცოცხლებს უორკედებთ ზნეობრივი ძალა და უძლიერდებთ ხოლმე შრომისა, მხეობისა და მოქმედების უნარი.

ხანდისხან კუბო თითქოს აცისკროვნებს ხოლმე ზოგიერთ მიცვალებულს, თითქოს მხოლოდ კუბო არღვევს იმ შუა კედელს, რომელიც მიცვალებულის სიცოცხლის დროს პფარავდა ჩვენგან მისი გონების სიდიადეს, სულის სიმბლეს და ზნეობა-მოქალაქობის მომხიბლავ სილამაზეს, ზოგჯერ მიცვალებულები კუბოდან უფრო მძლავრ, უძლიერედ და დიდებულ მოძღვრად გამოიყურებიან ხოლმე, ვიდრე სიცოცხლეში გვეჩვენებოდნენ და ასეთ რჩეულ გვაშთა დასაფლავებას ერი უფრო დღესასწაულობს ხოლმე, ვიდრე გლოვობს.

ასეთია სწორედ დავით ზაქარიას ძის სიკვდილი და კუბო.

დავითს მხოლოდ სიკვდილმა ახადა ფარდა და ცხადად წარმოვიდგინა მისი სულიერი გოლიათობა, მისი გულკეთილობის ბუმბერაზობა, მისი კაცობის დიადობა! რითია სამგლოვიარო ეს დიდებული სანახაობა, სადაც უშუალო ქვრივი და ბენაივი ობოლი, წელში გახრილი მუშა და საცოდავი გლეხი, სახელოვანი სოფდაგარი და უბრალო მეწერილმან ნოქართან ერთად, მოსწავლე, მასწავლებელი და დიდებამოსწავილი პროფესორი, მოხელე და მოქალაქე, ქართველი, რუსი, სომეხი, ოსი და მუსულმანთა ერები სულით და გულით შეერთებულნი, თავს ევლებიან ამ ბრწყინვალე კუბოს და არ იციან, ვინ ვის აჯობოს მიცვალებულისადმი პატივისცემის გამოთქმაში! კუბომ ახადა დღეს დავითს სულიერი სიმდიდრის სკიერს თავი და ჩვენ ვერ დამტკბარვართ ამ სიმდიდრის ცქერით!

როგორც მშვენიერი, ყველაფრით სრული და იდეალური ნაყოფი ხისა, იზიდავს ყველას გულს, ისე დავითის სულიერი მშენება ატყვევებს კაცობის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების სულსა და გულს, მაგრამ ნაყოფი ყველაზე უძვირფასესია თითონ პატრონისათვის და დავითიც, როგორც იდეალური ნაყოფი ქართველი ერისა, შეუდარებლად ძვირფასი, საყვარელი, სასურველი და სასიქადულოა ჩვენთვის, — ქართველებისათვის, — როგორც მისი მასლობლებისა, მისი ჩამომავლობის, მისი სისხლის და ხორცის მქონებულთა, მის სულიერ თვისებათა შემკვიდრეთათვის!“

სიონის ტაძრიდან კუბო ქალაქის მთავარ მოედანზე მოასვენეს. აქ სიტყვები წარმოთქვეს სათათ-

ბიროს წვერმა კ. ჩხიქიძემ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ი. ჩიქოვანმა და თბილისის გამგეობის წვერმა ალ. არდუთინსკიმ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან სიტყვები წარმოთქვეს: აკაკი წერეთელმა, ალ. მდივანმა, ვერეს დაღმართხეს. მდივანმა, ს. მერკვილაძემ, ძმები ზუბალაშვილების სახლთან გადახდილ იქნა მცირე პანაშვილი. სამარესთან სიტყვები წარმოთქვეს დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ, გრ. შახნაზაროვმა, პ. თუმანიშვილმა, ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენელმა ი. გელოვანმა.

არ დარჩენილა კავკასიის არც ერთი კუთხე, საიდანაც წარმომადგენელი და გვირგვინი არ ყოფილიყო. იაკობ გოგებაშვილი ამ სიტყვებით გამოთხოვა განსვენებულს: „უღმობელს სიკვდილს უნდოდა დავითის სახელოვანი სიცოცხლე დაემცირებინა, მაგრამ მან თავის ანდერძით სიკვდილი დათრგუნა და ბრწყინვალე შარავანდელით შეიმოსა. დათრგუნა-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ ამისთანა სიცოცხლე და გარდაცვალება უკვდავს, დაუვიწყარს სახელს ანიჭებს საქართველოს ყოველ შვილს მთელის ჩვენის ერის ხსოვნაში. ეს ხომ უდიდესი ფიქლია ყველასათვის ამ სოფელში.“

ბედად იგი დაიბადა მოქალაქედ და გარდაიცვალა სასიქადულო მოქალაქედვე, რასაც ჩვენს შორის ჯერ არც ერთი ბრწყინვალე შემქმნელი არ ღირსებია“. ხოლო ალექსანდრე ხახანაშვილი წერდა: „დღეს აღარა გვყავს ეს ცხოვრებაში გამობრძმედილი, პატიოსანი და კეთილშობილი მოღვაწე. მისი ოჯახის მწუხარებას მთელი ქვეყანა შუა იყოფს. მისი სახელი, როგორც ქველმოქმედისა, უკვდავია საზოგადოების ისტორიაში. კეთილი თესლი მის მიერ დანერგული ერთი ასად აღმოცენდება“.

სიტყვა დეკანოზის ნიკიტა თალაკვაძისა წარმოთქმული დიდუბის პანთეონში დავით სარაჯიშვილის ცხედართან

დიდუბის ტაძარი დღეს გლოვის ხარით ეგებება ქართველი ერის სახელოვან შვილს, დავით ხაქარიას ძე სარაჯიშვილს!

ამ წმ. ტაძრის ფრთეთა ქვეშ არსებული ქართველთა სასიქადულო შვილთა პანთეონი დღეს მიიღებს თვის წიაღში დიდად ნაჭირნახულვე, ქვეყნისათვის მოამაგე, იშვიათ, სპეტაკ თვისებებით შემკულ ქრისტეანეს, დაუღალავ მუშაკს და უებრო მამულიშვილს!...

ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, უახანასკნელ აღმოფხვინვამდე, განსვენებული მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ტურფა, მაგრამ ახალ ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ სუსტად შეიარაღებულ ჩვენს პატარა სამშობლოს!

ქრისტეანული სულის განწყობილება განსვენებულისა უკვე საქვეყნოდ არის აღიარებული და ცნობილი!

ჭეშმარიტად „მარცხენებან მისმან არა იცოდა, რასა იქმოდა მარჯვენე მისი“ (მთ. 6,3). გარნა მარჯვენე მისი სიკვდილის შემდეგაც კი არ დადუმდა ქმნად კეთილთა საქმეთა მოყვასისადმი, განურჩევლად ეროვნებისა, ხარწმუნოებისა, თვისთა თუ გარეშეთა...

ეს ქართველთა სიამაყე ქართველურის გულუხვობით და სიკეთით იშვიათი ქველ-მოქმედია!

განსვენებულმა დავითმა, მოიბოვა რა თვის დაუღალავ შრომით და მეცადინეობით ეს ამოღენა სიმდიდრე, არ დაემონა ის ამ სიმდიდრეს, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე. პირიქით, აშახურა და მოახმარა იგი თავის ქვეყანას და მოქმეთა კეთილ-დღეობას, ახალ თაობათა სწავლა-აღზრდის და მშობელ ერის გათავითცნობიერების საქმეს.

განსვენებულმა დავითმა, ჩვენში მისგან პირველად შექმნილ ერთ-ერთ დარგს მსხვილ კაბიტალი-სტურ წარმოებისას, რომელიც ექვემდებარება ხოლმე სასტიკ კეონომიურ კანონებს, ამ გულ-ცივ კაბიტალს შთაბერა თავისი მზურვალედ მოსიყვარულე ქრისტეანული სული და აამეტყველა, ამოძრავა ის ქვეყნის საკეთილდღეოდ!

რამდენ ნივთიერად ხელ-მოკლე ახალგაზრდას უსარგებლნია დავითის მდლიანი შემწეობით?! რამდენ მათგანს მხოლოდ დავითის წყალობით მიუღია განათლება?! რამდენი კიდევ გაიკვლევს გზას ცხოვრებაში მისგანვე ნაანდერძვე უკვდავ, უხე მოწირულებიდან?!...

რამდენ განმანათლებელ დაწესებულებას ჩაუდგა მან პირში სული?! რა იქნებოდა ჩვენი ქართული გიმნაზია უდავითოდ? რა იქნებოდა ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ან ქართული თეატრი, თუ დრამატული საზოგადოება უიმისოდ?! ვინ ჩაუყრიდა მკვიდრ საფუძველს ქართულ მუხუშს, თუ არ ისევ ეს ჩვენი უხე, უანგარო დავითი?!

მაგრამ განსვენებულის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ განიზომება მხოლოდ მის მიერ აუარებელ სიმდიდრის შექმნით და ამ სიმდიდრის გონიერულად, სახარებისებურად მოხმარებით.

იმ დროს, როდესაც ქართველ ერს ჯერ კიდევ ვერ აეღო ალლო ახალ ცხოვრებისათვის, ჯერ კიდევ ვერ შეპყრებოდა მას,—განსვენებულმა დავითმა პირველმა საკუთარის მაგალითით გვაჩვენა, თუ რა გვარი საქმიანობა და მოქალაქეობა ესაჭიროებოდა იმანად ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას. ამიტომ განსვენებულის საფლავი დიდუბის ეკლესიის ეზოში მუდამაჟამ სათაყვანებელ იქნება ქართველობისათვის.

მოვედ, მამულიშვილო, რათა სამშობლო მიწამ ჩაგიკრას თავის გულში!...

მაგრამ...ვე მიწა მსუბუქი იქნება შენთვის, ვინაიდან „ესვიდი უფალსა და ის განგისვენებს შენ“ ამინ.

(ფს. 39,2).

1916 წლის 9 აგვისტოს გაზეთებმა გამოაქვეყნეს საშუალო ცნობა ეკატერინე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო. განსვენებულის სურვილის თანახმად, დაკრძალვა უნდა მომხდარიყო უბრალოდ, გვირგვინების გარეშე, მეუღლის — დავით სარაჯიშვილის გვერდით. გაზეთებში დაიბეჭდა ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძი.

განსვენებულ ეკატერინე ივანეს ასულ სარაჯიშვილისას ანდერძი დაუტოვებია, რომლის თანახმად უნდა მიეცეს:

დიღობის ეკლესიას 10.000 მან. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიას 2.000 მან. დარიის მონასტერს ავლაბარში 500 მან., დიღომის წმ. გიორგის ეკლესიას 1000 მან, დიღომის ღვთისმშობლის ეკლესიას 500 მან, კალაუბნის ეკლესიას თბილისში 1000 მან, სიონის ეკლესიას 1000 მან. მცხეთის ეკლესიას 1000 მან, მარტყოფის ეკლესიას 500 მან, მარტყოფის წმ. ანტონის ეკლესიას 500 მან, დიდი ლილოს ეკლესიას 500 მან, სამების ეკლესიას თბილისში 500 მან, მთაწმინდის (მამა დავითის) ეკლესიას 500 მან. სომეხთა წმ. სტეფანეს მონასტერს 500 მან, „განათლების“ საზოგადოებას მისის და მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე ქალთა პროფესიონალ სკოლის დასაარსებლად და შესანახად ავლაბარში 50.000 მან, მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას 10.000 მან. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას 5.000 მან, რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა მეღვინეობის სადგურს ოდესაში 5.000 მან, კავკავის ქართულ სკოლას 10.000 მან., თბილისის მომავალ პოლიტექნიკუმს, ანუ სხვა რომელი უმაღლესი სასწავლებელიც იქნება, ფიზიკურ კაბინეტის მოსაწყობად 50.000 მან, მცხეთის სამთავრისის ღვთაა მონასტერს მისი სკოლის საჭიროებისათვის 5.000 მან., ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას თავის საჭიროებათა გასაძღვლად 25.000 მან., ქალაქ ქუთაისის საქალაქო თეატრის ასაგებად 150.000 მან., ქალაქ კაკავს დარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის გასასტუმრებლად ეროვნების განურჩევლად 30.000 მან. ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას 25.000 მან., წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოებას სასწავლო წიგნების გამოსაცემად და სკოლებისათვის, უმთავრესად პროფესიონალ სკოლებისათვის დასაარსებლად და შესანახად 100.000 მან., სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოებას პრემიების დასანიშნად მისის და განსვენებულ მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე საუკეთესო ბელეტრისტულ ნაწარმოებისათვის 20.000 მან., ქართულ დრამატულ საზოგადოებას 100.000 მან., მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენს 10.000 მან., ქალაქ თბილისის სადოსტაქრო საავადმყოფოსათვის შენობის ასაგებად მისის და განსვენებულ მისი მეუღლის დ. ზ. სარაჯიშვილის სახელობაზე, 200.000 მან.

სულ 814.500 მან.

ეს ფულები დანიშნულებისამებრ თანდათან მიეცემათ შემდგომ არაუგვიანეს 2 წლისა.

ამ ქონების გარდა განსვენებულმა დასტოვა ქარხნები და სამრეწველო დაწესებულებანი, რომელსაც ეხლა დაახლოებით აფასებენ ორ მილიონად. ფირმის და ამ დაწესებულებათა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს ექვსის წლისა და რაც თანხა შედგება, უნდა გაუნაწილდეს წერა-კითხვის საზოგადოებას, თბილისის დრამატულ საზოგადოებას და ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას“.

პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა ზ. ჭიჭინაძის, მ.თომის, ი. იმედაშვილისა და სხვათა წერილები.


ქუთაისის ქალაქის მოურავმა ილ. ჩიქოვანმა გამოსათხოვარ სიტყვაში აღნიშნა: „... დაე გაიგოს ყველამ, რომ ეკატერინე სარაჯიშვილისა და მისი დაუვიწყარი მეუღლე მოველინენ ჩვენს ქვეყანას განახლებულ, აღდგომილ საქართველოს მახარობლად! სამშობლოსათვის სიცოცხლის და ქონების შეწირვა სწვევდათ მხოლოდ ძველ, თავისუფალ საქართველოს შვილთ და ვინ იფიქრებდა, თუ ახალი დროის დაბეჩავებული ქართველი კვლავ აღენთებოდა მამაპაპურის ცეცხლი!“

ეკატერინე და დავით სარაჯიშვილები ამჟამად ვაკის სასაფლაოზე განისვენებენ. მათი სახელები სამუდამოდ დაუვიწყარია ქართველი საზოგადოების ხსოვნაში.




თეთრი წმიდა გიორგის ეკლესია სოფ. დიღომში, აშენებული ზაქარია სარაჯიშვილის მიერ.

საეკლესიო ცხოვრება
ფოტომატიანე



დაიცავ უფალო ერი ჩვენი და სამკვიდრებელი ჩვენი

საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა ბოლნისის
ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც 16 (29)
აპრილს აღვიღზე მოინახულა და დაათვალიერა უწმი-
დესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.



მენჯის მთავარანგელოზთა ტაძარი

⊙

ქ. ცხაკაიაში, კურორტ მენჯის უბანში გორაკზე დგას მთავარანგელოზთა სახელობის პატარა ტაძარი. მნახველის თვალსა და გულს ახარებს სიმშვენიერე აქაური ბუნებისა და ხილვა კარგად მოვლილი ტაძრისა და მისი ეზო-გარემოსი. ყველგან იგრძნობა ტაძრის მომსახურე პირთა მოსიყვარულე გული და შხრუნველი ხელი.

ამ მთაზე შემორჩენილია ნანგრევები თავდაცვითი ნაგებობებისა, დიდებულნი ნაშთნი ჩვენი ერის გამირული წარსულისა. უეჭურებ მათ და ჟამთა სიავის გამო გულზე მოწოლილ სევდას მაინც სძლევს სიხარული. დღევანდებობისა — ბრძოლისაგან, დრო-ჟამისაგან დაინგრა ციხე-დარბაზი, ძველი ტაძარი... მიწყდა მეგრძოლი და მაშენებელი ხელი წინაპართა, მაგრამ ძველ ქართველთა ნაფუძარზე მათივე შთამომავალი სახლობს, ცხოვრობს, ლოცულობს, შრომობს, მოღვაწეობს, აშენებს და უვლის ძველსა თუ ახალს.

მენჯის მთავარანგელოზთა ტაძარი შედარებით ახალი ნაგებობაა. ცხაკაიაში ახლაც არიან მორწმუნენი, რომელთაც ამ ტაძრის აშენება და მაშენებელი ახსოვთ. იგი 1908 წელსაა აშენებული ნეტარსახსენებელი ალექსი ბერის /შუშანია/ მიერ, რომელიც გამოირჩეოდა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საოცარი სისადავით. მის გაკვალულ გზას ერთგულად მიჰყვებიან საფანის მკვიდრნი.

ტაძარს მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ ალექსი ბერის შემდგომ მის საფანეში მონოზონური ცხოვრების განმგრძელებლები, დები-სქემიდუმენია ფავსტო და სქემონოზონი აკეუსიმე შუშანიები. გავიდა ხანი, ისინიც აღესრულნენ ამიერ სოფლიდან და მიიცვალნენ საუკუნო ცხოვრებად.

ამჟამად ტაძარი და მასთან გაერთიანებული მორწმუნეთა რელიგიური საზოგადოება, თანახმად მოქმედი საერო კანონმდებლობისა, რეგისტრირებულია. მორწმუნეთა მიერ საეკლესიო აღმასრულებელი ორგანოს თავჯდომარედ არჩეულია ამ საფანეში ბავშვობიდან მცხოვრები და აქ მოღვაწე სქემონოზონთა მიერ აღზრდილი ზოია /იზოლდა/ შუშანია. იგი მრავალი წელია შრომასა და მონღომებას არ იშურებს ტაძრისა და მისი მიდამოს გასამშენიერებლად. ამ კეთილ საქმეში მას მხარში უდგას ტაძრის მედავითნე, მისივე დახინო შუშანია, რომელიც, აგრეთვე, ამ საფანეში აღიზარდა. სულიერ მოძღვართა ლოცვა-კურთხევითა და მორწმუნეთა უანგარო დახმარებით, დებმა შუშანიებმა შეძლეს ტაძრის საფუძვლიანი შერემონტება და კეთილმოწყობა, რითაც მოიპოვეს მორწმუნეთა სიყვარული და პატივისცემა.

საუკუნო ხსენება და კურთხევა ამ საფანეში წარსულში მოღვაწე მამათა და დედათა; მშვიდობა და სულიერი სიხარული მათ, რომელთა გარჯითაც ტაძარი დღესაც დამშვენებულია.




წმიდა ზიარება




შონასტრის ვაშმუკუნებისათვის



თბილისი. 9 მაისი. გამარჯვების პარკში



სიონი. დიდი ხუთშაბათი. ენების სახარებანი



თბილისი. მთაწმიდა. მამაკეთის კელესია




ორი წლის წინ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მთაწმიდაზე დაიწყო წმიდა დავითის კელესიის ძირეული აღდგენა-გამშენიერება. ამ საშურ საქმეს სათავეში ჩაუდგა ამავე კელესიის წინამძღვარი, დეკანოზი არჩილ ლაფერაშვილი. გაიწმინდა და აღდგა კედლის ფერწერა, რესტავრაცია გაუკეთდა ხატებს, მოწესრიგდა ტაძრის ინტერიერი. მოიხსნა ძველი და დაიდგა ახალი ქვის კანკელი, ჩაისვა ახალი ხატები, მარმარილოთი მოპირკეთდა ამბიონი და სამკვეთლო ადგილი. შეკეთდა

გუმბათი, მთლიანად შეიცვალა, როგორც დიდი, ასევე პატარა ტაძრის ყველა სარკმელი. ისინი შეიმინა არმირებული მინით. შეიცვალა სამი მთავარი კარი. კარებები დაშადებულია საუკეთესო ხის მასალისაგან, რომელსაც გადაეკრა სპილენძი და მოიჭედა. გაიყვანეს გათბობა. ტაძრის ეზოში, სადაც ქართველი ერის მარად სალოცავი შვილები განისვენებენ, კლდიდან მოჭონავს წმიდა წყარო, რომელიც ზამთარ-ზაფხულზე ნალექების მიხედვით მატულობს. ბოლო დროს, წყაროს გამტარი მილი დაზიანებული იყო, რის გამოც წყალი კედლებში მოჭონავდა. გამოიღეს

წყაროს თაღში არსებული კედელი, გამოცვალეს მილი.

სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ასევე ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დახმარებითა და თანადგომით.

დღეისათვის, ღვთის მადლითა და ძალით, კელესიას მიეცა მყუდრო სახე, რათა ტაძარსა შინა შემსვლელმა აღვლინოს წმიდა ლოცვა ჩვენი სამოციქულო კელესიისა, ერისა და ქვეყნისათვის. ამინ.



გალობა და საგალობელი

გალობა ქრისტიანული ღვთისმსახურების აუცილებელი ელემენტია, რომელიც ახალი აღთქმის ეკლესიაში ძველი აღთქმის ეკლესიიდან მემკვიდრეობით შემოვიდა.

გალობის უძველესი ნიმუშია მოსკეს გალობა (გამოსლვათა 15, 1-19), რომელიც ითქვა ეგვიპტის მონებისაგან ისრაელის განრომისას. ბიბლიაში არის სხვა გალობებიც: მეორე გალობა მოსკესი (მეორე სჯულისა 32, 1-43), რომელიც „დაწერა მოსე...მას დღესა შინა და ასწავა იგი ძეთა მათ ისრაელისათა (იქვე 32, 43); გალობა წმ. ანნასი, დედისა სამოელ წინასწარმეტყველისა (I მეფეთა 2, 1-10); გალობა ამბაკოსი (წინასწარმეტყველება ამბაკოსი 3, 1-19), გალობა ესაიასი (ესაია 26, 9-21); გალობა იონასი (იონა 2, 3-10); გალობა სამთაყრმათა; გალობა დვთისმშობლისა (ლუკა 1, 46-55); გალობა ზაქარიასი, წინამორბედის მამისა (ლუკა 1, 68-79). გარდა ამისა, ბიბლიაში არის ერთი წიგნი, რომელიც მთლიანად გალობას წარმოადგენს, — ესაა ფსალმუნნი დავით ებრაელთა მეფისა და წინასწარმეტყველისა. გალობა რომ ძველთაგანვე ღვთისმსახურების აუცილებელი ნაწილი იყო, ეს ჩანს სახარებიდანაც (მათე 26, 30).

ცხრა ბიბლიური გალობა (ტექსტები გამოკრებით წერია ჟამში, ცისკრის ლოცვათა შორის) საფუძვლად დაედო ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიაში საზოგადოების ყველაზე გავრცელებულ ტიპს — კანონს. ჩვენი ჟურნალის წინა ნომერებში განვმარტავდით ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ უცხოურ ტერმინებს (ტროპარი, კონდაკი, იკოსი, იბაკო, კატავასია და სხვ.), აქ კი ჩამოვთვლით გალობასთან დაკავშირებულ ქართულ ტერმინებს.

— სამხმინი გალობის ფაქტი საქართველოში ფიქსირებულია XI საუკუნიდან (იოანე პეტრიწი). კერძოდ, ამ დროისათვის დადგენილია თითოეული ხმის სახელი: მზახრი (მაღალი ხმა, მოძახილი), ჟირი (მეორე ხმა, „თქმა“) და ბანი (დაბალი ხმა).

მართლაც ვთქვათ, გარდა იმისა, რომ მართლადმსრულელობას, სწორად და მართებულად სიტყვის წარმოთქმას აღნიშნავდა, მიჩნეულია აგრეთვე რიტმული პოეზიის, სიტყვის ხელოვნების ტერმინად („მართლგანკვეთა“, — ამ ფორმითაა დადასტურებული ეს სიტყვა ერთ იერუსალიმურ ხელნაწერში: ier 75, 75). ჩვენი აზრით, მართლაც ვთქვათ ითვალისწინებდა სწორ შესაბამისობასაც გალობის ტექსტსა და მუსიკას შორის; ტექსტის სწორ „განკვეთას“ (განაწილებას) გალობის დროს.

— მეხუთე საგალობლები (ძლისპირნი, დასდებულნი, ღმრთისმშობლისანი), ეწოდებოდა მელოდიასთან შეწყობილ პოეტურ ტექსტებს, რომელთაც ხშირად სანოტონიშებიც (ნევები) ახლდა. მეხუთე საგალობლები შემქმნელ ჰიმნოგრაფებსა და მუსიკოსებს მეხელე ეწოდებოდათ (ტერმინები — მეხელი და მეხური — გვხვდება X-XI სს. ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, მაგ. მიქელ მოდრეკილის „რადგარში“, გიორგი მთაწმიდელის „თვენში“ და სხვ.).

— წირვა-ლოცვის საგალობლებს ხშირად დასაწყისი სიტყვებით მოიხსენებდნენ. ცხრა ბიბლიური გალობის დასაწყისი სიტყვებიდან მიიღეს სახელწოდება კანონის გალობებმა:

I გალობას ეწოდებოდა „უგალობდითსა“,
II გალობას — „მოიხილესა“,
III გალობას — „გაძლიერდასა“,
IV გალობას — „მესმასა“ („უფალო მესმასა“),
V გალობას — „ღამით განსა“,
VI გალობას — „დაღად-ღვავასა“ (დაღატყავასა“),

VII გალობას — „კურთხეულდარსა“,
VIII გალობას — „აკურთხევედითსა“,
IX გალობას — „ადიდებდითსა“.

დასაწყისი სიტყვებით მოიხსენებდნენ აგრეთვე შემდეგ საგალობლებს: „აქებდითი“-ფს. 148-150 (ცისკრის გალობა, რომელიც იწყება სიტყვებით: „უოველი სული აქებდით უფალსა“); „უარებდით“-ფს. 135, მე-19 კანონიდან (ცისკრის გალობა); „ნეტარარიან“-ფს. 31 (შუალამიანის გალობა); „აკურთხევესი“-ფს. 102 (წირვის პირველი აღსავალი); ფს. 103 (პირველდაწყებითი ფსალმუნი, მწუხრის დასაწყისში სათქმელი გალობა); „მომიხსენე“-ფს. 148-150 (სახარების „ცხრა ნეტარება (მათე 5,3-12). ასე ეწოდება იმიტომ, რომ დიდ მარხვის ზოგიერთ დღეს ამ გალობის ყოველ მუხლში ჩაერთვოდა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდს უფვეთა შენითა“ (ლუკა 23,42); „განიცაღე“-წირვის ბოლო ნაწილში, ტარიგის ამადლებიან სათქმელი მუხლი. სახელწოდება მიიღო ერთერთი „განიცაღეს“ პირველი სიტყვიდან (ფს. 33,9); „მშვიდობიანი“, დიდი ან მცირე კვერქის („დიდი მშვიდობიანი“; „მცირე მშვიდობიანი“); „მოგვამადლენთა“-თხოვნითი კვერქის, რომლის ყოველ მუხლზე იგალობება: „მოგვამადლენ, უფალო“; „წარემართენი“-ფს. 140,1-4 (პირველმწიფრულის წირვის საგალობელი).

— წართქმა (გარდმთქმა), — წამდერებით კითხვა (ჟამნისა, სამოციქულონი).

— ავაჯი. — უბრალო, რეიტატივული გალობა.

— მოკაზმული, — ბერძნული საგალობლების თავისუფალი, გადაუმუშავებელი თარგმანი, ღელნის პერიფრაზი. მოკაზმ-

ვა, — ძლისპირის მიხედვით საგალობლის ზუსტად, რიტმულ-მელოდიურად გამართვა შეწყობა (X ს. ტერმინი).

— მოსართავი, — ასე ეწოდებოდა დამატებით სათქმელ შესხმებს, დასართავს (რადგან იგი დაერთვის, „მოერთვის“, ძველ საგალობლებს), რომელთა შედგენა და გავრცელება მოხდა X ს-ში. უძველეს იადგარებში დამოწმებულია „მოსართავის“ ბერძნული შესატყვისიც — „ფარათონი“ (Paratōn), მაგრამ უცხოურმა ტერმინმა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა. მისი ქართული შესატყვისი „მოსართავი“ (თავისი სახესხვაობებით) იხმარება X-XVIII სს-ის ლიტურგიკულ ძეგლებში. მოსართავის სახესხვაობანია:

ჩასართავი, წართული, მორთული.

— მიმოგდები თიგალობა, — ორ გუნდს შორის მონაცვლეობითი გალობა, ანტიფონი.

— მინჩური, — სინის მთის მოღვაწის იოანე მინჩხის (X ს.) საგალობელთა ფორმა. ეს საგალობლები ზოგი პროზითაა დაწერილი — იამბიკოთი (იამბიკოთი დაწერილი ჰიმნები მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში).

— ოხითა, — ტროპარის ქართული შესატყვისი; მცირე ფორმის საგალობელი, რომლითაც ვითხოვთ ამა თუ იმ წმიდის მეოხებას (ოხას, შუამდგომლობას, შეწვევას).

— წარდგომა, — ფსალმუნის მუხლები, რომლებიც იგალობება, როგორც მწუხრსა და ცისკარზე, ისე წირვაზე, პარაკლისზე და სხვა ღვთისმსახურებაზეც, უმეტესწილად რაიმე საკითხავის (სახარება, სამოციქულო, საწინასწარმეტყველო) წინ.

— ხელთაბანი სა, — წირვის საგალობელი, რომელიც სრულდებოდა წირვაზე, ხელთბანის დროს (შეტანილი იყო უძველეს პიმნოგრაფიულ კრებულებში — იადგარებში).


— სიწმიდისა, — საგალობელი, რომელიც სრულდებოდა მოციქულთა წირვებზე (პეტრესი, იაკობისა, მარკოსისა), „სიწმიდის შემოყვანების“ დროს.

ქირიმონოხონი მჰმთიხმ კოჯლაგაზჰვილი



ზობა





«ДЖВАРИ ВАЗИСА»

/Крест из виноградной лозы/
Журнал Грузинской патриархии

Журнал открывается древнегрузинской рукописью «Восхваление грузинского языка», которая, по последним исследованиям относится к 4 веку. Это произведение эпистолярного характера, в основе его лежит мысль о том, что во время второго пришествия Спаситель наш Иисус Христос будет судить живых и мертвых на грузинском языке. Автор рукописи полагает, что грузинский язык до Второго пришествия будет сохранен (погребен) в тайне, но затем восстанет, как восстал, по воле Божией, Лазарь.

здесь же печатается проповедь Католикоса — Патриарха всея Грузии Илии II — «Язык этот назван Лазарем», которая была произнесена им 13 (26) апреля 1986 г. в субботу Лазареву. В рубрике «Мир всем» читатели ознакомятся с письмами и информацией об участии представителей Грузинской Церкви в мероприятиях, проводимых по линии Всехристианской Мирной Конференции.

В журнале печатается слово Католикоса — Патриарха всея Грузии Илии II, произнесенное им на региональной конференции Организации Объединенных Наций по разоружению, проведенной в столице Грузинской ССР 6 — 10 (19—13) мая.

Папа и Патриарх Александрии и всей африки Николай VI во время очередного визита в Грузинскую церковь отметил, что, пока есть силы, он хотел бы, по возможности, чаще приезжать в Грузию помолиться святынями этой земли. В мае Николай VI вновь приехал в нашу страну, посетил Цхум — Абхазскую епархию, побывал в Тбилиси, в Мцхета.

14 (27) мая в Сионском патриаршем соборе была проведена Божественная литургия, по окончании которой Патриархи обменялись приветственными речами, которые публикуются в журнале.

Исполнилось 120 лет со дня рождения Католикоса — патриарха Калистрата Цинцадзе, имя которого с любовью и поклонением произносит каждый верующий грузин. Его заслуги перед своим народом и его труды бесценны для Грузинской Церкви. В связи с этой важной датой в журнале печатается статья Н. Папуашвили «Католикос — Патриарх всея Грузии Калистрат Цинцадзе».

Здесь же печатается проповедь Святейшего Калистрата, произнесенная им в день поминовения Святого Великомученика Георгия.

Богословие

В этой рубрике объединены три статьи:

1. Свет Божиих заповедей, митрополит Константина (Меликидзе).
2. православное учение о молитве и поминовении усопших.
3. Об истории гомилетики.

По провидению Всевышнего в декабре прошлого года

представители Грузинской Церкви побывали в Греции, в монастырях на святой Афонской горе. Они посетили грузинский монастырь «Ивиرون».

В статье «Путешествие на Афонскую гору» руководитель делегации епископ Зосим (Шюшвили) рассказывает читателям о своих впечатлениях.

История грузинского культурно — просвятительского центра, существующего на Синайской горе, как и памятники древнегрузинской письменности, хранящиеся там, ещё не достаточно изучены. За последние годы дошедшие до нас материалы дополнились новыми, до сих пор неизвестными сведениями. В частности это касается древнегрузинских рукописей или отдельных фрагментов, обнаруженных в хранилищах монастыря св. Екатерины. Они вызвали, естественно, огромный интерес как специалистов, так и широкой общественности. В статье В. Силогава «Грузинские письма на Синайской горе» рассмотрен и проанализирован имеющийся материал. Ознакомившись со статьёй читатели смогут убедиться, сколь значительны найденные письма и как важно своевременное их изучение. Этот материал дает нам возможность проследить путь грузинских деятелей, направлявшихся в обитель на Синае.

Грузия, окруженная тесным кольцом мусульманских стран, не раз стояла перед угрозой уничтожения. В эти тяжелые времена грузинский народ непоколебимо верил, что единственным путём спасения является христианство, христианская церковь. В годы испытаний, когда приходилось решать остаться свободной или быть сметенной лавиной захватнических орд, появлялся герой, который воодушевлял народ и направлял его против поработителей. Одним из таких героев был грузинский царь Георгий V (1318—1346), прозванный Блистательным, чьё имя



განრღვეულის განკურნება



მარტვილი. პანაგეა ტიხრული მინანქარი. X ს.

до сих пор окружено легендарной славой. Георгию удалось освободить страну от господства монголов, продолжавшегося более 100 лет и вновь восстановить политическое единство Грузии. О заслугах Георгия V перед Грузинской Церковью рассказывается в статье В. Джваридзе «Георгий Блистательный и Грузинская Церковь».


В другую эпоху и в других условиях, в оторванной в недавнее прошлое от матери Грузии Аджарии, которой казалось бы грозило полное забвение своего национального Я, вновь появился истинный сын отечества Гайдар Абашидзе (1893—1966), который немало способствовал пробуждению грузинского национального чувства аджарцев и благодаря которому в Аджарии возродился грузинский язык и опять зазвучала вознесенная на грузинском языке Христианская молитва. Этим объясняется тот факт, что еще в начале нашего века епископ Леонид назвал Гайдара Абашидзе «Апостолом» национального пробуждения грузинских мусульман», имя которого «бессмертно в истории Грузии». В журнале печатается статья Т. Кобаладзе, посвященная Г. Абашидзе.

Грузинский народ глубоко чтит память общественного деятеля, промышленника и мецената Давида Сараджишвили и его супруги Екатерины, благодаря финансовой и моральной поддержке которых осуществлялись многие культурно-просветительские начинания в тогдашней Грузии. Уход из жизни этих замечательных людей оплакивался всей Грузией — как церковью, так и народом. В журнале напечатаны прощальные речи, произнесенные епископом Леонидом, протоереями К. Цинцадзе и Н. Талаквандзе по случаю кончины Давида Сараджишвили. Здесь же публикуется завещание Д. Сараджишвили, согласно которому основная часть его солидного состояния были передана церквям, монастырям и учебным заведениям Грузии.

Церковная жизнь

Читатели знакомятся с информацией и фотоматериалами о событиях, происшедших в Грузинской Церкви. **Рубрика:** «Словарь и разъяснения» посвящена церковным песнопениям. Автор монах Ефимий Кочламышашвили.





DJVARI VAZISA

(CROSS OF VINE)

The journal is opened with the ancient Georgian manuscript "Praising of the Georgian Language", which according to the latest research information is believed to date from the IV century. This work with an epistolary nature is based on idea that our Saviour Jesus Christ at the time of doomsday will judge the dead and the living in the Georgian Language. The author of this manuscript supposes that the Georgian Language will be kept in confidence (be buried) to the doomsday, but subsequently it will resurrect as through God's will resurrected Lazarus.

Under the same heading the Sermon of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II "Lazarus is the name of this Language" which was delivered by Him on 13(26) April 1986, on St. Lazarus Saturday, is printed here.

Peace To All-The section acquaints a reader with letters and information about participation of the representatives of the Georgian Church in the CPC arrangements.

In Tbilisi, the Capital of Georgian SSR, on May 6 — 10 (19 — 23) was held the Regional Conference of the United Nations Organization. The speech made by His Holiness and Beatitude Ilia II on this Conference is published in the journal.

Last year His Beatitude Nicholas VI, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa, during His visit to our City, gave a promise: As far as possible I would like to come to Georgia more often and worship the sacred places of the soil. Patriarch Nicholas VI kept His promise and in May He arrived in our country once again. He visited Tbilisi, Mtskheta and Tskhum-Abkhazeti diocese. On May 14 (27) in Sioni Patriarchal Cathedral was conducted the Divine Liturgy. The journal publishes the solutatory addresses of Catholicos-Patriarch Ilia II and Pope and Patriarch Nicholas VI, delivered by them after the Liturgy.

In the article "Catholicos-Patriarch of All Georgia Kalistrate Tsintsadze", dedicated to 120 anniversary of Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze, the reader will get acquainted with his great service and invaluable scientific works. His name is mentioned with love and profound veneration by all Georgian believers. The article belongs to Nugzar Papuashvily. Under the same heading is printed the Sermon of Patriarch Kalistrate, delivered by Him on the memorial day of the great Martyr St. George.

Theology

Three articles are given in this section:

"God's Commandments Light".

"(Metropolitan Konstantine — Melikidze)".

"The Orthodox Teaching of Prayer and Memorial of the Deceased".

"On the History of Homyletica".

Last year in December, according to God's providence and the Most Pure Virgin Mother's blessing the representatives of the Georgian Church went to Greece. They visited Iviron, the Georgian Monastery on Holy Mount Athos. "Pilgrimage on Mount Athos" — under this title the reader is acquainted with the impressions of Bishop Zosime (Shioshvili), head of the delegation.

The history of cultural-enlightening centre of Georgia, is not explored sufficiently yet. Last years, the known materials were supplemented with new ones. Particularly, it relates to ancient Georgian manuscripts, or separate fragments discovered in the repository of St. Catherine Monastery. It excited an unusual degree of interest of specialists and broad section of the public as well.

The journal presents the article "Georgians on Mount Sinai" by B. Silogava. The article acquaints us with the consideration and analyses of the available materials, containing profound meaning. Looking through the article the reader will be convinced of great importance of the given letters. It is significant to make a careful study of these materials in proper time. These materials will provide us with an ample opportunity to observe all roads of those Georgian cultural workers, who are going to make their way to the cloister on Mount Sinai.

Surrounded by moslem countries Georgia was faced many times with the threat of annihilation.

In those hard times, Georgian people unshakably believed, that their only salvation was in Christianity, in the Church of Christ.

In the years of a terrible ordeal heroes showed up in the nick of time. The heroes inspired people with confidence and turned them against conquerors. The Georgian king George V (1318 — 1346), called Brilliant, whose name is surrounded with legendary fame up to now, was one of those heroes. He managed to liberate the country from Mongolian domination, lasting no less than 100 years, and to reestablish political unity of Georgia. The article "George Brilliant and the Georgian Church", By V. Dsvavidze. Author tells

readers about King George's great service to Georgian Church.

Gaidar Abashidze, native of Adjara (South province of Georgia), was one of the devoted sons of his country.

He performed great service for his motherland, In spite of all historical troubles and staggering events, today we hear Georgian Language and Christian prayer in Adjara.

Gaidar Abashidze was one of those active fighters, whose hearts were pierced with pain for the long-suffering people. As to him, his life full of danger and struggle, was turned to the sole purpose rallying Adjara to Mother-Georgia. He has written many publicistic letters and articles concerning this question. His ideal was one and indivisible Georgia. It should be noted that, at the beginning of this century Bishop Leonid mentioned that "His name is immortal in the history of Cristian Georgia".

The journal presents the article, by T. Kobaladze dedicated to Gaidar Abashidze.

The Georgian people treat with great respect the memory of the public figure, manufacture and well-known patron of literature Dawid Saradzishvili and his wife Eka-

terine. They helped many gitted young people to get an education. They maintained close contact and friendly relations with Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Iakov Gogebashvili and with other public figures; Many of them were their frequent visitors. Many cultural undertaking were proceeded succesfully with their financial and moral support. The members of the Georgian Church were their friends as well. The journal publishes the parting letters and speeches delivered by Bishop Leonid, Archpriests: K. Tsintsadze and Nikita Talakvadze. Under the same heading the Last will of the deceased David Saradzishvili is printed. According to his will the main of his fortune was transferred in the possession of Georgian Churches, Monasteries and Educational Institutions.

-Church Life- Under the heading the reader will get acquainted with information and photo-materials of current events of the Georgian Church.

Dictionary and Explanation This part is dedicated to the hymns. The author-Rev. Ekvtime Kochlamazashvili.



შ ო ნ ა ა რ ს ო

ქება და დიდებაი ქართულისა ენისაა 4
 ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. „ამას ენასა ლაზარე კრქვიან“.
 ქადაგება 9

შვილობა ვოველთა
 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენცია თბილისში 9
 ცნობები. . . ინფორმაციები 10

ვიეუარუბოდეთ ურთიერთას
 უნეტარესი ნიკოლოზ VI საქართველოში 12

ღვთისმეტყველება
 მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე). ღვთიურ მცნებათა ნათელი 15
 არქიმანდრიტი რაფაელი. მართლმადიდებლური სწავლება მიცვალებულთათვის
 ლოცვისა და მოხსენიების შესახებ 17
 ნ. პაპუაშვილი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე
 ცინცაძე (დაბადების 120 წ.). 22
 ეპისკოპოსი ლეონიდე (ყვანია). (დაბადების 100 წ.). 28

ვიეუარუბოდეთ ურთიერთას
 ეპისკოპოსი ზოსიმე. მოგზაურობა ათონის მთაზე 30

ქართლის ცხოვრების ფურცლები
 ვ. სილოგავა. სინის მთის ქართული წარწერები 38
 ვ. ჯვარიძე. გიორგი ბრწყინვალე და ქართული ეკლესია 44
 თ. კობლაძე. ერთი იმ ხანძთელთაგანი 49
 ა. შაგდარი. (ღვთი სარაჯიშვილის გახსენება) 56

საკვლეხო ცხოვრება
 ფოტომატიანე
 ინფორმაციები 63

ლექსიკონი და განმარტებანი
 შწირმონოსონი ექვთიმე (კოჭლამაზაშვილი). გალობა და საგალობლნი 66
 რეზიუმე რუსულ ენაზე 68
 რეზიუმე ინგლისურ ენაზე 70

ჯვარი ვაზისა № 1. 1986.

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შოიშვილი)
 ჟურნალის რედაქტორი **თ. კობლაძე**

საქართველოს საპატრიარქო.
თბილისი. 1986წ. სინის ქ. № 4 ტ. 72-04-53
ტირაჟი 1000. შუკვეთა № 2505

საქართველოს სსრ შუცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. № 19

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 1. 1986г.
 Грузинская Патриархия

Тираж 1000. Зак. № 2505
 Набрано способом фотонабора

Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

ქართული ანბანი

ა	ⴁ	ⴂ	a	1	ბ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	200
ბ	ⴇ	ⴈ	b	2	გ	ⴉ	ⴊ	ⴋ	ⴌ	300
გ	ⴍ	ⴎ	g	3	დ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	
დ	ⴓ	ⴔ	d	4	ე	ⴕ	ⴖ	ⴗ	ⴘ	400
ე	ⴙ	ⴚ	e	5	ვ	ⴛ	ⴜ	ⴝ	ⴞ	500
ვ	ⴟ	ⴠ	v	6	ზ	ⴡ	ⴢ	ⴣ	ⴤ	600
ზ	ⴥ	⴦	z	7	თ	ⴧ	⴨	⴩	⴪	700
თ	⴬	ⴭ	ⵀ	8	ყ	⴮	⴯	ⴰ	ⴱ	800
ი	ⴲ	ⴳ	ⵀ	9	შ	ⴴ	ⴵ	ⴶ	ⴷ	900
კ	ⴹ	ⴺ	i	10	ჩ	ⴸ	ⴹ	ⵀ	ⵁ	1000
ლ	ⴼ	ⴽ	k	20	ც	ⴻ	ⴼ	ⴽ	ⴾ	2000
მ	ⴿ	ⵀ	l	30	ძ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	3000
ნ	ⵀ	ⵁ	m	40	წ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	4000
ო	ⵀ	ⵁ	n	50	ჭ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	5000
პ	ⵀ	ⵁ	j	60	ხ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	6000
ჟ	ⵀ	ⵁ	o	70	ყ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	7000
რ	ⵀ	ⵁ	p	80	ჩ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	8000
ს	ⵀ	ⵁ	ř	90	ც	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	9000
ტ	ⵀ	ⵁ	r	100	ძ	ⴽ	ⴾ	ⴿ	ⵀ	10000

